

თბილისის სასულიერო აკადემია

ქართველი ნათახბმნი ჰომილიანი
ძელის

||

**TBILISI THEOLOGICAL ACADEMY
NATIONAL CENTER OF MANUSCRIPTS**

**ST. JOHN GHRYSOSTOM'S HOMILETIC COLLECTION
“THE PEARL” (“MARGALITI”)**

**The text prepared for publication, research
and dictionary submitted by**

NINO MELIKISHVILI

TBILISI THEOLOGICAL ACADEMY AND SEMINARY PUBLISHING HOUSE

TBILISI 2015

თბილისის სასულიერო აკადემია
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

**ჯმიდა იორანი ოძროპირის ჰომილეტიკური
პრეპული „მარგალიფი“**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა წაუმდგარა
და ლექსიკონი დაურთო

ნინო გალიძიშვილია

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარის გამომცემლობა

თბილისი 2015

ber iiT `qarTul i naTargmni homil etikuri Zegl ebi" pirvel ad qveyndeba IV-V ss-is didi bizantiel i RvTismet yvel is, wm ioane oqr opiris homil iaTa krebuls, `mar gal it is" qarTul i Targmni, Sesrul ebuls i X-XI ss-Si udidesi qarTvel i saekl esio mamisa da moazr ovnis, wm efTvime mTawmidel is mier. krebuls i war-moadgens swavl ebis formis mqone amonar idebs ioane oqr opiris qadagebebidan, Tar gmanebidans da saubrebidan. `mar gal it is" qarTul i Targmni st r uqt ur a SemuSavebul ia mTargmel is mier _ berZnul i wyar os misTvis clamaxasiaTebel i mTo-diT gadamuSavebis Sedegad efTvime mTawmidel ma Rrma saRvTismet yvel o naazr evi uaRresad gamartivebul i da nebismieri mkiTxvel isaTvis xel misawdomi formiT gadmosca. t eqst ze darTul gamokvl evaSi mimoxil ul ia is uZvel esi, XI-XIII ss-is nusxebi, romel Tac enyar eba gamocema, naCvenebia mTi ur Tier Tdamoki debul eba da, aseve, kavSir i `mar gal it is" Semvel gviandel, XVIII-XIX ss-is nusxebTan, Seswawl il ia qarTul i redaqciis mimar Teba berZnul wyar osTan.

The literary series "Homiletic Books Translated into Georgian" for the first time suggests a collection of homilies titled "The Pearl" ("Margaliti"). The collection belongs to the pen of the great Byzantine ecclesiastical figure and theologian of the IV-V cc. St. John Chrysostom. The present Georgian translation was carried out by the great Georgian Church Father St. Euthymius the Athlonite (955-1028). The collection represents excerpts from John Chrysostom's homilies, comments on various passages from the Holy Script and discourses. The structure of "Margaliti" is worked out by the translator - while working at the Greek source, Euthymius the Athlonite applied a peculiar method of simplicity to his translation making thus the most profound theological thought easily comprehensible for every reader. The text is appended with a scholarly paper which gives analysis of the most ancient lists (the 11th-13th cc.) this edition is based on; it also shows correlation between these lists and their link with those containing "Margaliti" of the later period (18th-19th cc). The same scholarly paper also suggests a study of the relation between the Georgian edition and the Greek source.

რედაქტორი

Editor

ედიშერ ჭელიძე
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი

Edisher Chelidze
Doctor of Philological Sciences

რევიუზენტი

Reviewer

მაია რაფაგა
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი

Maia Raphava
Doctor of Philological Sciences

© თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა

ISBN 978-9941-9258-6-3

ნ. იოანე რქონიშვილი ეს მისი ლანაზოვანი

(ზოგადი მიმოხილვა)

IV ს-ის უდიდესი საეკლესიო მამის, წმ. იოანე ოქროპირის დანატო-ვარი სხვა საეკლესიო მამების ნაშრომებთან ერთად მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების საფუძველს წარმოადგენს. რომ არა ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწეების ყოვლისმომცველი რწმენალრმა სულიერება, ნიჭი და განათლება, შეუძლებელი იქნებოდა იმ მიმდინარეობებთან გამკლავება, რომლებიც IV-V ს-ის ქრისტიანობის შიგნით არსებობდა და იმ სიღრმის ქადაგებებისა თუ საღვთისმეტყველო ნაშრომების შექმნა, რომლებიც სრულად მოიცავენ მართლმადიდებლური ქრისტიანობის სწავლებას.

იოანე ოქროპირის თხეზულებებს უდიდესი მნიშვნელობა პქინდა აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროსათვის. წმიდა წერილის მისეული თარგმანებების, სხვადასხვა თქმაზე წარმოოქმული ქადაგებებისა და საუბრების მეშვეობით მორწმუნება თუ მოაზროვნეს შეეძლო რწმენაში განმტკიცება და პასუხის მიღება ღრმა საღვთისმეტყველო-ცილოსოფიურ თუ დოგმატურ კითხვებზე.

დიდი ბიზანტიელი მამის მაღალი ორატორული ხელოვნებით წარმოთქმული ქადაგებები თანაბრად მისაღები და სასარგებლო იყო როგორც მომზადებულ მსმენელთათვის, ასევე ღვთისმეტყველების სიღრმებში ნაკლებად ჩახედულთათვის. ამის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, თვით წმ. იოანე ოქროპირი სრულად რომ არ ყოფილიყო დაუფლებული წმიდა წერილის სიღრმეებს. სწორედ ამის გამო არის აღიარებული იოანე ოქროპირი უდიდეს ავტორიტეტად ბიბლიის თარგმანების (კომენტირების) კუთხით. იოანე ოქროპირის სწავლებები თითქოს ქრისტიანული ცხოვრების სახელმძღვანელოა, იმდენად დამაჯერებლად და ადგილად აღსაქმელად არის მათში გადმოცემული ურთულესი ნააზრევი.

წმ. იოანე ოქროპირის დანატოვარი სათანადოდ არის შეფასებული და დაფასებული – მისი თხეზულებების გამოცემას დიდი ხნის ისტორია აქვს. მოკლედ მიმოვინდავთ ამ გამოცემებს.

პირველი, ბერძნული ტექსტის ასე თუ ისე გამართული გამოცემა თარიღდება 1529 წ-ით; ის შეიცავს იოანე ოქროპირის საუბრებს პავლეს ეპისტოლებზე. ეს გამოცემა 1591-1602 წწ-ში შეივსო ახალი აღოქმის ოქროპირისეული კომენტარებით (კომენტინის გამოცემა 4 ტომად). 1612 წ-ს გამოიცა ოქროპირის თხეზულებების სრული ბერძნული ორიგინალი 8 ტომად. ეს არის ცნობილი ინგლისელი მეცნიერის, პენრი საფილიის გამოცემა. მალევე დაიწყო ამ ტექსტების ლათინურ ენაზე თარგმანი და მათი გამოცემა ფრანგი მეცნიერის, ფრანგონ დუტსეის მიერ. ეს საქმე დას-

რელდა 1633 წ-ს მმების, ფრედერიკ და კლოდ მორელების გამოცემით 12 ტომად. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, 1698 წ-ს, ბენედიკტიანელთა ორდენში დაიწყო მუშაობა ოქროპირის თხზულებების ახალ გამოცემაზე. ამ სამუშაოს სათავეში ჩაუდგა ბენედიკტელი მეცნიერი ბერნარ მონფოკონი. მან გამოიყენა წინა გამოცემებიც, მაგრამ მუშაობის პროცესში აღმოჩნდა 300-მდე ახალი ნუსხა. მონფოკონის გამოცემაში შევიდა ოქროპირის ბევრი მანამდე უცნობი თხზულება. ამ გამოცემის სიახლეს წარმოადგენს ისიც, რომ მონფოკონმა „საუბართა“ ყოველ სერიას და ყოველ თხზულებას წაუმდგვარა წინასიტყვაობები, რომდებაც მიმოიხილა თხზულების ქრონოლოგია, შინაარსი, უანრი. უკანასკნელი, მე-13 ტომი მოიცავს იოანე ოქროპირის ცხოვრებას და დიდი მოცულობის საძიებლებს, აგრეთვე, ოქროპირის თხზულებებზე დაყრდნობით გაკეთებულ იმ სწავლებებისა და ერესების მიმოხილვას, რომელიც არსებობდა ამ დიდი მამის დროს. ეს ნაშრომი რამდენჯერმე გამოიცა, ბოლოვარ – 1839 წ-ს, პარიზში.

ოქროპირის თხზულებების უკანასკნელი გამოცემა ეპუთვნის აბატ ჟაპ პოლ მინს – ლათინი და ბერძენი საეკლესიო მამების თხზულებების გამოჩენილ მკვლევარს. მისმა ცნობილმა პატროლოგიამ გამოსვლა დაიწყო 1844 წ-ს, მოიცავს 379 ტომს, რომელთაგან ლათინური ტექსტები 217 ტომს შეადგენს, ხოლო ბერძნული – 162-ს. უკანასკნელ გამოცემაში, რომელიც შეიცავს ერთდროულად ბერძნულ და ლათინურ ტექსტებს, შევიდა იოანე ოქროპირის თხზულებები 13 ტომად (პარიზი, 1863; იწყება ბერძნული სერიის 47-ე ტომში). ეს არის, ცაქტიურად, ბენედიკტელთა გამოცემის გამეორება და დამატებით შეიცავს ოქროპირის თხზულებების შემსწავლელი მეცნიერების ზოგიერთ სწორებებს, კომენტარებსა და შესავალ წერილებს. ოქროპირის თხზულებების შესწავლის კუთხით თვითონ უაკ-პოლ მინმაც ბევრი შესძინა ამ გამოცემას. ამდენად, მინის გამოცემა არის უკანასკნელი გამოცემა, რომელიც ეყრდნობა და ითვალისწინებს ყველა ადრინდელს.

სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის მიერ 1898 წ-ს 13 ტომად გამოცემული რუსული თარგმანი ემყარება მინის გამოცემას. ამ გამოცემის რეპრინტული ვარიანტი გაკეთდა 1991 წ-ს. ოქროპირის თხზულებების სრული კრებული თანამედროვე უნაზე, გარდა რუსულისა, მოიპოვება ფრანგულ ენაზე. დანარჩენ ეკროპულ ენებზე არსებობს მისი მხოლოდ „რჩეული“ თხზულებების გამოცემა.

I. ნმ. ორანე თქმობის ქადაგებათა შემცველი ყებული „მარგარიტის“ ქათული ჩერაქია

წმ. ორანე ოქროპირის ცალკეული ქადაგებები ძველ ქართულ ენაზე უკვე V ს-ში გადმოიღეს. ამ ქადაგებების ფრაგმენტები დაცულია VII ს-ის ქართულ აგიოგრაფიულ-პომილეტიკურ კრებულში, „ხანძეტ მრავალოავში“¹. ოქროპირის ქადაგებების ქართული თარგმანების ძირითადი ნაწილი მოღწეულია X-XI სს-ის ნუსხებით. რაც შეეხება კრებულ „მარგალიტის“, ის X ს-ის დასასრულს ან XI ს-ის დასაწყისში ითარგმნა ბერძნულიდან, სავარაუდოდ, ეფთვიმე ათონელის მიერ².

ორანე ოქროპირის რჩეული ქადაგებებისაგან შედგენილი კრებული „მარგალიტის“ (Margaritai) ფართოდ გავრცელებას მოელ ქრისტიანულ სამყაროში ხელს უწყობდა მასში შესული ქადაგებების შინაარსი და ფორმა. სწავლებები, მარგალიტის მარცვლების დარად, ბრწყინვალები და გამორჩეულნი უნდა ყოფილიყვნენ. „მარგალიტი“ შესულ ქადაგებებში კიდევ უფრო გამოიკვეთა ის, რაც ზოგადად ახასიათებს იოანე ოქროპირის სწავლებებს: წმიდა წერილის სიღრმისეული გააზრების უაღრესად მარტივი ფორმით გადმოცემა და, ამდენად, მისი აღქმისა და გათავისების პროცესის გამარტივება მკითხველისათვის³.

კრებული „მარგალიტის“ ქართული რედაქცია დაცულია XI-XII სს-ის ოთხ (E 16; Sin 85/51; Ath. 77/41; S 4936), XII-XIII სს-ის ერთ (A 50), XV-XVI სს-ის ორ (H 1674; A 733) და XVIII-XIX სს-ის ოხუთმეტ ხელნაწერში (Q 725; S 94; H 2281; A 216; S 2912; ქუთაისი №№ 310, 187, 435; A 901; Q 904; S 345; H 2278; H 1677; A 1495; A 1792). ამ ნუსხეთაგან უმრავლესი შერეული ტიპის კრებულია, ანუ კრებული „მარგალიტის“ გარდა შეიცავს სხვა ავტორთა თხულებებსაც.

ჩამოთვლილი 22 ნუსხიდან სამი უძველესი – E 16, Sin 85/51, Ath. 77/41 - საქართველოს ფარგლებს გარეთად შექმნილი და ამჟამადაც უცხოეთშია

1 ა. შანიძე, ხანძეტი მრავალოავი, ობ., 1926, 98-152. Esbroeck M. Van, Les plus anciens homéliaires géorgiens, étude descriptive et historique par Michel Van Esbroeck, Louvain-La-Neuve, 1975. ხანძეტ მრავალოავში შესულია შემდგენ პომილიების ფრაგმენტები: 1) შობისათვებს; 2) ნათლისედებისათვებს; 3) ბზობისათვებს; 4) ფარისეველთა შერისათვებს; 5) დიდისა თოხმაბათის; 6) დიდისა ხუთშაბათის.

2 კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, ობ., 1957, 71.

3 „მარგალიტის“ პოპულარობაზე მეტველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მისი ანალოგით, წმ. ორანე ოქროპირის ქადაგებებსა და სწავლებებზე დაყრდნობით, ახალი მსგავსი კრებულები იქმნებოდა. ამისი ერთ-ერთი მაგალითია რუსეთში XVII ს-ის ცნობილი მოდგაწისა და მწიგნობრის, ანდრეჯი აურბასკის მიერ „ახალი მარგალიტის“ შექმნის ფაქტი (იხ.: Святитель Иоанн Златоуст, Полное собрание сочинений Св. Иоанна Златоуста в двенадцати томах. Том первый, книга первая, введение, Санкт-Петербург, 1898, 361; 367-368).

დაცული: **E 16** იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან XIX ს-ში იქნა ჩატანილი სანკტ-პეტერბურგში და ინახება აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში,ქართულ ხელნაწერთა ფონდში. **Sin 85/51 და მისი პატარა ნაწილი (Sin 42; მუ-19-26-ე საკითხავები)** დაცულია სინის მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერში. **Ath. 77/41** ინახება ათონის მთაზე.

კრებული „მარგალიტის“ ბერძნული წარმომავლობის შესახებ ცნობას გვაწვდის ეფრემ მცირე, რომელიც კრებულ „წინამძღვარზე“ მსჯელობისას ამბობს, რომ „სხუანი წიგნი გამოკრებულნი, ვითარ-იგი არს „მარგალიტი“ და „ყუავილ-კრებული“ და სხუანი მსგავსი მათნი, ბერძულად ეგრეთ გამოკრებულნი არიან“⁴.

აკად. პ. კეკელიძეს ზოგადად აქვს განხილული კრებულ „მარგალიტან“ დაკავშირებული რამდენიმე საკითხი. როგორც ჩანს, გვიანდელ ნუსხებზე დაყრდნობით მეცნიერმა თავდაპირველად „მარგალიტში“ შესული თავების რაოდენობა განსაზღვრა ოცით (20) და მათ საკითხავები უწოდა⁵, მაგრამ შემდეგ შეცვალა თავისი დასკვნა და დაწერა, რომ არსებობს გაცილებით მეტი საკითხავის შემცველი „მარგალიტის“ ნუსხები⁶ (მკვლევარი გულისხმობს „მარგალიტის“ კრებულებს და არა კრებული „მარგალიტის“ შემცველ ნუსხებს ნ.მ.) და ისეთებიც, რომლებშიც, გარდა ოქროპირის ქადაგებებისა, სხვა დიდი ბიზანტიული მამების ქადაგებებიც შედის⁷. ადრინიდელი ნუსხების დეტალური შესწავლის გარეშე ძნელი იყო ამ თავებისა და მათში შესული ე. წ. ქვესაკითხავების გამიჯვნა და საკითხავების საერთო რაოდენობის განსაზღვრა. შევცდებით, გავარკვით რამდენადმე ბუნდოვანი საკითხი, დაკავშირებული „მარგალიტის“ ქართული რედაქციის შემცველი კრებულების სტრუქტურასთან, დავაზუსტოთ, რამდენად იდენტურნი არიან ამ კრებულის შემცველი ნუსხები მათში შესული საკითხავების შედგენილობისა და ამ საკითხავების რაოდენობის მხრივ, ასევე, დავადგინოთ, რა მიმართება შია „მარგალიტის“ ქართული რედაქცია ამ კრებულის ბერძნულ წყაროსთან.

⁴ წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწებითი გადმოცემა, როი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა), გამოსაცემად მოამზადეს რომან მიმინოშვილმა და მაია რაფაგამ, თბ., 2000, 24.

⁵ პ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, 552.

⁶ კეკელიძე 1957 : 71.

⁷ კეკელიძე 1980 : 552.

1) "მაჩგარის" ქათური ჩერაქიის შემცველ
XI-XII საუკუნეების ნესხები

E 16⁸

ხელნაწერი პალეოგრაფიული მონაცემებით თარიღდება XI ს-ით. შესულებულია ეტრატზე, ერთი ხელით. წარმოადგენს შერეული სახის კრებულს, რომლის 3r-176v უკავია „მარგალიტს“. გადაწერილია ვინმე დანიელის მიერ (იხ.: 47r, 176v, 168r, 243r, 330r), პალესტინის წმ. სამოედ წინასწარმეტყველის მონასტერში იოანე უხამურის წინამდღვრობისას, იოსებ შავის ხელშეწყობითა და მონაწილეობით (79r, 176v, 192r, 329r, 330r). ეს ერთ-ერთი ნუსხაა გიორგი ავალიშვილის ხელნაწერთა კოლექციიდან, რომელიც მან საჩუქრად მიიღო პეტრას მიტროპოლიტის, მისაილისაგან, 1820 წ-ს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ყოფნის დროს (2r).

ხელნაწერს წინ უძღვის „ზანდუქი“ (2v), რომელშიც ჩამოთვლილია მასში შესული ოხულებები. ჩამონათვალი იწყება „მარგალიტით“; მოტანილია კრებულის მხოლოდ დასათაურება: „ამას წიგნსა სწერია თავად „მარგალიტი“ სრულად“. „მარგალიტში“ შესული საკითხავების ჩამონათვალი ზანდუქში არ არის გატანილი.

ხელნაწერზე დართული სხვადასხვა დროის მინაწერების საფუძველზე ირკვევა, რომ იგი მეცე თეიმურაზს ხელახლა აუკინძვინებია საქუთარი ხარჯით მაშინ, როდესაც ის პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის კუთვნილებაში იყო. დანარჩენი მინაწერები კუთვნით გადამწერ დანიელს, აგრეთვე, იოსებს, მის ხელისშემწყობს ამ საქმეში, დაბოლოს, ბერ ტარასი ალექსიშვილს: „ეს მარგარიტი ქართულთა ჯუარის მონასტრისა არის, რომელი არს იერუსალიმს და მე აქ, მოსკოვს, ვიხილე გლახაქმან ბერმან ტარასი ალექსისშვილმან წელსა 1830. მასვე ჯვარის მადლსა და ქრისტეს სიყუარულისათვის, ვინც შეიძლოთ და დაიხსნათ, ნუ გამოახვებო ცხოველსმყოფელს ჯვარს და მასვე შესწირეთ საცხოვნებელად სულისა თქვენისა და შესანდობელად ბრალთა თქვენთა. თუმცა სამოელ წინაწარმეტყუელისად არის ეს შეწირული, მაგრა ჯვარის მონასტრისაგან არის გამოტანილი ესე გრიგორი დმრთისმეტყუელი, იოანეს

8 ეს ხელნაწერი - **E 16 (E 113, G 159b)** აღწერილი აქვთ : 1) ა. ცაგარელს: Сведения о памятниках грузинской письменности, вып. II, Каталог грузинских рукописей монастыря св. Креста, близ Иерусалима, №147, СПБ, 1889, стр. 49-50. ცაგარლისებულ აღწერილობაში მოტანილია ხელნაწერზე არსებული რამდენიმე მნიშვნელოვანი მინაწერის ტექსტი; იგი ნუსხას XI-XII სს-ებით ათარიღებს; მკვლევარს არა აქვს გაკეთებული კრებულ „მარგალიტში“ შესულ თხულებათა ჩამონათვალი. 2) ო. ცერაძისა და ლ. ხოფერისა ჯერჯერისით გამოუქვეყნებელი აღწერილობა. აღმწერლებს მაძღვრას მოვახსენებთ მისი გაცნობის შესაძლებლობის მოცემისათვის. საქართველოში არ მოიპოვება ამ ხელნაწერის არც მიკროფირი და არც ფოტოპირი.

სახარების თარგმანი, ფსალმუნის თარგმანი, სამოციქულოს თარგმანი, აპრილისა და ივლისის თვენი, წმიდათა მამათა ქართველთაგან თარგმნილი და დაწერილი და „შეწირულნი“ (236v). მინაწერი გამოქვეყნებულია⁹.

Ath. 77/41

ხელნაწერი აღწერილი აქვთ აღ. ცაგარელსა (№77)¹⁰ და რ. ბლეიქს (№41)¹¹. ცაგარელი მას X-XI სს-ით ათარიღებს, ბლეიკი – XI ს-ით. ეს არის შერეული ტიპის კრებული, რომელიც 123r-213v-ზე შეიცავს კრებულ „მარგალიტს“. არც აღ. ცაგარელს და არც რ. ბლეიქს არა აქვთ თავიანთ აღწერილობებში „მარგალიტში“ შესული საკითხავების ჩამონათვალი – ცაგარელთან არის მხოლოდ ზოგადი დასათაურება – „მარგალიტი“, ბლეიკთან – „ამას წიგნსა ეწოდების მარგალიტი, რომელ არს შეკრებულ მრავალთაგან თქმულობა თქროპირისა“. დღესდღეობით საქართველოში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, გვაქვს ამ ხელნაწერის მხოლოდ მიკროფირი და მისგან გაპეტებული დიგიტალური ვერსია, რომლის ტექსტიც ძნელად იკითხება. მისი გაცნობის შედეგად შეიძლება ითქვას შემდეგი: 1) ნუსხაში წარმოდგენილია „მარგალიტის“ თითქმის სრული ტექსტი. არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც გადამწერის უყურადღებობით მოხდა გადასაწერი ტექსტის გამოტოვება: 64-ე საკითხავს¹² აკლია დასასრული ოცდასამიოდე ხაზი და 65-ეს - დასაწყისი პატარა მონაკვეთი, დაახლოებით ცამეტი ხაზი. 2) 76-ე საკითხავის ერთი გვერდი თრჯერ არის გადაწერილი. 3) უკანასკნელ, 84-ე საკითხავს დასასრულადე აკლია მხოლოდ შემდეგი სიტყვები: „რომელი ახოვან იქმნას ბრძოლასა შინა და უდებ-კნა უძლურნი. უდებებითა თუსითა მოინადირონ იგი მტერთა მისთა უგრძნულად“. ამის შემდეგ ხელნაწერს, როგორც ჩანს, აკლია რაღაც ნაწილი და მოძღვნო გვერდზე არის ჩვენთვის უცნობი, არამარგალიტის უკანასკნელი უქვე ხაზი. შესაძლებელია, 84-ე საკითხავის შემდეგ Ath. 77/41-ში, ისევე როგორც „მარგალიტის“ სხვა რამდენიმე ნუსხაში, იყო „მარგალიტის“ კიდევ ორი საკითხავი: №№85-86 და მათ მოხდევდა

9 ე. მეტრევალი, გ. ავალიშვილი – ბიბლიოფილი და კოლექციონერი, საიუბილეო კრებული პროფ. პ. პეტრელის დაბადების 80 წლისთვის აღსანიშნავად, თბ., 1959, გვ. 255.

10 Сведения о памятниках грузинской письменности, А. А. Цагарели, вып. 1, Санкт-Петербург, 1886, стр. 93.

11 Blake R., Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la Laura d'Iviron au Mont Athos, Paris, 1932, p. 232-235.

12 კვლევით ნაწილში, ამა თუ იმ ტექსტზე მსჯელობისას, მათ „საკითხავებს“ ვუწოდებთ და არ გაპეტებთ დიფერენცირებას „საკითხავებსა“ და „ქვესაკითხავებს“ შორის. ნუმერაციის მოგაქტს ჩვენი ცხრილის მიხედვით, რომელიც გამოკვლევას ერთვის.

ოქროპირისავე რამდენიმე, არამარგალიტისეული, საკითხავი ან სწავლა. ამ ექვეთ ხაზის შემდეგ გაკეთებულია რამდენიმე მინაწერი, ძირითადად – ნუსხურით, ტექსტისავე ხელით. თოქოს იკითხება „იოანე“, რომელიც შენდობას იოხოვს უფლისაგან და სასუფეველში მის მოხსენიებას. ბოლოს არის „ჩემდ“ (1844) წელს მხედრულით გაკეთებული მინაწერი. ხელნაწერზე ალაგ-ალაგ შემორჩენილია რვეულებრივი პაგინაცია.

Sin 85/51

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ალ. ცაგარელის (№85), ნ. მარსა და ქ. გარიტის (№51)¹³. დათარიღებულია XI-XII სს-ით. არის ოვნაკლული, იწყება მე-9 რვეულით, 27-ე საკითხავის გაგრძელებით. Sin 51-ის წინა რამდენიმე საკითხავი (№№19-26 და 27-ეს ნაწილი) აღმოჩნდა მაშინდელი პ. კამელიძის სახელითის ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ სინის მთაზე ჩატარებული ერთ-ერთი ექსპედიციის დროს. ფურცლების აღწერილობა 42-ე ნომრით (Sin 42) შედის ამ ექსპედიციების შედეგად გამოცემულ „სინის მთის ახლადაღმოჩნდილ ქართულ ხელნაწერთა კატალოგში“¹⁴. ჩვენ საშუალება მოგვეცა ფოტოში გვენახა Sin 42-ის ეს ტექსტი და ზუსტად განგვეხსაზღვრა მასში წარმოდგენილ საკითხავთა სისავსე-ნაკლულობა. სურათი ასეთია: №№19-24 საკითხავები Sin 42-ში სრულად არის წარმოდგენილი; შემდეგ, რამდენიმე ფურცლის კლების გამო, ნაკლულია 25-ე საკითხავი; ასევე ნაკლულია 26-ე საკითხავი, – აკლია დასაწყისი ნაწილი და არის მხოლოდ ორი გვერდის მოცულობის. ამის შემდეგ Sin 42-ის უკანასკნელ გვერდზე, 11r-ზე, იწყება 27-ე საკითხავი: „საონეგბისათვეს და უკეთურებისა“, რომელიც წყდება სიტყვებზე: „უარყვეს და განშორებულ“; ტექსტი გრძელდება და მთლიანდება უკვე Sin 51-ში სიტყვებით: „ლოდ უდაბნოთა ჯუარს-აცუნნეს თავინი მათნი“¹⁵.

6. მარი და ქ. გარიტი Sin 51-ის აღწერისას ნუმერაციას იწყებენ თავი-

13 1) А. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, Каталог грузинских рукописей Синайского монастыря, вып. второй, Санкт-Петербург, 1889, стр. 94; 2) Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М-Л, 1940, стр. 66-74; 3) Catalogue des Manuscrits Géorgiens Litteraires du Mont Sinai par Gérard Garitte, Louvain, 1956, p. 173-187. ქვემოთ, ამ ხელნაწერზე საუბრისას, კუთითებოთ მარისეული და გარიტისეული კატალოგების ნომერები: 51-ს.

14 სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩნდილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შეადგინეს ზ. ალექსიძემ, მზ. შანიძემ, ლ. ხევსურიანმა და მ. ქავთარიამ, საბერძნეთის კულტურის სამინისტრო-სინური კვლევის ფონდი, ათენი, 2005, გვ. 279.

15 2009 წ-ს, სინის მთაზე ჩატარებული მორიგი ექსპედიციის შემდეგ, მისმა ერთ-ერთმა მონაწერემ, სოფიო სარჯველაძემ, მოგვაწოდა Sin 42-ის მის მიერ გადაღებული იმ 10 ფურცლის ფოტო, რომელ ზეც წარმოადგენილია „მარგალიტის“ ნაწილი. ამ ფოტოს მეშვეობით ზუსტად გაირკვა, თუ რომელ საკითხავებს და რა სისრულით შეიცვას Sin 42.

დან, ანუ ის, რაც სხვა ხელნაწერებში 27-ე ადგილზეა, მათოან არის №1. ჩვენ დავადგინეთ რამდენიმე მომენტი, რაც განასხვავებს Sin 51-ის ტექსტს „მარგალიტის“ სხვა ხელნაწერთა ტექსტისაგან:

ა) რამდენიმე საკითხავი უსაოაუროდ ებმის წინა საკითხავებს, ამიტომ, ტექსტის დათვალიერების გარეშე¹⁶, მხოლოდ ზემოხსენებული კატალოგების საფუძველზე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს საკითხავები აკლია Sin 51-ს, ე. ი. „შეიძლება ის აზრი გაჩნდეს, რომ Sin 51 „მარგალიტის“ სხვა ნუსხაობაზე საგრძნობლად განსხვავებული სტრუქტურის ქართველია. ეს საკითხავებია¹⁷: №40 [ქ. გარიტოან და ნ. მართან მიერთებულია №13-ზე]; №№62-63 [№35-ზე]; №№66-67 [№37-ზე]; №№69-70-71-72 [№38-ზე]; №№76-77-78-79-80-81-82-83 [№41-ზე]¹⁸.

ბ) გარიტისა და მარის კატალოგებში Sin 51-ში №20-ით შეტანილია საკითხავი: „სიმდაბლისათვის“: სიმდაბლისათვისცა კეთილ არს თქუენდა მომართ სიტყუად... [31v-32r]. Sin 51-ში ცალკე საოაურით გამოყოფილი ეს ტექსტი არის დასაწყისი ნაწილი ჩვენი ცხრილით მომდევნო, 47-ე საკითხავისა: „სჯულისათვს ბუნებითისა თქუმულისაგან“¹⁹.

გ) Sin 51-ში არ არის მე-60 საკითხავი: „ზიარებისათვს წმიდათა საიდუმლოთა“. მის ადგილას გარიტისა და მარის კატალოგებში 34-ე საკითხავია ასეთი საოაურით: „განგებულებისათვს სტაგერის მიმართ მიწერილისა“: იტყუიან ვიეთნიმე, თუ რაღასათვს არა პირველვე მაცოური იგი არა სრულიად უჩინო-ყო... [43r-47r]. ეს ტექსტი ამ სახით არის კიდევ მხოლოდ ერთ ნუსხაში: XV-XVI სს-ების H 1674-ში (45-ე ნომრით). ეს აღმოჩნდა სრული ტექსტი „მარგალიტის“ დანარჩენ ქართულ ნუსხებში არსებული მომდევნო, ნაკლული (ან შეგნებულად შემოკლებული ნ.მ.) 61-ე საკითხავისა - „განგებისათვის თქუმულისაგან“: ამ ნუსხებში არ არის ის დასაწყისი ნაწილი, რომელიც არის Sin 51-სა და H 1674-ში²⁰. იყო თუ არა თავიდან ეს ტექსტი ორ სხვა უძველეს ნუსხაში - S 4936-სა და A 50-ში, არ ვიცით, რადგან ეს ადგილი მოხვდა ამ ნუსხაობაზე დაზიანებულ ნაწილში.

16 ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია Sin 51-ის ცუდი ხარისხის მიერთებით და მისგან დამზადებული დიგიტალური ვერსია; ტექსტის მოლიანი წაკითხვა მასში ვერ ხერხდება. მისი შედარების საფუძველზე „მარგალიტის“ სხვა, გამართულ, ხელნაწერთან შესაძლებელი გახდა გარკვეული დასკვნების გაკეთება.

17 საკითხავთა ნუმერაციას წარმოვადგენო არა მარისა და გარიტის კატალოგების მიხედვით, არამედ იმ საერთო ცხრილის მიხედვით, რომელიც შედგენილი გვაქვს „მარგალიტის“ სრულ კრებულებზე დაყრდნობით.

18 ერთადევრთი განსხვავება მარისა და გარიტის კატალოგებს შორის არის ის, რომ მართან კიდევ ერთი საკითხავი არ არის დასახლებული - გარიტის კატალოგით №40, ჩვენი ცხრილით - №74. ამის გამო ნ. მარის კატალოგში წარმოდგენილია ერთით ნაკლები თხულება (43) ქ. გარიტის კატალოგთან შედარებით (44).

19 ეს საკითხავი გამოლიანებული სახით, 47-ე ნომრით გვაქვს შეტანილი გამოცემაში.

20 ეს საკითხავი გამოლიანებული სახით, 61-ე ნომრით გვაქვს შეტანილი გამოცემაში.

Ath. 77/41-ში ეს ტექსტი არ არის; რა ვითარებაა ამ მხრივ E 16-ში, არ ვიციო, რადგან ეს თხულება (№61) ოცოდიანი კლასიფიკაციით ეწ. „ქვესაკიოთხავად“ ხვდება მე-13 თავში, ხოლო „ქვესაკიოთხავები“ E 16-ის აღმ-წერლებს თავიანთ აღწერილობაში შეტანილი არა აქვთ (ხელნაწერის ტექსტი კი ჩვენთვის ამ ეტაპზე ხელმიუწვდომელია).

დ) „მარგალიტის“ 84-ე და 85-ე საკიოთხავები არ არის Sin 51-ში. გარიტის კატალოგის 42-ე ნომრით წარმოდგენილია „მარგალიტის“ ბოლო, 86-ე საკიოთხავი: „სინანულისათგა“: გვრგზნი, ოქროსითა ყუავილითა აღრეულად დათხული... [73r-77r]; დაზიანების კვალი ხელნაწერის ამ ნაწილში არ არის.

ე) გარიტის კატალოგით 42-ე საკიოთხავს (ჩვენი ცხრილით – 86-ეს) შინ 51-ში მოსდევს ოქროპირისავე საკიოთხავი: „წიგნისგითხვისათგს და დაყუდებისა“ [77r-84v]. საკიოთხავის შემდეგ, სანამ დაიწყება არაოქროპირისეული თხულება („ოქუმული წმიდისა ეფრემისი, ორგმანებული მე-ექუსისა ფსალმუნისაო, მარხვისათგს და სინანულისა“), არის ტექსტი, რომელიც, მისი შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლოა, იყოს ინფორმაცია „მარგალიტის“ დასრულების შესახებ, მაგრამ, ასევე, შესაძლოა, ეკუთვნოდეს არა მთლიანად „მარგალიტს“, არამედ 86-ე სიტყვას.: „ამიერიოგან საფასე იგი სიტყვისად დავპატეჭდო. ღმრთისა ქმნულთა ამათ განსასუენებელთა თქუენ წარგმარონე, რომელსა შინა კეთილი სურნელებად და შუენიერნი ახალნერგნი, რომელნი ღმერთმან მამათა ჩუენთამან საზრდელად ეკლესიათოთგს დაპატერგნა ქრისტე იესუს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისად არს დიდება“.

დაბოლოს, 90v-91r-ზე, არის კოლოფონი, რომელშიც დასახელებულია გინძე ჯოჯიკეული, რომელიც წერს, რომ თან არ ახლდა „სწრაფასა შინა მწერალი“ და ამიტომ თვითონ გადაწერა ეს ხელნაწერი; არ ეყო ძალა, რათა სრულად გადაწერა და, მისი სიტყვებით, „მარგალიტი რდენ დავწერე და სხუათა საკიოთხავთაგან ნაწყუდები დავწერე“.

მოტანილი მასალა იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, რომ Sin 51-ში არსებული „მარგალიტის“ ტექსტი რამდენიმე შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ ამ ნუსხისათვის დამახასიათებულ ჩვენებას იძლევა. ჩვენ მიერ ჩატარებული ტექსტოლოგიური კვლევის საფუძველზე გაჭირდება საუბარი Sin 51-ში „მარგალიტის“ განსხვავებულ ქართულ რედაქციაზე, მაგრამ მის დენიად სხვა ქართულ ნუსხათა წყაროსაგან მცირედ განსხვავებული წყაროს, ან კრებულის სტრუქტურასა და ტექსტში გადამწერ-რედაქტორის²¹ აქტიური ჩარევის ვარაუდი შესაძლებელია.

21 ქვემოთ ნუსხათა გადამწერებს პირობითად ვარგმევთ „გადამწერ-რედაქტორებს“. ამით გვსურს მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ ყველა ეს ნუსხა საქმაოდ კვალიფიციური გადამწერის ხელიდან არის გამოსული და ჩანს მათი გარკვეული ჩარევა ტექსტში (ოღონდ არა ახალი რედაქციის შექმნის გუთხით).

S 4936

ეს არის XI ს-ის თავნაკლული კრებული, რომელიც მხოლოდ „მარგალიტს“ შეიცავს – სხვა ავტორთა თხზულებები მასში არ არის შეული²². ხელნაწერზე არსებული რვეულებრივი პაგინაციით დაგადგინეთ, რომ მას მოლიანად აკლია პირველი რვეული, მეორე რვეულის ერთი ფურცელი, მე-12 რვეულის დაახლოებით 7 ფურცელი, მე-13 რვეულიდან მე-19 რვეულის ჩათვლით – მოლიანად. ხელნაწერი ამ ფურცლების დაკარგვის შემდეგ ხელახლა არის აკინძული და ამიტომ პაგინაცია გვიანდელია და გაბმული. ამ ნაკლულ გვერდებზე უნდა ყოფილიყო „მარგალიტის“ შემდეგი საკითხავები²³: №№ 1,2,3,4-ის პირველი ნახევარი, №41 (დაახლოებით 2/3), №42-დან №74-ის ჩათვლით ყველა.

83-ე საკითხავის შემდეგ **S 4936-ში 101r-148r-ზე** არის ოქროპირის 7 სწავლა, რომლებიც არ შედის კრებული „მარგალიტის“ შემადგენლობაში. ყოველ მათგანს თხზულების დასახელების წინ აღნიშნული აქვს „მისივე“. ესენია: 1) „სინანულისათვს და აღოქუმათათვს საუკუნეთა“; 2) „რაოთა მოსწრაფე ვიყვნეთ დაცვად მცნებათა ქრისტესთა“; 3) „სინანულისათვს და ლოცვისა“; 4) „საუკუნოებსა საშჯელისათვს. მათეს თავისაგან“; 5) „ვითარმედ კეთილ არს საღმრთო იგი გლოვად და ბოროტ არს სიცილი. მათეს თავისაგან“; 6) „ვითარმედ უგმს ქრისტეანესაცა საქმეთა კეთილთა მოგებად. მათეს თავისაგან“; 7) „რაოთა მოუწყინებელად ვევზდრებოდით დმერთსა პოვნად წყალობისა“.

რვეულებრივ პაგინაციაზე დაყრდნობით აშკარა გახდა, რომ ნუსხა ამ ნაწილში ნაკლული არ არის, ანუ „მარგალიტის“ ამ კრებულში თავიდანვე არ იყო 84-85-86-ე საკითხავები.

A 50

ეს არის თ. ჟორდანიას მიერ XIII ს-ით დათარიღებული ნუსხა²⁴,

22 ის.: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (ს) კოლექცია, ტ. VI, შეადგინეს და დასაბჭედდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, ლ. ქაჯაიძე, ლ. ქეთაორელაძემ, შანიძემ და ც. ჭანკიევმა ელ. მეტრეველის რედაქციით, „მეცნიერება“, თბ., 1969, გვ. 249-251. აღწერილობაში ხელნაწერი დათარიღებულია XI ს-ით, მითოებულია გადამწერის ვინაობა (მაკარი) და ის, რომ ხელნაწერს აქვს რვეულებრივი პაგინაცია. ჩამოთვლილია ის თხზულებები, რომლებიც დღესდღეობით შედის ამ საცმაოდ დაზიანებულ ხელნაწერში, ხოლო დაკვირვება იმის შესახებ, თუ „მარგალიტის“ რომელი საკითხავები აკლია მას და რომელია ოქროპირის არამარგალიტისეული საკითხავები, ჩვენ გვეკუთვნის.

23 საკითხავების ნუმერაციას აქ და ქვემოთ ყველგან წარმოვადგენოთ არა ოცთავიანი შედგენილობის პრინციპით, არამედ სათვალავში შეგვაქვს „მარგალიტში“ შესული ყველა საკითხავი, ანუ უ. წ. „ქვესაკითხავებიც“. ამ პრინციპით შედგენილ ცხრილს, დამყარებულს „მარგალიტის“ ყველა მოღწეული ნუსხის ჩვენებაზე, გამოკვლევის ბოლოს წარმოვადგენოთ.

24 Жордания Т., Описание рукописей и старопечатных книг Церковного Музея

შერეული ტიპის კრებული, რომლის 205-310-ე გვერდები უკავია „მარგალიტი“²⁵. ხელნაწერი ბოლონაკლულია: მასში წარმოდგენილია 1-50-ე საკითხავები (გვ. 205-308; 50-ე საკითხავი მოიცავს მხოლოდ 15 ხაზს და წყდება სიტყვებით: „გარნა რომელმან-იგი დაპირი მხოლოდ 15 ხაზს“); აკლია 51-52-53-ე საკითხავები მთლიანად ხელნაწერის დაზიანების გამო; 309-310-ე გვერდებზე წარმოდგენილია 54-ე და 55-ე საკითხავები სრულად, ხოლო 56-ე საკითხავის მხოლოდ 9 ხაზი (ფურცლების კლების მიუხედავად, პაგინაცია გრძელდება გაბმულად, რადგან ხელნაწერი ხელახლი აკინძვის შემდეგ არის დანომრილი). ამაზე წყდება A 50-ში კრებული „მარგალიტი“: დანარჩენი საკითხავები მას აკლია.

**2) "მახალის" ქახთელი ჩერაქსის შემცველი
XV-XVI საუკუნეების ნუსხები**

H 1674

ნუსხა XV-XVI სს-ით არის დათარიღებული. დაზიანებულია, აკლია როგორც დასაწყისი ნაწილი, ასევე დასასრული. საკითხავების თანმიმდევრობა არეულია, როგორც ჩანს, ხელახლი აკინძვის დროს. „მარგალიტის“ საკითხავების რიგის დარღვევისა და სათაურის არარსებობის გამო აღწერილობაში ტექსტი გატანილია როგორც „სწავლანი“²⁶.

H 1674-ში „მარგალიტის“ საკითხავები ასეთი სისრულითაა - აკლია შემდეგი საკითხავები: а) 1-დან 23-ის ჩათვლით (მე-5-ის გამოკლებით); ბ) 50-დან 54-ის ჩათვლით; გ) №№84-85-86. საკითხავების თანმიმდევრობა ასეთია: №№ 5; 24; 25; 29; 26; 27-28; 30-დან 49-ის ჩათვლით; 62-დან 74-ის ჩათვლით; 55-დან 59-ის ჩათვლით; 61; 75-დან 83-ის ჩათვლით.

H 1674 ნუსხაში დაცული „მარგალიტი“ შემდეგ სხვაობას გვიჩვენებს

духовенства Грузинской епархии, книга первая, отдел I, рукописи, Тифлис, 1902, стр. 39-40.

25 А 50-ის ო. ქორდანიასეულ აღწერილობაში „მარგალიტის“ გვერდებად მითითებულია 205-255; ო. ქორდანიას შემდეგ გაკეთებულ აღწერილობაში (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ქორდანიასი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. I-1, შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს ო. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთაოვლაძემ ელ. მეტრეველის რედაქციით, „მეცნიერება“, თბ., 1973, გვ. 133-136) ნუსხა მიჩნეულია XII ს-ის შეზაფრასულ კრებულად და „მარგალიტის“ შედგენილობა წარმოდგენილია ოცი თავიდან A 50-ში შემორჩენილი 11 თავის სათაურებით. დანარჩენი თხზულებების - ამ ოერთმეტ თავში შემავალი ე. წ. „ქვესაკითხავების“ - არც სათაურებია მითითებული და არც გვერდები.

26 იხ.: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქ-ოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ქ. გეგელიძის საერთო რედაქციით, შედგენილია და დასაბუქდად დამზადებული ე. მეტრეველის მიერ, თბ., 1950, ტ. IV, გვ. 106-108.

ამ კრებულის შემცველი მთელი რიგი ხელნაწერების შედგენილობისა-გან:

№60 საკითხავის – „ზიარებისათვეს წმიდათა საიდუმლოთა“ – აღგი-ლას არის 45-ე ნომრით შემდეგი საკითხავი²⁷: „სიტყვანი განგებულები-სათვეს სტაგეროსის მიმართ მიწერილისა“: იტყვნ ვიჟონიმე, თუ რაისათვეს დაპარაფა უფალმან პირველივე მაცოურნი და არა უჩინო-ყო... (105r-110v). სწორედ ასეთივე ვითარებაა Sin 51-ში, რაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ.

Н 1674-ში პაგინაცია, მიუხედავად საკითხავების კლებისა და თანმიმდევრობის აღრევისა, გაძმულია, ანუ 1v-დან 128r-მდე არის განლაგებული „მარგალიტის“ 56 საკითხავი. როგორც ჩანს, პაგინაცია ამ ხელნაწერს თავიდან გაუკეთდა მისი ხელახლი აკინძვის შემდეგ. №83 საკითხავს (Н 1674-ში №56-ს), რომელიც მთავრდება 128r-ზე, მოსდევს სახარების სხვა-დასხვა აღგილის რამდენიმე თარგმანება, რამდენიმე „სწავლა“ და სამი თხზულება, რომელთაც არა აქვთ კავშირი ოქროპირობა. ხელნაწერის დაზიანების გამო გაჭირდება იმის თქმა, თუ რამდენად იცავს ეს კრე-ბული „მარგალიტის“ სტრუქტურას და უკანასკნელი სამი საკითხავიდან (№84-85-86) იყო თუ არა მასში დაზიანებამდე რომელიმე წარმოდგენილი.

A 733

XVI ს-ის ნუსხა, A 733, შერეული ტიპის კრებულია, რომლის 49r-143v უკავია „მარგალიტის“²⁸. ხელნაწერი სრულიად დაუზიანებელია, გადაწერილია ლამაზი ნუსხურით, ჩართული აქვს ფერადი მინიატურები. ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ის, რომ A 733 ძირითადად იმეორებს XI-XII სს-ეთა ნუსხათა ჩვენებებს, მაგრამ მისი გადამწერი თუ რედაქტორი, როგორც მორფოლოგიური, ასევე ფონეტიკურ-ორთოგრაფიული კუთხით, აქტიურად ერევა ტექსტში: მასში უძველეს ნუსხათაგან ბევრი განსხ-ვავებული ფორმა. ეს არც არის გასაკვირი და მოულოდნელი XVI ს-ში გადაწერილი ხელნაწერისათვის. რადგან კრებული „მარგალიტის“ შემ-ცველი ყველა უძველესი ნუსხა (XI-XII სს-ისა) გარკვეული ხარვეზების მქონეა და არ გვაძლევს სრული სურათის აღდგენის საშუალებას, ტექს-ტის დადგენისათვის საკმაოდ დიდი დახმარება გაგვიწია სწორედ XVI ს-ის A 733-შა.

27 Н 1674-ში საკითხავების ჩვენეული ნუმერაცია პირობითია: არ ვითვალისწინებთ ნაკლულ საკითხავებს და ვნომრავთ №1-დან მხოლოდ იმას, რაც წარმოდგენილია ამ ხელნაწერში; მასში სულ 56 საკითხავია. ე.ი. Н 1674-ის №1 შეესატყვისება ჩვენი ცხრი-ლის №5-ს, №2 - №24-ს და ა.შ.

28 Жордания Т., Описание рукописей и старопечатных книг Церковного Музея духовенства Грузинской епархии (ქონივები, I, тб., 1893), стр. 193. აღწერილობაში არ არის ჩამონათვალი „მარგალიტში“ შეტანილი თხზულებებისა.

კრებული „მარგალიტი“ A 733-ში შემდეგნაირად არის დასაოაურებული: „ამას წიგნსა ეწოდების „მარგალიტი“, რომელ არს მრავალთაგან თქმულთა ოქროპირისათა“. ის შეიცავს 86 საკითხავს და დართული აქვს გადამწერლისეული მინაწერი, რომელიც გვამცნობს კრებულის დასრულებას: „კურთხეულ არს ქრისტე, ღმერთი ჩუენი. სრულ-იქმნა წმიდად ესე მარგალიტი. ქრისტე, შენ მიმადლე ადსრულება ამათ მცნებათად მეოხებითა წმიდისა იოანე ოქროპირისათად ამათისა წერისა მიზეზსა [და მოღუაწესა] და სასოებით მაიძულებელსა მონასა შენსა ცოდვილსა ამბროსის. ამენ იყავნ!“ (143r). ამის შემდეგ A 733-ში მოთავსებულია იოანე ოქროპირისავე რამდენიმე სწავლა.

3) XI-XVI საუკუნეების ნუსხების უთიერთმიმართება

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ აკად. კორნელი კეცელიძის ვარაუდით, კრებული „მარგალიტის“ მთარგმნელი ეფოვიმე მთაწმიდელია. ამდენად, დიდი ალბათობით, ეს სამუშაო ათონის მთაზე, ქართველთა მონასტერში უნდა შესრულებულიყო. უკვე ითქვა იმის შესახებაც, რომ უძველეს ნუსხათაგან დღესდღეობით სამი ნუსხა უცხოეთში არის დაცული: ერთი ათონზე (Ath. 77/41), მეორე – სინის მთაზე (Sin 85/51), ხოლო მესამე – სანკტ-პეტერბურგში (E 16). წინასწარი ვარაუდით შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ათონის მთაზე გადაწერილი ნუსხა ან მისგან მომდინარე რომელი-დაცა შეალედური ხელნაწერი უნდა ყოფილიყო დანარჩენ ნუსხათა დედანი. ამ ვარაუდის შესამოწმებლად საკმაოდ სკრუპულობური სამუშაო ჩავატარეთ: ტექსტის დასადგენად გამოვიყენეთ ყველა უძველესი ნუსხა XI-XIII და XV-XVI სს-ისა (E 16-ის გამოკლებით), და ამ ნუსხათა მონაცემები შევუდარეთ ერთმანეთს. ჩვენი წინასწარი ვარაუდი ნაწილობრივ გამართლდა: ათონის მთაზე დაცულ Ath. 77/41-თან მართლაც ავლენს სიახლოეებს საქართველოში დაცული რამდენიმე ნუსხა, მაგრამ გამოიკვეთა ნუსხათა მეორე ჯგუფიც, რომელიც Sin 51-ს უკავშირდება და გარკვეულ სხვაობებს გვიჩვენებს პირველი, Ath. 77/41-ის ჯგუფისაგან.

ყველა ქართულ ნუსხაში, როგორც უძველესში, ასევე შედარებით გვიანდელში, „მარგალიტი“ ერთი რედაქციით არის წარმოდგენილი – სხვაობები მათ შორის ვარიანტულ დონეზეა. ნუსხათა დაჯგუფებისას საკმაოდ ჭრელი სურათი გვაქვს: ტექსტები, მიყვებიან რა საერთო რედაქციას, ერთიანდებიან ორ ჯგუფში – Ath. 77/41-ისა და Sin 51-ის. ეს ჯგუფები დროდადრო იშლება, რადგან, როგორც ჩანს, გადამწერ-რედაქტორები²⁹

29 ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ოუ რა მნიშვნელობით გხმარობთ „გადამწერ-რედაქტორებს“. კიდევ ერთხელ კუსკვმთ ხასს, რომ ყველა ამ ნუსხაში კვალიფიციურ გადამწერთა მხრიდან საკმაოდ ბევრი ჩარევაა, მაგრამ არა ახალი რედაქციის შექმნის

საქმაოდ აქტიურად ერეოდნენ გადასაწერ ტექსტი - ყოველმა მათგანმა თავ-თავის გადანაწერში გარკვეული ცვლილებები შეიტანა. ამის საფუძველზე ნუსხები ხშირად გამოეყოფიან თავიანთ ჯგუფს და საკუთარ წაკითხვებს გვთავაზობენ.

ქვემოთ თავს ავარიდებო კონკრეტული მაგალითების მოტანას, რადგან დაინტერესებულ მკითხველს ადვილად შეუძლია ჩვენი დასკვნების სისტორე ტექსტები დართული კრიტიკული აპარატის მეშვეობით შეამოწმოს. მასალის განხილვას დავიწყებო XI-XII სს-ის Sin 51-ით, რადგან მასში არსებული ტექსტი მეტ ხელშესხებს გვთავაზობს.

ტექსტზე დართული კრიტიკული აპარატიდან აშკარად ჩანს, რომ ძალიან ხშირად Sin 51-ში (E)³⁰ დაცული ტექსტის წაკითხვებს იმეორებს XII ს-ის S 4936-ის (C) ტექსტი და, აგრეთვე, XV-XVI სს-ის H 1674-ის (H), მაგრამ ხშირია ის შემთხვევებიც, როდესაც Sin 51 თავისი წაკითხვებით სხვა ნუსხათაგან განცალკევებით დგას. ამდენად, თუ დავუშვებო CH ნუსხათა კავშირს და მომდინარეობას E-ს მსგავსი ტექსტიდან, ახსნა დასჭირდება იმ შემთხვევებს, როდესაც E ნუსხა მათგან განსხვავებულ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ წაკითხვებს შეიცავს, აგრეთვე, იმ შემთხვევებს, როდესაც H ინარჩუნებს E-ს წაკითხას, ხოლო C-ში მისგან განსხვავებული მონაცემია ან პირიქით, C-ს მონაცემი თანხვდება E-სას, ხოლო H მათგან განსხვავებულ წაკითხას შეიცავს.

არსებული მასალის გაანალიზებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ CH ნუსხების E ნუსხისაგან ადგილ-ადგილ არსებული სხვაობის წყარო უნდა ვეძებოთ დღეს ჩვენს ხელო არარსებულ იმ ნუსხაში, რომელიც არის წყარო როგორც CH ნუსხებისა, ასევე E ნუსხის, ანუ CH ნუსხებში დაცული ტექსტი მომდინარეობს არა უშუალოდ E ნუსხიდან, არამედ იმ ხელნაწერიდან, რომლიდანაც გადაიწერა E ნუსხაც და რომელმაც უკათესად შეინარჩუნა საერთო რედაქციის წაკითხვები, ვიდრე E-ში დაცულმა ტექსტმა. CH ნუსხათა E ნუსხისაგან განსხვავებების კიდევ ერთი მიზეზი უნდა იყოს ამ ნუსხათა (CH) გადამწერთა თუ გადამწერ-რედაქტორთა აქტიური ჩარევა გადასაწერ ტექსტში.

დაახლოებით იგივე სურათი გამოიკვეთა ნუსხათა მეორე ჯგუფთან (Ath. 77/41, A 50, A 733) დაკავშირებით, სადაც ამოსავალ ნუსხად, წყაროდ ამ ჯგუფში შესულ სხვა ნუსხათათვის უნდა ვივარაუდოთ ის ტექსტი, რომელიც საფუძვლად დაედო X-XI სს-ის Ath. 77/41-ს (D).

მართალია, XII-XIII სს-ის A 50 (A) და XVI ს-ის A 733 (B) ამჟღავნებენ სიახლოვეს Ath. 77/41-ის (D) ტექსტთან, მაგრამ შეინიშნება მისგან გარკვეული განსხვავებებიც. D-ში ტექსტი უკვე ნაწილობრივ გადამუშავე-

³⁰ აქ და ქვემოთ ყველგან ნუსხებს აღვნიშნავთ იმ ლიტერებით, რომლებიც გამოყენებული გვაქვს გამოსაცემ ტექსტში.

ბულიჩანს თავდაპირველ თარგმანთან შედარებით: მისი გადამწერ-რედაქტორი ამჟღავნებს ტენდენციას ტექსტის უმნიშვნელო შემოკლებისა ერთი ან რამდენიმე სიტყვის ფარგლებში. ამდენად, არც ამ შემთხვევაში ჩანს გამორიცხული იმ თავდაპირველი ტექსტის არსებობა, რომელიც დაედო საფუძვლად როგორც Ath. 77/41-ს, ასევე AB ნუსხებს. ამ ტექსტს, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, მეტად პქონდა შენარჩუნებული თავდაპირველი, საერთო რედაქციის წაკითხვები და, რიგ შემთხვევებში, AB ნუსხები ასეთი წაკითხვებით უერთდებიან ECH ჯგუფს, ანუ თავდაპირველ წყაროს.

ზემოთ თქმულის საფუძველზე უნდა დავასკვნაო, რომ ამ ორ ჯგუფს (CEH-სა და ABD-ს) ერთი და იმავე რედაქციის, ერთმანეთისაგან ვარიანტულ დონეზე განსხვავებული თრი ტექსტი დაედო საფუძვლად; მათგან ერთს, Ath. 77/41-ის, A 50-ისა და A 733-ის წინამორბედს, მეტად პქონდა შენარჩუნებული თავდაპირველი რედაქციული სახე, ხოლო მეორეში, რომელიც **Sin 85/51-ის, S 4936-ისა და H 1674-ის** პროტოტიპად უნდა ვივარაუდოთ და რომელიც სინის მთასონ ჩანს დაკავშირებული, გარკვეული სტრუქტურული და ტექსტოლოგიური ცვლილებები იქნა შეტანილი.

ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ამ ორი ჯგუფის არსებობის მიუხედავად,, „მარგალიტის“ ქართული თარგმანი ერთი რედაქციით არის წარმოდგენილი. ეს გულისხმობს იმას, რომ ძალიან ხშირად ყველა ეს ნუსხა ერთიანდება და საერთო წაკითხვას წარმოადგენს (უბრუნდება თავის პირველწყაროს).

II. ყებული „მარგალიოს“ სტუქუს

კრებული „მარგალიტის“ ქართული რედაქცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოღწეულია **XI-XII** სს-ის ოთხი (E 16; Sin 85/51; Ath. 77/41; S 4936), **XII-XIII** სს-ის ერთი (A 50), **XV-XVI** სს-ის ორი (A 733; H 1674) და **XVIII-XIX** სს-ის ოხუთმეტი ხელნაწერით (Q 725; S 94; H 2281; A 216; S 2912; ქუთაისი №№ 310, 187, 435; A 901; Q 904; S 345; H 2278; H 1677; A 1495; A 1792).

„მარგალიტის“ ქართულ რედაქციაში შესული 86 საკითხავის სათაურები სხვადასხვა პერიოდის ხელნაწერებში ორგვარად არის გაფორმებული. უძველეს ნუსხებში (XI-XIII და XV-XVI სს-ის) ყველა საკითხავის სათაური ერთგვაროვანია – დაწერილია მსხვილი ასომთავრულით. ვფიქრობთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სათაურების ქვეშ არსებული საკითხავები თანაბარი აზრობრივი დატვირთვის მატარებლად არის მიწნეული. რაც შეეხდა XVIII-XIX სს-ის ნუსხებს, აქ ვთარება იცვლება: მართალია, ზოგიერთი ხელნაწერი იმეორებს უძველესი ნუსხების სურათს, მაგრამ მოედ რიგ ნუსხებში აშკარად ჩანს კრებულის ოცთავიანი სტრუქტურა: „მარგალიტის“ სრული ტექსტი დაყოფილია 86 ნაწილად, მაგრამ მხოლოდ 20 სათაურია გაფორმებული მსხვილი ასოებით, დანარჩენი 66 – წვრილი ხელნაწერით (ზოგჯერ წითელი ფერის მელნით, ზოგჯერ იმავე ფერის, რომლითაც ნაწერია ტექსტი, და მიწერილია აშიაზე, ტექსტის გასწვრივ). სათაურების ასეთი გაფორმება აშკარად მიანიშნებს იმაზე, რომ ამ 86 სათაურის არსებობის მიუხედავად, კრებულში 20 საკითხი არის განხილული.

უნდა აღვნიშნოთ, რომ „მარგალიტის“ XI-XIII და XV-XVI სს-ის ნუსხებში შესული 86 საკითხავის სათაურებში, ფორმობრივი მსგავსების პარალელურად, არის გარევაული აზრობრივი სხვაობა: საკითხავების ნაწილს სათაურში აქვს „ოქუმული ოქროპირისა“, ხოლო დანარჩენებს – „ოქუმულისაგან ოქროპირისა“, ან „თარგმანებისაგან“ ამა თუ იმ ბიძლიური წიგნისა. ეს გვაფიქრებინებს, რომ კრებულის შემდგენელს ჩაფიქრებული პქონდა ტექსტის დაყოფა ძირითად და ქვესაკითხებად, მაგრამ ძირითადი თავების ასე თუ ისე გამიჯვნა ქვესაკითხავებისაგან მაინც პირობითია და ბოლომდე ნათელ სურათს ვერ ქმნის: როგორც „ოქუმული ოქროპირისა“, ასევე „ოქუმულისაგან ოქროპირისა“, ერთი და იმავე პრინციპით არის შედგენილი: ორივე სახის საკითხავებში ტექსტი აღებულია ოქროპირის რომელიმე სრული თხზულებიდან, შემოკლებულია და, გარკვეულად, გადამუშავებული. ძირითადად არც მოცულობის თვალსაზრისით არის სხვაობა „ოქუმულსა“ და „ოქუმულისაგან“-ს შორის.

ის, რომ „მარგალიტის“ ქართულ რედაქციაში შესული ამ კ. წ. 66

ქვესაკიოთხავის დასათაურება პირობითია, ანუ შინაარსობლივი დატვირთვის თვალსაზრისით არ არსებობს განსხვავება „ოქმულსა“ და „ოქმულისაგან“-ს შორის და რომ ტექსტის ეს მონაკვეთებიც ძირითადი სათაურის ქვეშ მოიაზრება, კლინდება სხვაგვარადაც – ზოგჯერ რომელიმე ქვესაკიოთხავი ანუ ქვეთავი უსათაუროდ არის მიერთებული წინა საკიოთხავის ტექსტზე. ყველაზე ხშირად ეს ხდება სინის მთის XI-XII სს-ის ხელნაწერ Sin. 51-ში (ამ დაზიანებულ და ნაკლულ ხელნაწერში ქვესათაურის გარეშე ტექსტზე მიერთებულია 17 ქვეთავი).

ჩამოთვლილ მიზეზთა გამო, ვფიქრობთ, ტექსტის დაყოფისას უნდა ვისაუბროთ არა ძირითად თავსა და ქვესაკიოთხავებზე, არამედ 20 თავსა და, სათანადოდ, 20 განხილულ საკიოთხზე: ამ თვი საკიოთხის განხილვას იმავე უფლებით და სისრულით ემსახურება როგორც ძირითადი სათაურის ქვეშ არსებული ტექსტის მონაკვეთი, ასევე ე.წ. ქვესაკიოთხავები. ეს „ძირითადი“ თავი უბრალოდ ერთგვარი შესავალია ამ თავში განხილული საკიოთხისათვის, ხოლო „ქვესაკიოთხავები“ – თემის გაგრძელება, მისი დაკონკრეტება და არგუმენტირება.

ამდენად, სამართლიანი იქნება, თუ ამ 86-ივე საკიოთხავს ერთნაირ კვალიფიკაციას მივანიჭებთ, ანუ თანაბარი დირექტულებისად მივიჩნევთ და ვისაუბრებთ მათ საფუძველზე ოცთავიანი „მარგალიტის“ ფარგლებში განხილული 20 საკიოთხის შესახებ¹.

„მარგალიტის“ უძველესი ნუსხების დაზიანების გამო ჭირს იმის დადგენა, ზუსტად რამდენ საკიოთხავს შეიცავდნენ ისინი. ორი ამ ნუსხათავანი (Ath. 77/41 და A 50) ბოლონაკლულია: A 50 მთავრდება 56-ე საკიოთხავით, ხოლო Ath. 77/41 – 84-ეთი. სამში (Sin. 85/51, S 4936-სა და H 1674-ში) კი 83 საკიოთხავია: Sin. 85/51-ში 83-ე საკიოთხავს მოსდევს იოანე ოქროპირის ის სწავლა, რომელიც არ არის „მარგალიტის“ არც ერთ სხვა ნუსხაში: „წიგნისკიოთხვისათვეს და დაყუდებისა“ (მისი შესატყვისი ტექსტი არის PG 63-ში, col. 940-942); საგჭვრდ გვეჩვენება მისი „მარგალიტისადმი“ მიკუთვნება. ამ კითხვაზე ზუსტ პასუხს ვერც ნუსხის გადამწერის, ვინმე ჯოჯიქეულის, ანდერძი გვაძლევს: „მარგალიტი ოდენ დავწერე და სხუათა საკიოთხავთაგან ოდენ ნაწყუედები დავწერე“. ვფიქრობთ, „სხვა საკიოთხავებში“ იგულისხმება ამ ნუსხაში არსებული არა მხოლოდ სხვა ავტორთა თხზულებებიდან ნაწყვეტები, არამედ იოანე ოქროპირისავე საკიოთხავიც „წიგნისკიოთხვისათვეს და დაყუდებისა“ თუ ის იმთავითვე არ იყო მიჩნეული „მარგალიტის“ კუთვნილებად. S 4936-სა და H 1674-შიც „მარგალიტი“ 83-ე საკიოთხავით მთავრდება, ოდონდ მას მოსდევს არა „წიგნისკიოთხვისათვეს

1 მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვსაუბრობთ კრებულის ოც (20) თავსა და ამ ოც თავში შესულ 86 საკიოთხავზე, პირობითად მაინც გვიჩდება ვიხმაროთ სიტყვები: „ძირითადი თავი“ და „ქვესაკიოთხავი“. ამავე პრინციპით შევადგინეთ „მარგალიტში“ შესული საკიოთხების ცხრილიც, ანუ გამოიჯენთ ერთმანეთისაგან ძირითადი თავები (ოცი თავის სათაურების ქვეშ არსებული ტექსტი) და ე.წ. ქვესაკიოთხები.

და დაყუდებისა“, არამედ S 4936-ში – იოანე ოქროპირის რომელიდაცა სხვა 7 სწავლა, ხოლო H 1674-ში – ოქროპირისავე 4 თარგმანება და 5 სწავლა, რომელთაც ნამდვილად არა აქვთ კავშირი „მარგალიტონა“. რაც შეეხება XI ს-ის E 16-ს, მას აქვს გადამწერის მინაწერი, რომელიც გვამცნობს „მარგალიტის“ დასრულებას, მაგრამ ზუსტად რა ვითარება მასში უკანასკნელი ქვესაგითხავების მიმართულებით, ანუ მოლიანობაში რამდენ საკითხავს შეიცავს, არ ვიცით, რადგან ხელო გვაქვს ამ ნუსხის მხოლოდ აღწერილობა 20 მირითადი თავის სათაურების ჩამონათვალით.

86 საკითხავიანი „მარგალიტი“ პირველად გამოჩნდა XVI ს-ის A 733-ში. ვვარაუდობთ, რომ უკანასკნელი სამი საკითხავი, რომლებიც არ ჩანს დღეს ჩვენ ხელო არსებულ უძველეს ნუსხებში, A 733-ში, შესაძლებელია, გადმოვიდა A 50-დან, თუ ის დაზიანებამდე ამ 86-ივე საკითხავს შეიცავდა, ან რომელიდაცა უძველესი სრული ნუსხიდან, რომელზეც გადამწერს ხელი მიუწვდებოდა.

Sin. 85/51, S 4936 და H 1674, რომლებიც ტექსტოლოგიურად ერთმანეთზე დამოკიდებული ნუსხებია, სტრუქტურული თვალსაზრისითაც ახლოს დგანან ერთმანეთობან. დავაკონკრეტებთ, რა გვაქვს მხედველობაში.

Sin 85/51-ში, რომელიც გადამწერილია სინის მთაზე, წმ. ეგატერინეს მონასტერში, გვაქვს ორი საკითხავი, რომლებიდანაც ერთი, შედარებით მცირე ზომის („სიმდაბლისათვს“), როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, არის მხოლოდ ამ ნუსხაში, ხოლო მეორე, „მარგალიტის“ კვალობაზე მოზრდილი, – „სიტყუანი განგებულებისათვს სტაგერის მიმართ მიწერილისა“, **Sin 85/51-ის** გარდა არის XV-XVI სს-ის **H 1674-შიც**. ორივე ამ ნუსხაში ეს მეორე საკითხავი არის ერთსა და იმავე ადგილას, კერძოდ, იმ ტექსტის ნაცვლად, რომელიც სხვა კრებულებთან შედარებით აკლია ორივეს: „ზიარებისათვს წმიდათა საიდუმლოთა“. ეს ორი, ვითომ „ზედმეტი“, საკითხავი („სიმდაბლისათვს“ და „სიტყუანი განგებულებისათვს სტაგერის მიმართ მიწერილისა“) არის ორგანული დასაწყისი ნაწილი იმ ძირითადი თავებისა, რომლებიც მათ შემდეგ არის კრებულში, კერძოდ, „სჯულისათვს ბუნებითისა თქუმულისაგან“ (**N11 Sin 85/51-ში**) და „განგმბულებით თქუმულისაგან“ (**N14 Sin 85/51-სა და H 1674-ში**); პირველს შეესატყვისება ბერძნული ეკლოგების² მე-7 საკითხავი „Peri; tu pein of osinh~“ (**იხ.: PG 63, col. 615-622**), ხოლო მეორეს – მე-10 საკითხავი: „Peri; Pronoia~“ (**იხ.: PG 63, col. 631-638**). ამგვარად, **Sin 85/51-სა და H 1674-ში** უფრო სრულად არის წარმოდგენილი მე-11 და მე-14 თავები, რომლებიც შედარებით შემოკლებული სახითაა „მარგალიტის“ დანარჩენ ნუსხებში.

ტრადიცია „მარგალიტის“ კრებულზე იოანე ოქროპირის სხვა სწავლებების დართვისა ისე, როგორც ეს არის S 4936-სა და H 1674-ში, დასტურდება კიდევ არაერთ გვიანდელ, XVIII ს-ის ნუსხაში (**H 1677, A 1495**,

2 ამ ტექსტის შესახებ ქვემოთ, სპეციალურ თავში ვისაუბრებთ.

A 1495-სა და H 2278). ერთობლიობაში სხვადასხვა ნუსხაში კრებულ „მარგალიტს“ იოანე ოქროპირის დაახლოებით 30 სწავლა მოსდევს. ზოგიერთი ამ სწავლათაგანი მეორდება „მარგალიტის“ სხვადასხვა ნუსხაში და არის 47 სიტყვიან ბერძნულ ეკლოგებშიც, მაგრამ ძირითადად „მარგალიტის“ ნუსხებს ერთმანეთისაგან განსხვავებული სწავლებები ერთვის.

ამგვარად, მოედ რიგ ნუსხებში მკვეთრი ზღვარი იოანე ოქროპირის გამოკრებილ სიტყვათაგან შედგენილ „მარგალიტსა“ და სხვა სწავლებებს შორის არ არის გავლებული.

იმ ნუსხებში, რომლებშიც კრებულ „მარგალიტს“ არ მოსდევს ოქროპირის სხვა სწავლებები (ასეთი ნუსხები უძველესთა შორის უმცირესობაშია), კრებულის ბოლოს კეთდება მინაწერი მისი დასრულების შესახებ. XVI ს-ის A 733-ში არის აღნიშვნა „მარგალიტის“ დასრულების შესახებ (ასეთი აღნიშვნა უძველეს დაუზიანებელ ნუსხათაგან აქვს მხოლოდ E 16-ს) და მხოლოდ ამ აღნიშვნას მოყვა იოანე ოქროპირის რამოდენიმე სწავლა. რაც შეეხება XVIII ს-ის Q 725-ს, გაბრიელ მცირემ ანდერძი დაუროთ მის მიერ რედაქტირებულ კრებულს და აღნიშნა „მარგალიტის“ დასრულება; არც ოქროპირის სხვა სწავლებები და სხვა ავტორთა თხზულებები შეიტანა გაბრიელმა თავის გადაწერილ თრ ნუსხაში. სწორედ ეს ვითარება აისახა Q 725-ის მიმყოლ გვიანდელ ხელნაწერებში (H 2281, S 2912, A 216, ქუთ. 310, ქუთ. 187).

პ. კეკელიძეს, „მარგალიტში“ სხვა ავტორთა თხზულებების შეტანის შესახებ საუბრისას მხედველობაში ჰქონდა „მარგალიტის“ ქართული კრებული³. ჩვენი აზრით, ეს ნათქვამი მიესადაგება ბერძნულ „მარგალიტს“, რადგან, როგორც ჩანს, ამ სახელწოდების ბერძნულ კრებულებში არ იყო გამორიცხული სხვა ავტორთა გამორჩეული საკითხავების შეტანაც. ასეთი ვითარებაა ორმაგი დასახელების მქონე „მარგალიტის“ ბერძნულ კრებულში, რომელზეც ქვემოთ გვაქნება საუბარი.

რაც შეეხება „მარგალიტის“ ქართული რედაქციის იმ ნუსხას, რომელიც მხედველობაში ჰქონდა პ. კეკელიძეს, E 16-ს, მასში „მარგალიტის“ დასრულებისთანავე არის აღნიშვნა ამის შესახებ და ამ ხელნაწერში არსებულ სხვა ავტორთა თხზულებებს ვერ მივაკუთვნებო კრებულ „მარგალიტს“. „მარგალიტის“ ბევრ სხვა ნუსხასაც (ადრინდელს ნაკლებად, გვიანდელებს თითქმის ყოველთვის) აქვს ასევე აღნიშვნა კრებულის დასრულების შესახებ და მათში მხოლოდ ოქროპირის საკითხავებია.

3 ამის დასტურია მკვლევრის შემდეგი სიტყვები: „როგორც გიორგი ავალიშვილის მიერ იქრუსალიმიდან ჩამოტანილი მეათე საუკუნის მარგალიტიდან ჩანს, ამ კრებულში სხვა ავტორთა ქადაგებებსაც ათავსებდნენ სანდახან“... „სინას მთის ხელნაწერში №51 „მარგალიტი“ შეიცავს 43 სტატიას ოქროპირისას, ერთს – ეფურებასურისას“ (კეკელიძე 1980 : 552).

როგორც უბევ ვთქვით, შესაძლებელია, დასრულების აღნიშვნის გარეშე კრებულს მიღევნებული პქონდეს სხვა სწავლებები, მაგრამ ეს სწავლუბები არ ეკუთვნის სხვა ავტორებს, ისინი აუცილებლად ისევ ოქროპირისეულია.

როგორც კვლევამ აჩვენა, ტექსტოლოგიური და სტრუქტურული ოვალსაზრისით „მარგალიტის“ ქართული რედაქციის ორი რამდენადმე განსხვავებული ჯგუფი არსებობს: ექვსი ადრეული (XI-XIII და XV-XVI საის) ნუსხიდან დანარჩენთაგან ცალკე დგება სამი: Sin 85/51, S 4936 და H 1674. ამ ნუსხებში 83 საკითხავია; ეს კრებულები საკითხავთა შედგენილობითაც მცირედ, მაგრამ მაინც განსხვავდებიან დანარჩენი ძველი კრებულებისაგან. რაც შეეხება მეორე ჯგუფს, ვვარაუდობო, რომ Ath. 77/41 და A 50 ბოლონაკლული ნუსხები დაზიანებამდე 86 საკითხავს შეიცავდნენ. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა XVI ს-ის A 733, რომელშიც „მარგალიტის“ კრებული 86 საკითხავიანია და რომელიც ტექსტოლოგიურად დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ამ თრ ადრეულ ნუსხასთან. ამ ორი ტექსტუალური ჯგუფის არსებობა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი აზრით, განაპირობა ნუსხათა სხვადასხვა წარმომავლობამ.

„მარგალიტის“ ქართულ რედაქციაზე იოანე ოქროპირის სხვა სწავლუბების დართვა „მარგალიტის“ დასრულების აღნიშვნის გარეშე, შესაძლებელია, გამოძახილია იმ ვითარებისა, რომ საკითხავების რაოდენობის ოვალსაზრისით არსებობდა ბერძნულენოვანი „მარგალიტის“ რამდენიმე განსხვავებული რედაქცია (20-დან 80-მდე საკითხავის შემცველი)⁴. ეს ფაქტი, ადვილი შესაძლებელია, ცნობილი იყო ქართველი რედაქტორებადამწერებისათვის. ამიტომ ისინი თავს უფლებას აძლევდნენ, საკუთარი შეხედულებისამებრ მიერთებინათ ნუსხებში კრებულ „მარგალიტისათვის“ ოქროპირის სხვა ქადაგებებიც.

⁴ ამ ცნობას გვაწვდის რუსი ავტორი, ვ. კალუგინი (იხ.: Святитель Иоанн Златоуст, Полное собрание...361), როდესაც საუბრობს IX ს-ში ბეჭდგარეთიდან ძველ სლავურ ენაზე თარგმნილი „მარგალიტის“ გავრცელებაზე რუსეთში.

III. კიებული „მახგალიცის“ შემცველ XVIII-XIX საუკუნეების ნუსხები

XVIII-XIX სს-ის თხუთმეტი ნუსხა შეიცავს კრებულ „მარგალიტს“ (Q 725; S 94; H 2281; A 216; S 2912; ქუთაისი №№ 310, 187, 435; A 901; Q 904; S 345; H 2278; H 1677; A 1495; A 1792). ამ ნუსხათაგან რამდენიმე ძალიან ნაკულებლია და მათ ჩვენებებს ვერ ვითვალისწინებო. ეს ხელნაწერები აღწერილია, მაგრამ ხშირად არასრულად და არაზუსტად. შევეცდებით არსებული ხარვეზების გამოსწორებას და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამ ნუსხათა ურთიერთმიმართების დადგენას, აგრეთვე მათი დამოკიდებულების ჩვენებას უძველეს, XI-XVI სს-ის ხელნაწერებით მოღწეულ „მარგალიტის“ კრებულებზე.

XVIII-XIX სს-ის ნუსხები დალაგდა ორ ჯგუფად: 1) ნუსხათა ერთ წელში კრებულ „მარგალიტში“ შესული ყველა საკითხავის სათაური, მსგავსად „მარგალიტის“ უძველესი ნუსხებისა, ერთნაირად არის გაფორმებული მსხვილი ასომთავრულით; 2) ნუსხათა მეორე ნაწილში კრებულ „მარგალიტში“ შესული საკითხავები წარმოდგენილია ოცი თავის სახით: მსხვილი სათაურებით გამოყოფილია ეს 20 თავი ანუ 20 საკითხი, ხოდო დანარჩენი საკითხავები მიჩნეულია ქვესაკითხავებად.

საკითხავების სათაურების გაფორმებაში არსებული განსხვავება აღმოჩნდა ორიენტირო გვიანდებული ნუსხების ტექსტოლოგიური ოვალსაზრისით დაჯგუფებისთვისაც: პირველ ჯგუფში შესული ნუსხები, ისევე როგორც მეორე ჯგუფში შესული, ტექსტოლოგიური ოვალსაზრისითაც ერთმანეთზე დამოკიდებული აღმოჩნდნენ და წყაროდ იყენებენ სხვადასხვა უძველეს ნუსხას.

1) XI-XVI საუკუნეების ნუსხათა სტეკუჲის მქონე "მახგალიცის" გვიანელი კიებული

ა) A 901, Q 904, S 345

A 901 ხელნაწერი 1721 წ.-ით თარიღდება; არის შერეული ტიპის კრებული, რომლის 163r-281r უკავია „მარგალიტს“: „ამას წიგნსა ეწიდების „მარგალიტი“, რომელ არს შემოკრებული მშთმთავართაგან¹ თქმულთა

1 ვფიქრობთ, „მშთმთავართაგან“ ფორმა თრგვარად შეიძლება იქნას გაგებული: ეს ან გადამწერის შეცდომაა და უნდა იკითხებოდეს „მთავართაგან“, რაც გულისხმობს იმას, რომ „მარგალიტში“ შეტანილია ოქროპირის ყველაზე მნიშვნელოვანი ქადაგებები, ან იგულისხმება ის, რომ მამათმთავრებება შეკრიბეს ოქროპირის საკითხავები (მისცეს მას კრებულის სახე). საინტერესოა, რომ სათაური ამ სახით არ შეგვხვდება.

ოქროპირისათა“. გადაწერილია ნუსხურით, დაუზიანებელია; წამდღვარებული აქვს არასრული საძიებელი და ზანდუკი. „მარგალიტის“ საკითხები დანომრილია – სულ 86 საკითხავს შეიცავს.

A 901-ს დართული აქვს ანდერძი: „დაიწერა წიგნი ესე მარგალიტი ჭელითა ფრიად ცოდვილისა რუსესელი მღღელ-მონოზნის კლიმიაშვილის იოსებისათა სამეუფოსა ქალაქსა რუსეთს, მოსკოვს. და შევსწირე წიგნი ესე რუის ხატსა ხთაებისსა. ვინც გამოსწიროს, ისიმც რისხავს და მისნი განწყობილი და ნურც იჯსნების სულით და ჭორცით და რანიც წმიდანი სვინაქსარსა შიგან სწერიან, ისიმც რისხავს გამომწირველსა. ამინ. ჩდეკა“. როგორც ზემოთ მოტანილი მინაწერიდან ჩანს, 1721 წელს მოსკოვში გადაწერილი A 901 საქართველოში ჩამოუტანიათ.

A 901 ხელნაწერში „მარგალიტის“ ყველა საკითხავის სათაური ერთნაირად არის გაფორმებული, ისინი არ არიან დიფერენცირებული თავებად და ქვეთავებად.

Q 904 XVIII ს-ის ნუსხაა, შეიცავს მხოლოდ კრებულ „მარგალიტს“ სრულად, 86 საკითხავს. აქვს ასეთი სათაური: „ამას წიგნსა ეწოდების „მარგალიტი“, რომელ არს შეგრებული მძივთაგან, თქმულთა ოქროპირისათა“.

ხელნაწერში არის 1787 წ-ის ცისცერი ჭვირნიშანი, ჩაქრულია, აგრეთვე, 1743 წ-ის ბაქარის ბიბლიის „ნაჭერი“. ნაწერია მხედრულით, სათაურები სინგურით, ზოგან – ასომთავრულითა და ნუსხურით. აქვს 1873 წ-ის მინაწერი: „წიგნსა ამას შინა მშეცნიერ შეწყობილთა სიტყუათა ეწოდების „მარგალიტი“, გარნა უმჯობეს არს იგი ყოველთა თვალთა და ანთრაკოა პატიოსანთა. 1-ს მაისს, 1873 წელსა, ბომბოთს. გრიგოლ, მთავრის დადიანის ძე“. არანაირი პაგინაცია ამ საკითხავებს არა აქვთ².

Q 904 ხელნაწერშიც „მარგალიტის“ ყველა საკითხავის სათაური ერთნაირად არის გაფორმებული, ისინი არ არიან დიფერენცირებული თავებად და ქვეთავებად.

S 345 ხელნაწერი XVIII ს-ით არის დათარიდებული. ნაწერია ნუსხურით. მისი სათაურია: „ამას წიგნსა ეწოდების „მარგალიტი“, რომელ არს შეგრებული მძივთაგან, თქმულთა ოქროპირისათა“. „მარგალიტში“ შესული ყველა საკითხავის სათაური ერთნაირად, წითელი მელნიო არის შესრულებული. S 345-ში არის „მარგალიტის“ 1-55-ე საკითხავები სრულად; 56-ე საკითხავი დაუსრულებელია, მომდევნო, 123-ე გვერდზე გრძელდება „მარგალიტის“ ტექსტი სამი უკანასკნელი საკითხავით: №№ 84-85-86.

ვედრია „მარგალიტის“ შემცველ არც ერთ სხვა ნუსხაში.

2 იხ.: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, ტ. II, შედგენილი ე. მეტრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ იღ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1958, გვ. 184-185.

A 901, Q 904, S 345 ხელნაწერები ერთმანეთზე ტექსტოლოგიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. ოფალსაჩინოებისათვის მოვიტანო ამის დამადასტურებელ ორიოდე მაგალითს საკითხავთა დასათაურებებიდან: A 901-სა და Q 904-ში 50-ე საკითხავის სათაურში „პავლე“ ნაცვლად „პირველისა“; 62-ე საკითხავის დასათაურებაში აღნიშვნა ფსალმუნის ნომრისა, „ასოციამესამე“, რაც სხვა ნუსხებში არ არის... რაც შეეხება S 345-ის წაკითხვებს, ისინი ძალიან ხშირად ემთხვევა ამ ორი ნუსხის მონაცემებს (მაგ.: „ველევით“ წაკითხვა მე-12 საკითხავის სათაურში ნაცვლად „შეურაცხ-ვაჟოფთ“-ისა; ერთი და იგივე შეცდომა 29-ე საკითხავის სათაურში: „ბუნებით სასჯელთათვე“, ნაცვლად „ბუნებითისა სჯულისათვე“; 31-ე საკითხავის სათაურის შემდეგ ნუსხური „ლ“); ემთხვევა ერთმანეთს, აგრეთვე, S 345-ისა და Q 904-ის სათაურები: სიტყვა „მძივი“ სხვა ხელნაწერთა „მრავალთა“-ს ადგილას მხოლოდ ამ ორ ნუსხაშია. კიდევ ბევრი მაგალითის მოტანა არის შესაძლებელი.

არსებული მასალის საფუძველზე შეგვიძლია ვისაუბროთ არა მხოლოდ ამ სამი ნუსხის ერთმანეთთან დამოკიდებულებაზე, არამედ მათ დამოკიდებულებაზე XII-XIII სს-ის A 50-ზე. განვმარტავთ ნაოქამს:

XII ს-ის A 50-ში №50-ის შემდეგ ხელნაწერი დაზიანებული და ნაკლულია; ტექსტი ადგა 54-ე საკითხავიდან და გაგრძელდა 56-ე საკითხავის გარკვეულ ნაწილამდე; ამის შემდეგ ხელნაწერში ტექსტი წყდება. მხგავსი სურათია Q 904-სა და S 345-ში: Q 904-ში №55-ის დასრულების შემდეგ არის ერთი დაუწერელი ფურცელი [112r-v]; 113r-ზე წერია: „ქადაგებები“, 113v დაუწერელია, ხოლო 114r-ზე გრძელდება „მარგალიტი“ №56 საკითხავით. თითქმის იგივე სურათია XVIII ს-ის S 345-ში. მასში „მარგალიტის“ 1-55-ე საკითხავები სრულადა; 56-ე საკითხავი წყდება იმავე ადგილას, სადაც A 50-ში, უკანასკნელი ფურცელი გადაჭრილია და მეორე მხარეს წერია: „უფალო ღმერთო [] და ყოვლისა დაბადებულისა შემოქმედო, რომელმან [...]“ (გვ. 121). შესაძლებელია, S 345-ს ნაკლული დედანი ჰქონდა (სავარაუდო, A 50) და ეს მინაწერი გვამცნობდა გადმოწერილი ტექსტის დასრულებაზე. ის, რომ მომდევნო, 123-ე გვერდზე გრძელდება „მარგალიტის“ ტექსტი სამი უკანასკნელი საკითხავით: №№ 84-85-86, იმაზე შეიძლება მეტყველებდეს, რომ გადამწერს მიუგნია სხვა ნუსხისათვის, რომელშიც ეს უკანასკნელი სამი საკითხავი ყოფილა, ან ისიც შესაძლებელია, რომ მან რაიმე მოსაზრებით სრული ნუსხიდან მხოლოდ ეს სამი საკითხავი გადმოიწერა.

ჩანს ტექსტოლოგიური კავშირიც ამ ნუსხებისა A 50-თან („მღვდარებისათვს თქუმულისაგან“ 22-ე საკითხავის სათაურში, ნაცვლად „მოძღვურებისათვს თქუმულისაგან“; „ანდრიატელთათვს“ ნაცვლად „ანდრიანტელთათვს“ ფორმისა; მე-5 საკითხავის სათაური: „სინანულისათვს და სათხოებათა მოგებისათვს და მავნებელთა განდევნისა“, ნაცვლად „სინან-

ულისათვეს და სათნოებათა მოგებისათვეს და ვნებათა სივლტოლისაც“...)³.

ბ) H 1677, A 1495, H 2278

ამ სამ ხელნაწერშიც „მარგალიტის“ ყველა საკითხავის სათაური ერთნაირად არის გაფორმებული, ისინი არ არიან დიფერენცირებულნი თავებად და ქვეთავებად.

H 1677 დათარიღებულია XVIII ს-ით; ეს ხელნაწერი 1919 წელს ჩამოიტანა ექვომე თაყაიშვილმა ჯრუჭის მონასტრიდან. კრებულ „მარგალიტს“ უკავია 3r-155v; შეიცავს 86 საკითხავს. მასში შესული თხზულებები დანომრილი არ არის ასო-ნიშნებით. ბოლოს არის რამდენიმე მინაწერი, საიდაც ირკვევა, რომ „ეს მარგარიტის წიგნი ჯრუჭის წმინდის გიორგის შეწირული არის“ [1r-v]; ნახსენები არიან „ცოდვილი იოანე და ქრისტფორე“ [277r; 316v], რომლებიც უფალს შენდობას ხორცების შენარჩუნების შესახებ მინაწერი, ამინ“ [232v].

A 1495 1818 წ-ის 12 ივნისით არის დათარიღებული. „მარგალიტს“ უკავია 4r-148v. A 1495-ში არის მინაწერი გადამწერის ვინაობისა და თარიღის მითითებით: „სრულ-იქმნა სადიდებელად დმრთისავ, ამინ. ქრისტეს აქეთ წყიმ, თვესა ივნისსა, იბ. ლმერთო, აცხოვნე დამწერი, ცოდვილი მდგდელი გრიგორი, ამინ“ [232v]⁵.

H 2278, აღწერილობის მიხედვით, XVIII ს-ისაა და მთლიანად „მარგალიტა“⁶. რეალურად კი საქმის ვითარება ასეთია: ეს არის შერეული კრებული, რომელშიც „მარგალიტს“ უჭირავს ნუსხის 2r-155r. ცალკე მსჯელობის საგანია H 2278-ში 25-ე საკითხავი, რომელიც გაცილებით ვრცელ ტექსტს შეიცავს, ვიდრე „მარგალიტის“ სხვა ნუსხებში იგივე საკითხავი: „მარგალიტის“ 25-ე საკითხავი H 2278-ში წყდება სიტყვებზე: „რამოთა სხვანი შეშინდენ მისგან მათითა მით სახითა და მოექცნენ“ (55r). შემდეგ, 55r-59v-ზე, ჩართულია რომელილაცა სხვა ტექსტი, არამარგალიტისეული, ხოლო 59v-62v-ზე არის სწავლა ლა: „რამოთა ვიდვაწოთ არა ვნებად, არცა ძრის სრახვად მოყვასთა, არამედ თავთა თუსთა განვიკითხვდეთ“. ამ სწავლის დასასრულს, 62v-დან, ყოველგვარი ადნიშვნის გარეშე, გრძელდება 25-ე საკითხავის გაწყვეტილი ტექსტი.

3 A 50 ჩანს დედანი 1823 წ-ს გადაწერილი ძალიან ნაკლული ნუსხის, ქუთ. 187-ისა, რომლის სათაურიც ქმოხევვა A 50-ის სათაურს და სისრულითაც მისი მსგავსია: აკლია მე-9-11-12-14-15-16-17-19-20-ე თავები.

4 იბ.: H IV 1950: 109-110.

5 იბ.: A V 1955: 38-39.

6 იბ.: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქ-ოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოდექციი), შედგენილია და დასაბუჭიდად მომზადებული ლ. მეფარიშვილის მიერ ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1949, ტ. V, გვ. 198-199.

განვითარება ამ სამი ნუსხის, **H1677, A1495, H2278-ის** ურთიერთდამოკიდებულება. მათ შორის უდავოდ არსებობს კავშირი. მოვიტანო ამის დამადასტურებელ რამდენიმე მაგალითს:

H 1677-სა და A 1495-ში მე-3 საკითხავს აქვს სხვებისგან განსხვავებული სათაური: „ოქმულისაგან კორინთელთა გაისტოლისა ცხორებისაგან“; №22 საკითხავის სათაურს დამატებული აქვს: „მოძღვართ მადლო, შემიწყალე მე“; №24 საკითხავის სათაურს უმატებს „ყოველნი“-ს; №40 საკითხავის სათაურის ბოლოს წერია: „შემიწყალე, დმერთო“.

მართალია, ჩანს A 1495-ის (XIX ს.) კავშირი H 1677-თან (XVIII ს.), მაგრამ უშუალოდ გადაწერილი A 1495 ამ უკანასკნელიდან არ უნდა იყოს. ამაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტი: A 1495-ში №4 საკითხავი ნაკლულია და აქვს მინაწერი: „აქ დედანი არ იყო, აკლდა და ვინც პოო, აღსწერე“; ამ ადგილას კი ტექსტი H 1677-ში სრულია.

ზოგჯერ ამ ჯგუფის წევრი ხდება H 2278-იც: ზემოთ ჩვენ ვისაუბრეთ ამ ნუსხაში 25-ე საკითხავის შესახებ. მსგავსი ვითარებაა ამასთან დაკავშირებით H 1677-სა და A 1495-შიც.

ხელნაწერები, რომლებიც შერეული ტიპის კრებულებია, ანუ კრებული „მარგალიტის“ გარდა სხვა ობულებებსაც შეიცავენ, გვაძლევენ საშუალებას დავაკვირდეთ მათ ამ განსხვავებული ობულებების გათვალისწინებითაც, ანუ თუ ტექსტოლოგიურ დამოხვევას დაგემატება დამოხვევა ნუსხათა შედგენილობის თვალსაზრისით, დასკვნები მეტ სიმყარესა და დამაჯერებლობას შეიძენს.

მასალის გაანალიზების შედეგად, როგორც მოსალოდნელი იყო, აღმოჩნდა, რომ გვიანდელი ხელნაწერები, შედგენილობის თვალსაზრისით, გარკვეულ დამოკიდებულებას ავლენენ ადრინდელ ხელნაწერებზე. ეს ზემოთ უკვე ვნახეთ **A 901-ის, Q 904-ისა და S 345-ის** მაგალითზე. ვნახოთ, რა ვითარებაა ამ მიმართულებით **H 1677, A 1495-სა და H 2278-თან** დაკავშირებით.

H 1677 ნუსხის დასასრული ნაწილი მთლიანად ემთხვევა A 1495-ის დასასრულს, კერძოდ, ორივე ეს ნუსხა მთავრდება ერთი და იგივე სამი ობულებით: 1) „ოარგმანებისათვე დავითის ფსალმუნთა“; 2) „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა მაქსიმესი ნეტარისა თალასეს მიმართ“ და 3) „მისივე, წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებელისა სიტყვებისათვეს გნებათასა“

H 2278-ის ბოლოს (188v-221v) არის მოკლე-მოკლე (ნახევარ ან ერთგვერდიანი) ტექსტები, სათაურები სინგურით არის შესრულებული. ეს ტექსტები ამოღებულია იმ ობულებიდან, რომელიც არის როგორც H 1677-ის, ასევე A 1495-ის დასასრულ ნაწილში: „ნეტარისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებელისა სიტყვებისათვეს ვნებათასა, მიწერილი მამისა თალასეს მიმართ“. ეს მონაკვეთებია: 1) „მოწყინებისათვეს“; 2) „ნაყ

როგანებისათვეს“; 3) „გულისთქმა სიძინეა“; 4) „გულფიცხელობისათვეს“; 5) „ამპარტავანებისათვეს“; 6) „ძრისზრახვისათვეს და განკითხვისათვეს“. ეს უკანასკნელი ტექსტი ყველაზე ვრცელია (194r-215r).

H 1677, A 1495-სა და H 2278-ში 25-ე საკითხავს დართული აქვს იგივე „სწავლა“, რომელიც არის H 1674-ში და არ არის სხვა ნუსხებში.

A 733-ზე პირდაპირ დამოკიდებული ჩანს **H 1677** ნუსხა, ხოლო ამ ნუსხიდან **A 733-ის** გარკვეული ჩვენებები გადასულია **H 2278-სა** და **A 1495-ში**. **A 733-სა (144r-176r)** და **H 1677-ში (161r-205v)**, ბოლო ნაწილში, არის ოქროპირის ერთი და იგივე 6 სწავლა (მხედველობაში გვაქვს არამარგალიტისეული სწავლებები). ერთ-ერთი ამ სწავლათაგანი არის **H 2278-შიც: „სწავლა ნდ: რათა ვიქადოდეთ ჯუარცმისათვეს ქრისტესასა...“**

ეს სამი ნუსხა ტექსტოდოგიური თვალსაზრისითაც დამოკიდებულია **A 733** ნუსხაზე, ხოლო **A 733** ნუსხა, როგორც ზემოთ უკვე დავინახეთ, იმავე **Ath. 77/41** ჯგუფის წევრია, რომელშიც შედის **A 50**.

XVIII ს-ის ამ სამ ნუსხაში – **H 1677, A 1495-სა და H 2278-ში**, „მარგალიტის“ დასრულება არ არის აღნიშნული სპეციალური მინაწერით: „მარგალიტს“ მოხდევს ისევ თქროპირის რამოდენიმე სწავლა და მხოლოდ ამის შემდეგ ჩნდება ცნობა გარკვეული სამუშაოს დასრულების შესახებ. თითქოს გადამწერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ აქ დასრულდა, ზოგადად, თქროპირის თხულებები, მაგრამ მან არ გაავლო გამყოფი ზღვარი „მარგალიტსა“ და სხვა „სწავლებებს“ შორის. ამგვარად, კრებულებს, რომელთაც აქვთ საჭირო ადგილას გაკეთებული აღნიშვნა იმის შესახებ, რომ „მარგალიტი“ დასრულდა. როგორც ვხედავთ, ამ კუთხით გვიანდეთ ნუსხებში იგივე ვითარებაა, რაც უკვე ვნახეთ აღრინდელებში.

2) ოცთავიანი სკუჟუჟის მქონე გვიანელი (XVIII-XIX სს-ის)

ნუსხები ეს მათი უხთიერთმიმართება

ა) **Q 725** არის ის უადრესი, პირველი სრული ნუსხა, გადაწერილი 1793 წ-ის 13 თქბომბერს, რომელშიც ფორმალურად გაფორმდა ის, რომ „მარგალიტის“ ქართული რედაქცია 20 თავისაგან შედგება, ანუ მასში 20 საკითხია განხილული.

ნუსხის დასათავერებაა: „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ითანე კოსტანტინუპოლემ პატრიარხისა დვოთივშვენიერნი სწავლანი, რომელსა ეწოდების „მარგარიტ“. დართული აქვს გადამწერის ანდერძი: „ნამდვილებე ჰეშმარიტად უსასყიდლო მარგარიტი, დვოთივშულიერსა ამას წიგნსა შინა მდებარე, სამღოო მცნებად, აღმასრულებელთა ზეცის იერუსალიმად აღმყვანებელი და სატრუიალოხსა დვოთისა მიმახლებელი, ყოვლის სურვილით და ფრიადის შრომით აღვსწერე, რამეთუ დე-

დანი უმეტეს ზომისა ძველ და წაბლალულ იყვნეს, გარნა სიყვარულ-მან ტკბილსიტყვაობისამან გულსმოდგინე მყო; და გევედრები ყოველთა, შეცომისათვის მომიტევეთ და შრომისათვის მილოცეთ, მეტყუელთა: „ღმერთო, შეიწყალე ულირსი ხუცესმონაზონი გაბრიელ“. აღიწერა უდაბნოსა გარესჯისასა, მონასტერსა ნათლისმცემელისასა, წელსა განხორციელებითგან სიტყვისა დგომისა ჩდებ, ოკლომბერსა იგ“ (158v)⁷. ხელნაწერში საკიოთხავები წარმოდგენილია 20 თავად. თითოეულ თავში შემავალი ტექსტები, რომლებიც „მარგალიტის“ ძველ, XI-XVI სს-თა ნუსხებში ცალკე დასათაურების მქონე სრულფასოვან საკიოთხავებად არის გატანილი, როგორც ჩანს, მიწნეულია ქვესაკიოთხავებად და მათი სათაურები Q 725-ში აშენდა, ამ საკიოთხავების დასაწყისთან, წვრილი ხელწერით, წითელი მელნით არის მიწერილი. ხელნაწერს ერთგის საძიებელი (158r-v), რომელშიც არის ჩამონათვალი ამ ოცი თავის სათაურებისა ხელნაწერის გვერდების მითოთების გარეშე.

გაბრიელ მცირემ, იზრუნა რა თავებისა და ქვესაკიოთხავების გამოჯვნაზე, არც ის დაივიწყა, რომ ანდერძი დაერთო მის მიერ გადაწერილ-რედაქტირებული კრებულისათვის, სადაც აღნიშნულია „მარგალიტის“ დასრულება; კრებულის ბოლოს არც ოქროპირის სხვა სწავლებები და სხვა ავტორთა თხეულებები შეუტანია გაბრიელს თავის გადაწერილ ნუსხაში.

ვფიქრობთ, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ „მარგალიტი“ ოც-თავიან კრებულად გაიაფორმა სწორედ გაბრიელ მცირემ, XVIII ს-ის II ნახევარში გარეჯის უდაბნოში მოდგაწე ცნობილმა მწიგნობარმა: გაბრიელს ეპუთვნის როგორც ორიგინალური შრომები, ასევე შედგენილი აქვს რამდენიმე ასკეტურ-პომილეტიკური კრებული⁸. ალბათ, ამ კრებულთა შემდგენელს ისიც „ხელ-ეწიფებოდა“, რომ „მარგალიტის“ გადაწერისას რომელიდაცა ძველი ნუსხიდან (თუ ნუსხებიდან), ჩაღრმავებოდა კრებულის შედგენილობას და აღნინდებ ნუსხებში არსებული მინიშნება ოც-თავიან სტრუქტურად გაეფორმებინა.

XVIII-XIX სს-ის მთელ რიგ ნუსხებს აქვთ ტექსტოლოგიური კავშირი Q 725-თან. ეს ნუსხებია: S 94, H 2281, S 2912, A 216, ქუთაისი №№ 310, 187.

ბ) S 94-იც გაბრიელის გადაწერილია იქვე, სადაც Q 725, ოდნავ მოგვიანებით, 1795 წ-ის 27 აგვისტოს. დართული აქვს გაბრიელის ანდერძის შემოკლებული ვარიანტი. ყოველი ფურცლის თავზე გაკეთებული აქვს ქუდი, სადაც ასოების რიცხვითი მნიშვნელობებით არის აღნიშნული კონკრეტული თავის რიგითობა, ამიტომ ყოველი თავის მოძებვნა S 94-

7 იხ.: Q II 1958 : 184-185.

8 დაწერილებით გაბრიელ მცირის შესახებ იხ.: კვავლიძე 1980 : 398-403. აგრეთვა: გ. ქავთარია, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბ., 1965.

ში გაცილებით მარტივია, ვიდრე Q 725-ში. ამ ნუსხაშიც ე.წ. 66 „ქვესაკიოთხავის“ სათაურები აშებზე, ამ საკიოთხავების დასაწყისოან, წითელი მელნით არის მიწერილი⁹.

გ) H 2281 არ არის დაზიანების გამო ნაკლული ნუსხა, მაგრამ შეიცავს მხოლოდ 5 თავს; თანადროულია Q 725-ისა. ერთგის ანდერძი: „ყოვლად-საყვარელო სულიერო ძმაო დოსითეოს, შენ მიერ წყებული ამის წიგნისა კერძო მე ადგასრულე სურვიელი ბრძანებისა შენისა. ესე წმიდა ევფემია მეოხ-გვეყოს ორთავე“ (14lr)¹⁰... „აღიწერა მრავალმთის უდაბნოსა გარესჯისასა, მონასტერსა წმიდის დავითის სამართლისა 1793, 7, 27. ცოორმისთვის მოტევებას ვითხოვ. გაიოზ“ (14lv).

XVIII ს-ის II ნახევრიდან რამდენიმე დოსითეოსია ცნობილი¹¹. ერთ-ერთმა მათგანმა, ქვათახევის მონასტერის წინამდლვარმა დოსითეოს ფიცხ-ელაურმა, როგორც მომლოცველმა, 1784 წ-ის მარტში დატოვა წარწერა გარეჯის „უდაბნოს“ მთავარი ეკლესიის კედელზე¹². დღეს ძნელია იმის თქმა, თუ კონკრეტულად რომელ დოსითეოსზე არის საუბარი H 2281-ის ანდერძში, მაგრამ იმის ვარაუდი კი შეიძლება, რომ H 2281-ის მინაწერში იგულისხმება მხოლოდ სურვილი დოსითეოსისა, გადაწერილიყო ეს კრებული, რადგან H 2281 ერთი ხელით არის გადაწერილი; გადამწერია ვინმე გაიოზნი.

გაბრიელის ანდერძი, რომელიც პატარა ცვლილებით მეორდება Q 725-დან მომდინარე ყველა ნუსხაში, H 2281-ში არ არის.

დ) 1811 წ-ის 18 ივლისს დასრულებულა შერეული ტიპის კრებულის, S 2912-ის გადაწერა; ეს არის დიდი ფორმატის ხელნაწერი (35X21,5), რომლის 75v-109v უკავია „მარგალიტის“. გადამწერია ვინმე სპირიდონ იაშვილი¹³. „მარგალიტი“ ამ ხელნაწერშიც ოცთავიანი სტრუქტურით არის

9 ამ ხელნაწერის აღწერილობა იხ.: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კიოთხვის გამაგრცელებელი სახოგადოების (S) კოლექციისა, ტ. I, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული თ. ბრეგაძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ ე. მეტრეველის რედაქციით, „მეცნიერება“, თბ., 1959, გვ. 98.

10 ამ ხელნაწერის აღწერილობა იხ.: H V 1949 : 198-199. H 2281-ში არის მინაწერი: „მეცნიერების სხალი წერეულის ასული ელენე“.

11 იხ.: ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავ-ტორი-შემძებელი: ე. გაბიძაშვილი (ხელმძღვანელი), მ. მამაცაშვილი, ა. დამბაშვიძე, თბ., 2007, გვ. 177-178.

12 გარეჯის ეპიგრაფიკული ქვეგლები, ტ. I, ნაკვ. I, წმ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი (XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა და ზ. სხირტლაძემ, თბ., 1999, გვ. 93-96; 226-227.

13 იხ.: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კიოთხვის გამაგრცელებელი სახოგადოების (S) კოლექცია, ტ. IV, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული თ. ბრეგაძის, ლ. კინაძის, მ. ქავთარიას, ლ. ქაჯაიას, მ. შანიძის, ქრ. შარაშიძის და ც. ჭანკივების მიერ ე. მეტრეველის რედაქციით, „მეცნიერება“, თბ.,

წარმოდგენილი. დასაწყისში, 75v-ზე, არის იგივე მინაწერი, რომელიც გაკეთებულია H 2281-ში, 2r-ზე: „ამას წიგნსა ეწოდების მარგარიტი. პსთქუა უფალმან: „მსგავს არს სასუფეველი ცათა კაცსა ვაჭარსა, რომელი ეძიებნ კეთილთა მარგარიტთა და პოვა რა ერთი მარგარიტი მრავალ-სასყიდლისა, წარვიდა და განყიდა, რადცა ედგა და მოიყიდა იგი“.

საინტერესოა, რომ ამ ხელნაწერში თითქოს საერთოდ აღარ არის მცდ-ელობა, გამოიყოს ქვესაკითხავები ძირითადი თავებისაგან: ძირითადი 20 თავის სათაურები ნაწერია წითელი ფერის მელნიო, ე.წ. ქვესაკითხავების სათაურები კი გვერდის გასწვრივ მიწერილია ტექსტისავე ფერის მელნიო, განსხვავებით ზემოთ განხილული სამი ხელნაწერისაგან. ხელნაწერის შედარებითი გვიანდელობა, როგორც ჩანს, ნიშნავდა იმას, რომ, შესაძლებელი იყო, თანდაონობით სრულიად წაშლილიყო ზღვარი ძირითად 20 თავსა და ე.წ. ქვესაკითხავებს შორის. ხელნაწერს დართული აქვს საძიებელი, რომელშიც ჩამოვლილია მხოლოდ 20 თავის სათაურები. საძიებლის შემდეგ არის მინაწერი, რომელიც იმეორებს Q 725-ის ანდერძს იმ ადგილამდე, სადაც Q 725-ის გადამწერი იწყებს საუბარს იმის შესახებ, რომ ხელნაწერის დაზიანებული დედნებიდან გადმოწერას დიდი შორმა შეალია. ამის შემდეგ აღნიშნულია ხელნაწერის თარიღი და გადამწერის ვინაობა.

S 2912-ს დედნად უშუალოდ უჩანს Q 725 და S 94. ამაზე მიუთითებს ის შეცდომები, რომელთაც S 2912 იმეორებს Q 725-ის და S 94-ის კვალდა-კვალ, კერძოდ: I თავის მე-2 ქვესაკითხავში „მაკაბელთა აღდგომისათვეს“, ნაცვლად „მკუდართა აღდგომისათვეს“; №27-ის დასათაურება „სათხოებისათვეს და უმანკოებისა“, ნაცვლად „სათხოებისათვეს და უკუთურებისა“; №21-ის სათაურში „ევსტოპოსისთვეს“, ნაცვლად „ევტოპეოსისთვეს“... მაგალითები საკმაო რაოდენობით მოიპოვება. როგორც ჩანს, S 2912-ის გადამწერს ხელი მიუწვდებოდა ორივე ამ ნუსხაზე, რადგან ზოგი ამ წაკითხვათაგანი არის როგორც Q 725-ში, ასევე S 94-ში, მაგრამ ზოგიერთი შეცდომა მხოლოდ ერთ-ერთ მათგანშია დაშვებული.

გ) A 216 1856 წ.-ს, 27 ივნისს არის გადამწერილი თბილისში; გადამწერი – თბილისის წმ. ნიკოლოზის ბერძნული ეკლესიის დეკანოზი ვასილი ანდრიანოვი; არის Q 725-ისა და S 94 ჯვეუფის მიმყოლი, რცოვიანი სტრუქტურის. იმეორებს Q 725-ის ანდერძს იმ ადგილამდე, სადაც გაბრიელ მცირე საუბრობს ცუდ დედანსა და მის მიერ გაწეულ მძიმე შორმაზე. გაბრიელის სიტყვები, რომ მან ფრიადის შრომით აღწერა, რადგან „დედანი უმეტეს ზომისა ძველ და წაბლალული იყვნებს“, შეცვლილია სიტყვებით: „ფრიადის სურვილითა და ფრიადის სიყვარულით აღწერა“. ხელნაწერი

მთლიანად „მარგალიტა“, ერთვის ზანდუკი¹⁴.

ვ) ქუთაისი № 310 მეტ-ნაკლები სისრულით შეიცავს „მარგალიტა“ ტექსტს¹⁵. ხელნაწერი 1793 წ.-ით არის დათარიღებული. ნაწერია მხედრულით. დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს Q 725-თან: არის ოცოვავიანი სტრუქტურის, აქვს იგივე სათაური. გადაწერის თარიღიც მიანიშნებს იმაზე, რომ ეს ხელნაწერი Q 725-ისა და S 94-ის პერიოდისა არის.

ამგვარად, XVIII-XIX სს-ის ნუსხათაგან განსაკუთრებული მნიშვნელობის არის 1793 წ-ს გადაწერილი Q 725, რადგან, ვფიქრობთ, რომ „მარგალიტა“ გაფორმება ოცოვავიან კრებულად სწორედ ამ ნუსხაში მოხდა და აქედან გადავიდა სხვა გვიანდელ ნუსხებში. ეს ნუსხები ან იმავე 1793 წ-ს არის გადაწერილი (H 2281, ქუთ. 310), ან უფრო გვიან (S 2912 -1811 წ-ს, A 216 - 1856 წ-ს). ეჭვს არ იწვევს ყველა ამ ნუსხაში წარმოდგენილი ტექსტის ტექსტოლოგიური დამოკიდებულებაც Q 725-ზე. ამ ნუსხებში, ისევე როგორც Q 725-ში, არც ოქროპირის სხვა სწავლებები და სხვა ავტორთა თხზულებები არის შეტანილი.

ზემოთ ჩვენ დავაჯგუფეთ „მარგალიტა“ ქართული რედაქციის XVIII-XIX სს-ის ნუსხები ერთმანეთთან სიახლოვებისა და ერთმანეთზე დამოკიდებულების თვალსაზრისით. გამოიკვეთა შემდეგი სამი ჯგუფი: ა) A 901; Q 904; S 345; ბ) H 1677; A 1495; H 2278; გ) Q 725; S 94; H 2281; S 2912; A 216; ქუთ. № 310. იმის გამო, რომ თვითონ უძველესი ნუსხები არ ქმნიან მუდმივ ჯგუფებს, რაზეც ხემოთ ვისაუბრეთ, გვიანდელი ნუსხებიც იგივე სურათს გვთავაზობენ – ეს დაჯგუფებები შეიძლაშიგ ისევე იცვლიან წევრებს, როგორც უძველესი ნუსხების ორი ჯგუფი. მოვიტანეთ, აგრეთვე, შექმნდული რაოდენობით, ტექსტოლოგიური შედარების შედეგად მიღწეული მასალა, რომელმაც აჩვენა, რომ პირველი ორი ჯგუფის (ა და ბ) ნუსხები ძირითად Ath 77/41-ის ჯგუფთან ავლენენ კავშირს. რაც შექმნა გაძრიელ მცირის მიერ რედაქტირებულ-გადაწერილი ნუსხებს, მათ თავიანთ მიმყოლ ნუსხებთან ერთად Sin 51-ის ჯგუფთან უჩანთ კავშირი. მოვიტანო ამის დამადასტურებელ რამდენიმე მაგიალითს:

1) Sin 51-ში მე-20 ნომრით შეტანილი საკითხავი „სიმდაბლისათვა“,

14 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუხეუმის (A) კოლექციისა, გ. I-3, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზნადეს თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთაოვლებმე ელ. მეტრეველის რედაქციით, „მეცნიერება“, თბ., 1980, გვ. 18.

15 კიდევ რამდენიმე ხელნაწერი არის ქუთაისის ხელნაწერთა აღწერილობებში გატარილი. როგორც „მარგალიტა“. ისინი, რეალურად, წარმოადგენენ აპოკრიფების კრებულებს, რომლებიც, ასევე, „მარგალიტა“ სახელით იყო ცნობილი. ერთ-ერთი ასეთი კრებულია XIX ს-ის ქუთ. 252, რომლის სათაურიცაა: „წიგნსა ამას ეწოდების მარგალიტი, მრავალობა იგავთა მომთხოვთი – დეკმბერსა კე-სა შობა ქრისტესი, დღესა სამშაბათსა, ქმისა ზ-სა დღისასა; იანვარსა ზ-სა ნათლისდება იყო, დღესა კვირიაკესა, ქამსა შეადამისასა; მარტსა კე-სა დაბადა ადამ მოსე“ (Iv-77v). ასეთივე აპოკრიფების კრებულებია, აგრეთვე, აღწერილობებში „მარგალიტა“ სახელწოდებით გატანილი შემდეგი ნუსხები: Q 707; Q 715; Q 955.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის დასაწყისი ნაწილი ჩვენი ცხრილით მომდევნო 47-ე საკითხავისა („სჯულისათვეს ბუნებითისა თქმულისაგან“). ეს ტექსტი არის კიდევ მხოლოდ ერთ ნუსხაში, XVI ს-ის H 1674-ში. ვფიქრობთ, **Q 725-ისა და S 94-ის Sin 51-თან** გარკვეულ სიახლოვებები მიანიშნებს ის ფაქტი, რომ სწორედ 47-ე საკითხავის დასაწყისში ამ ნუსხებში არის სათაური „სიმდაბლისათვეს და სიმშვდისა“ ტექსტის გარეშე. თუ რატომ აისახა ამ ხელნაწერებში მხოლოდ დასათაურება საკითხავისა და ისიც არასრულად, ამის თქმა დღეს ძნელია. 2) 51-ე საკითხავს **Sin 51-ში** აქვს სხვა ძველი ნუსხებისაგან განსხვავებული სათაური: „სულისა მიგებისათვეს“ (დანარჩენ ნუსხებში – „სულისათვეს დაბადებისა“). Q 725, S 94, S 2912-ში არის „სულისა დიდებისათვეს“, რაც, ვფიქრობთ, „მიგებისათვეს“ სიტყვის შეცდომით წაკითხვის შედეგია. 3) **38-ე** საკითხავის სათაურის - „ოარგმანებისა მისგან იგავისა მისთვეს, რომლისა თანა-ედვა ბევრი ტალანტი“ – უძველეს ნუსხათა „ბევრი“ Sin 51-ში შეცვლილია „ბევრულით“. ასევეა ეს სიტყვა ნახმარი **Q 725-სა და S 94-ში.** 4) **41-ე** საკითხავის სათაურში ნახმარი საკუთარი სახელი უძველეს ნუსხებში სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი: „ანანია“ და „ანა, ანნა“. Q 725 და S 94 მხარს უჭერენ **Sin 51-ის** წაკითხვას - „ანა, ანნა“. 5) **44-ე** საკითხავის სათაურში ნახმარი საკუთარი სახელიც სხვადასხვა ფორმით არის ძველ ნუსხებში: „ანდრიატელთათვეს“ (A 50...) და „ანდრიან-ტელთათვეს“ (Sin 51...). Q 725 და S 94 მხარს უჭერენ **Sin 51-ის** წაკითხვას. მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება.

გარკვეული მონაცემები იმაზეც მიუთითებენ, რომ გაბრიელ მცირეს, გარდა **Sin 51-ის** ჯგუფის დაზიანებული ძველი დედნისა, ხელი მიუწვდებოდა XVI ს-ის A 733-ზე, თუ რომელიდაცა მის მსგავს ნუსხაზე, თუმცა უპირატესობას იმ ძველ, დაზიანებულ ტექსტს ანიჭებდა.

IV. ნმ. ითანე თქმულის ყებული „მარგალიონის“ ქათული ჩედაქციის ბეჭდნელი წყარმა

ითანე თქროპირის ქადაგებებისა და სწავლათა კრებულების შედგენა წმიდა მამის გარდაცვალების შემდეგ მალევე დაიწყო. ამ კრებულებში თქროპირის დანატვარს არა მხოლოდ უცვლელად უყრიდნენ თავს, არამედ ზოგჯერ ხდებოდა ზღვა მასალიდან საუკეთესოდ მიჩნეულის შერჩევა და შეტანა კრებულებში. მისი ნაშრომები ხან სრულად გადმოქმნდათ, ხან – დანაწევრებულად. არც ის იყო გამორიცხული, რომ ამ კრებულებში რომელიმე ფსევდოქროპირისეული თხზულებაც მოხვედრილიყო. ასე გაჩნდა ეგრეთ წოდებული „მარგალიონი“ – ამონარიდები სხვადასხვა სიტყვიდან - Ekl ogai; apo; diaf orwn Logwn¹.

„ეპლოგები“, ისევე როგორც თქროპირის სრული ნაშრომები, ქრისტიანული სამყაროს ყველა ენაზე ითარგმნებოდა. ბერძნულიდან მომდინარე ეს კრებულები ყოველთვის არ წარმოადგენდნენ ორიგინალების ზუსტ ასლს. მთარგმნელ-რედაქტორები საკუთარი გემოვნებით არჩევდნენ ამ ერთხელ უკვე შერჩეული მასალიდან მათოვის ყველაზე სასურველსა და საინტერესოს. ამის მაგალითია ოუნდაც ე. წ. „ახალი მარგალიტი“, შედგენილი XVI ს-ის II ნახევარში რუსეთში, ანდრია კურბესკის მიერ, რომელმაც ლათინურიდან საეკლესიო სლავურზე თარგმნა იოანე თქროპირის ზოგიერთი ქადაგება და სწავლა და შეიტანა ამ კრებულში².

„ეპლოგების“ ნაირსახეობას უნდა წარმოადგენდეს კრებული „მარგალიტი“ – მასშიც იოანე თქროპირის გამორჩეული საკითხავები არის შეგანილი. ეს კრებული ქრისტიანული სამყაროს ბევრ ენაზე ითარგმნა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ კრებულის ქართული თარგმანიც ერთ-ერთი უადრესია (X-XI სს.).

„მარგალიტი“ ქართული რედაქცია შევედარეთ PG 63-ში³ არსებულ ბერძნულ ტექსტს. ეს არის 47 სიტყვა (სწავლა), რომელთაც სათაურად აქვთ „ამონარიდები სხვადასხვა სიტყვიდან“ (Ekl ogai; apo; diaf orwn Logwn). ბელგიელი მკალებარი, შეკრა გარიტი, აღწერს რა Sin. 85/51-

1 Sancti Patris Nostri Joannis Chrysostomi, Archiepiscopi Constantinopolitani, Opera Omnia, Eclogae ex diversis homiliis (Ekl ogai; apo; diaf orwn Logwn), Patrologiae Cursus Completus, Accurante J.-P. Migne, 63, col. 568-902, Brepols-Turnhout, 1979.

2 წმ. იოანე თქროპირის 200-მდე სიტყვა (პომილია) ძველ სლავურ ენაზე უკვე IX ს-ში იყო თარგმნილი ბულგარეთში; ეს თარგმანი რუსეთში XI-XII სს-ში გავრცელდა. რაც შეეხება კრებულ „მარგალიტს“, რომელიც თქროპირის რჩეულ სწავლებებს, 20-დან 80-მდე ქადაგებას, შეიცავდა, ის რუსეთში აგრეთვე ბულგარეთში მოხვდა მონგოლთა გაოქაში, XIII ს-ში (იხ.: Святитель Иоанн Златоуст, Полное собрание сочинений Св. Иоанна Златоуста в двенадцати томах. Том первый, книга первая, введение, Санкт-Петербург, 1898, стр. VII).

3 Sancti Patris Nostri Joannis Chrysostomi 1979 : 568-902.

ს, სწორედ ამ ბერძნულ წყაროსთან მიმართებით განიხილავს ქართულ რედაქციას⁴. ამდენად, მეცნიერი თვლიდა, რომ „მარგალიტის“ ქართულ რედაქციაში შეტანილი საკითხავების წყარო ამ ეკლოგებში შესული ტექსტია. ჩვენ მივაკვლიერ ბერძნული „მარგალიტის“ ერთ გამოცემას (Iwannou Crusostomou, Margaritai, Logoi diaf oroi, ekdosei~ B. Rhgopoulou), რომელსაც, როგორც ვხედავთ, ზოგადი სახელწოდების „Margaritai“-ს, გარდა აქვს მეორე სახელწოდებაც: „Logoi diaf oroi“. ეს ორმაგი სათაური მიგვანიშნებს იმაზე, რომ სახელწოდები „Margaritai“ და „Logoi diaf oroi“ სინონიმებია და უერარ გარიბს სრული უფლება პქონდა ქართული რედაქციის დედნად სწორედ ბერძნული ეკლოგები ევარაუდა, ანუ „ეკლოგები“, „მარგალიტონ“ გაეიგივებინა.

„მარგალიტის“ ქართული რედაქციისა და ბერძნული „ეკლოგების“ ტექსტის შედარებით დადგინდა, რომ ქართული „მარგალიტის“ 17 თავი (ვაულისხმობთ ქართული რედაქციის ძირთადი თავებისა და მათი ქვესაკითხავების ერთობლიობას) თავსდება ამ 47 ბერძნული სიტყვის ფარგლებში (ქართული თარგმანის ერთი, მე-20 თავის [№86] - „სინანულისათვე“ - წყარო არის „ეკლოგების“ მიღმა - PG 60, col. 765-768-ში; ქართული რედაქციის მე-4 და მე-19 თავების ბერძნული წყაროც, რომლებიც, ჩვენი დაკვირვებით, არ მიესადაგება 47 სიტყვიან „ეკლოგებს“, როგორც ჩანს, იოანე ოქროპირის სხვა თხზულებებში უნდა ვეძებოთ). ბერძნულ-ქართული ტექსტების შედარებისას შეგნებულად არ ვიყენებოთ სიტყვას „მისდევს“, იმიტომ, რომ ეს არ არის ქართული და ბერძნული მასალის სრული თანხვედრა. ვეცდებით განვმარტოთ ნათქვამი.

ქართული თარგმანის ყოველი ძირითადი თავის პირველი ტექსტი⁵, როგორც წესი, ზუსტად მიყვება ბერძნულ ტექსტს, ოდონდ მოზრდილი მონაკვეთების გამოტოვებით. „სიზუსტეში“ არ ვაულისხმობთ კალკირებულ თარგმანს. თარგმანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკუთვნის დიდ ქართველ საეპლესიო მამას, ეფთვიმე ათონელს და, ამდენად, მისთვის დამასახიათებელი მეორდით არის შესრულებული, რაც გამორიცხავს ტექსტის სიტყვასიტყვით გადმოდებას. ქართული რედაქციის ძირითადი თავის ის ე.წ. ქვესაკითხავები⁶, რომლებიც ემსახურება ამ თავში განხილული თემის გაშლას, ასევე თავსდება ამ ბერძნულ სიტყვაში. ქართული თარგმანისაგან განსხვავებით, ბერძნული სიტყვა არ არის დაყოფილი ნაწილებად (ანუ ძირითად თავებად და ქვესაკითხავებად). ეს თანხვედრა ქართული „ქვესაკითხავებისა“ ბერძნულ ტექსტონ ზოგჯერ სრულია, უმეტესად

4 G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinai, Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, Louvain, 1956, 173-187.

5 ამ ტექსტებს აღვნიშნავთ რომაული ციფრით და პირობითად „ძირითად თავებს“ („ძირითად საკითხავებს“) ვუწოდებთ.

6 ეს ქვესაკითხავები გამოცემაში არაბული ციფრებით არის აღნიშნული.

კი გვაქვს პარაფრაზირებულად გადმოღებული ან შემოკლებული მონაცემები. ამიტომ მთელი ქართული ოარგმანი (ყოველი ოავი შესავალი ნაწილითა და დამატებითი მასალით, ე.წ. ქვესაკითხავებით) მოცულობით საქმაოდ ჩამოუვარდება ბერძნულ სიტყვას, მისი დაახლოებით 1/3-ია.

ქართული რეაქციის 20 ოავიდან (მთლიანობაში 86 საკითხავი) 17-ს წერტილი ეძებნება ბერძნული „ეპლოგების“ 47 საკითხავიან კრებულში. სურათის ნაოვლსაყოფად წარმოვადგენო რამდენიმე საკითხავის ბერძნულ დედანოან დაწვრილებითი შედარების სურათსა და შედეგებს⁷.

I) ქართული ოარგმანის მე-16 ოავის ძირითადი საკითხავია 68-ე სიტყვა: „შურისათგს და მტერობისა“. ამ ოავში შესული ქვესაკითხავებია: ა) „ოესალონიკელოა“; ბ) „დაბადებისა“; გ) „ოარგმანებისაგან „მამაო წუენოსავ“; დ) „ოარგმანებისაგან სახარებისა“ (№№69-72).

ამ ოავის ქართულ ოარგმანს ანალოგი ეძებნება ორი ბერძნული საკითხავის ფარგლებში – მე-17 სიტყვის: „*Ἔερι; φθόνου*“ [PG 63, col. 677-682] („შურისათვის“) და მე-18 სიტყვის: „*Ἔερι; μίσους καὶ ἔχθρας*“ [PG 63, col. 682-686] („სიძულვილისა და მტერობისათვის“).

დასაწყისი მოზრდილი მონაცემი ქართული და ბერძნული ტექსტებისა სრულად ემოხვევა ერთმანეთს. ეს დამოხვევა ხდება 68-ე ქართული ძირითადი საკითხავისა და № 17 ბერძნული ტექსტის ფარგლებში. რაც შეეხება ქართული ოარგმანის მე-16 ოავის ზემოთ ჩამოთვლილ ქვესაკითხავებს (№№69-72), ისინი ემოხვევა №18 ბერძნული სიტყვის გარკვეულ ადგილებს.

№17 და №18 ბერძნული სიტყვები აზრობრივად ახლოს დგანან ერთმანეთოან: მე-17 სიტყვაში საუბარია შურის შესახებ, მე-18-ში კი - ამ ოვისებიდან გამომდინარე შედეგებზე: ადამიანოა შორის სიძულვილისა და მტერობაზე.

იგივე ვითარებაა ქართულ ტექსტში: 68-ე სიტყვაში საუბარია კონკრეტულად შურის შესახებ, ხოლო ამ ოავის (№16) ზემოთ ჩამოთვლილ ქვესაკითხავებში ეს თემა გაშლილია სწორედ იმ მიმართულებით, როგორითაც არის წარმოდგენილი მე-18 ბერძნულ სიტყვაში.

უფრო დაწვრილებით გავანალიზოთ ეს ტექსტი მთლიანობაში, კერძოდ, რა სახისაა დამოხვევა ქართულ-ბერძნულ ტექსტებს შორის და რაში გამოიხატება განსხვავება მათ შორის:

ა) ქართული 68-ე სიტყვა არის მე-17 ბერძნული სიტყვის შემოკლებული ვარიანტი, ის დაახლოებით მესამედი ან კიდევ უფრო პატარა მოცულობისაა ბერძნულობან შედარებით. დასაწყისი, საქმაოდ მოზრდილი ნაწილი ამ სიტყვისა, ქართულ ოარგმანში, ფაქტიურად, უცვლელად მი-

⁷ შედარებისას არ ვიცავთ საკითხავების ოანმიმდევრობას, რადგან ამ შემოხვევაში ამას არა აქვს მნიშვნელობა.

ყვება ბერძნულ წყაროს. შემდეგ, რიგ შემთხვევაში, ქართული თარგმანი შემოკლებულია, ანუ ბერძნული ტექსტის აზრი უფრო ლაპონურად არის გადმოცემული, ზოგჯერ კი ბერძნული ტექსტის მოზრდილი მონაკვეთები საერთოდ არ არის ქართულ თარგმანში. პირველი შემთხვევის მაგალითად (შემოკლება-ლაპონურობა) მოვიტან ქართულ თარგმანს: „რადესა მწუხარე ხარ, უბადრუკო, კეთილსა ზედა მმისა შენისასა? უფროხსად სიხარული გილირდა და მადლობად ლმრთისად, რამეთუ მმად შენი კეთილსა შინა არს და ლმერთი მის მიერ იდიდების“. ეს მონაკვეთი ბერძნულში გაცილებით ვრცელია. მასში საუბარია იმის შესახებ, რომ მმა დამწუხებულია იმის გამო, რომ არა თვითონ მან, არამედ მისმა მმამ განადიდა ლმერთი თავისი ცხოვრებით; ამდენად, ამ უკანასკნელისათვის მთავარია არა უფლისათვის პატივის მიგება, არამედ ის, რომ თვით მან გააკეთოს ეს და არა მისმა მმამ - მტრობა მმებს შორის დრმად არის ფესვგადგმული. წმ. ოოანე თქროპირი ამბობს - ეს რომ მისი მმა კი არა, მისი მტერიც კი ყოფილიყო, უფლის განდიდებისათვის მას იგი თავის მეგობრად უნდა ექცია, მას კი საკუთარი მმის შეშურდა და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ იგი თავის მტრად აქციოს.

ბ) მონაკვეთები, რომლებიც მოლიდანად აკლია ქართულ თარგმანს – ძირითადად, ეს არის განუქნებული შსჯელობა შურის დამღუპელობის შესახებ. გავაანალიზებთ ერთ ასეთ დაკლებულ მონაკვეთს: მტრობა, ოოანე თქროპირის აზრით, შურთან შედარებით ნაკლები უბედურებაა, რადგან მას შეიძლება მოველოს – მტრები გაარკვევენ თავიანთი უთანხმოების მიზეზს; რაც შეეხება შურს, ეს ადამიანის ის თვისებაა, რომლისგანაც იგი ვერასოდეს იხსნის თავს – მოშურნე ლიად არ ებრძვის იმას, ვისიც შურს და ამიტომ კიდევ უფრო საშიშია. წმ. მამა კიდევ უფრო შორს მიდის თავის მსჯელობაში, გვეუბნება, რომ გამოაშკარავება და გაკიცხვა შურიან ადამიანს კი არ გამოასწორებს, არამედ მას კიდევ უფრო უსირცხვილოს გახდის. ამიტომ იოანე თქროპირი ურჩევს ადამიანებს, რომ შურიანს მტრობით არ უპასუხონ, რადგან, საბოლოო ჯამში, თვითონ კიდევ უფრო მეტად დაზარალდებიან – მათზე ეჭვს აიღებენ, რომ ისინი უმიზეზოდ მტრობენ და ცილს სწამებენ მავანს. ერთი სიტყვით, იოანე თქროპირი ფართოდ იხილავს ამ თემას, ყველა კუთხით აანალიზებს მას.

განვიხილოთ დარჩენილი ტექსტის, კერძოდ, ქართული რედაქციის მე-16 თავის ქვესაკითხავების (№№69-72) მიმართება მე-18 ბერძნულ სიტყვასთან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მე-16 თავში შედის შემდეგი ოთხი ქვესაკითხავი: ა) „ოქსალონიკელთა“; ბ) „დაბადებისა“; გ) „თარგმანებისაგან, „მამაო ჩუქოსავ“; დ) „თარგმანებისაგან სახარებისა“. შედარებამ გვიჩვენა, რომ ეს ოთხი ქვესაკითხავი ემყარება მონაკვეთებს ბერძნული ტექსტის მე-18 სიტყვიდან. ქართულ რედაქციაში არ მოიპოვება საკითხავი იმ

სათაურით, რომელიც აქვს ბერძნული კრებულის მე-18 სიტყვას, პერძოდ, „სიძულვილისათვის და მტერობისათვის“, მაგრამ მე-16 თავის (ანუ 68-ე სიტყვის) სათაური – „შურისათვს და მტერობისა“ - უკვე მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ სიტყვაში გაერთიანებულია ბერძნული კრებულის ეს ორი სიტყვა: მე-17 („შურისათვის“) და მე-18 („სიძულვილისათვის და მტერობისათვის“).

მე-18 ბერძნული სიტყვის ყველაზე დიდი მოცულობის ტექსტი მოთავსდა ქართული რედაქციის მე-16 თავის ქვესაკითავში: „თესალონიკელთა“. პავლეს I ეპისტოლეში თესალონიკელთა მიმართ რამდენიმე ადგილას არის საუბარი „მმათმოყვარეობაზე“, იმაზე, რომ არავინ უნდა მიაგოს ბოროტის წილ ბოროტი, ანუ ამ ეპისტოლეში საუბარია იმ თვაზე, რასაც ეძღვნება მე-17-18-ე ბერძნული სიტყვები. მიზეზი ქართულ რედაქციაში ამ ქვესაკითხავის გაჩენისა („თესალონიკელთა“), როგორც ჩანს, სწორედ ეს არის: ადგილები, რომლებიც ეხმიანება თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლეს, ქართულ რედაქციაში გამოყოფილია ცალკე ქვესაკითხავის სახით თავისი შესატყვისი სათაურითურთ. მოვიტანო იმ ადგილებს, რომლებიც ზუსტ თანხვედრაშია მე-18 ბერძნულ სიტყვასა და ქართული რედაქციის მე-16 თავის ამ ქვესაკითხავს შორის:

1) „მაგინაო და მეძავად და მერუშედ სახელ-მდვაო“. – ხოლო რაო არს ეს? უკუთუ ჭეშმარიტი გრძუა, ნუ განრისხები, არამედ შეიკდიმე ესევითართა საქმეთაგან; უკუთუ კულა ტყუა, გაიხარენ, რაუამს გაყუედრებდენო და განთქუან სახელი თქეუნი, ვითარცა ბოროტოთვს კაცისა; გაიხარენ მას დღესა და მხიარულ იყვნიო, რამეთუ სასყიდელი თქეუნი დიდი იყოს ცათა შინა“. შესატყვისი ბერძნული ტექსტი მე-18 სიტყვიდან: „*Eipervere kakw~, kai; moicon kai; pornon eikal ese kai; tirtouto ei; men aʃ'hq̫ legei diordwsai ei; de; yeudh` kat agel ason. Ei; sunoida~ saut w`ta; ejr̫hmena, swfronhson ejmh; sunoida~ kat afromhson mallon de; mh; kat agel aʃh~ mhde; kat afromhsh~ monon aʃl;a; caire kai; skirta kata; ton tou`Kuriwu logon...*“ (PG 63, col. 682-683). ამის შემდეგ ბერძნულ ტექსტში მოტანილია ვრცელი ციტატა ლუკას სახარებიდან - 6,22-23. ეს ციტატა ქართულ თარგმანში შემოკლებულად არის გადმოღებული: „**რამეთუ სასყიდელი თქუნი დიდი იყოს ცათა შინა**“.

2) ამ ტექსტის მომდევნო მონაცემთი, რომელსაც მოვიტანო მე-16 თავის პირველი ქვესაკითხავიდან და რომელიც ზუსტად მისდევს ბერძნული რედაქციის მე-18 სიტყვას, ბერძნულში საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული ზემოთ მოტანილი (№1) ადგილიდან, ხოლო ქართულ რედაქციაში უშეალოდ მოსდევს მას, ანუ ქართულ რედაქციაში ბერძნული მე-18 სიტყვის მცირე ნაწილი გადმოვიდა და გადანაწილდა 4 ქვესაკითხაზე. აი, ეს თანხვედრილი ტექსტი ქართული რედაქციიდან:

„ფარისეველი ვინმე და მეზუერე იყვნეს და აღვიდოდეს ლოცვად; და მეზუერე იგი იყო სავსე ყოვლითა ცოდვითა, ხოლო ფარისეველი იღუწიდა მოგებად საონოებათა. დადგა იგი უპუე და იტყოდა: „ლმერთო, გმადლობ შენ. არა ვარ მე, ვითარცა კაცოაგანი, მტაცებელ და ანგაჭრ, და ვითარცა ესე მეზუერე“ ხოლო მეზუერე იგი შორით დგა. არა განრისხნა, ესმა რამ სიტყუად ესე, არა აგინა, არამედ სულთ-ითქუნა მწარედ და იცემდა მკერდსა და ოქუა: „ლმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას“ და გარდამოვიდა მიერ განმართლებული. იხილედა მსწრაფლი საქმე? თავს-იდვა უუედრებად და განერა უუედრებასა საუკუნოსა და შესმენად იგი ცოდვისა მისისად იქმნა შემნდობელ მისსა და მტერი იგი ქველისმოქმედ ექმნა. რამდცა იყო უსანატრელეს ამისსა, ანუ უმოსწრაფეს აჭოცად ცოდვათა? რაოდენი შრომანი უგმდეს მეზუერესა მას, – მარხვად, მღვძარებად, გმელსა ზედა წოლად, შრომად ფრიადი მრავალოა წელთად, რაოთამცა აჭოცნა თვისნი იგი ცოდვანი და აპა ესერა, თვინიერ ამის ყოვლისა ერთსა უამსა შეურაცხებამან მან შენდობად ცოდვათა მიმადლა“. შესატყვისი ბერძნული ტექსტი იხ.: PG 63, col. 684,35-685,5.

3) გარევული მონაკვეთები მე-18 სიტყვისა შესულია ქართული რედაქციის მე-16 თავის მეორე ქვესაკითხებავში: „დაბადებისა“.

„დაბადებისა“-ს დასაწყისი - „მოიგსენე უპუე საშინელი იგი დღე, რა-ჟამს ყოველნი შიშუელნი და ქედდადრეგაილნი დგენ წინაშე მსაჯულისა მის და გულისგმა-ყავ, ვითარმედ ყოველნი დაფარულნი მაშინ გამოცხადნებიან. ხოლო უკუეთუ მოყუასსა ცოდვად მისი შეუნდო, აღიგოცნენ შენ-ნიცა ცოდვანი დაფარულნი და არა გეტპროთს მუნ ტკრო. რამდცა უპუე იყო უადგილეს ამისსა, უკუეთუ ბრალნი ჩუენნი და მრავალნი ცოდვანი მოყუსისა შენდობითა აღიგოცნიან?“ – ზუსტად შეესატყვისება ბერძნული რედაქციის (მე-18 სიტყვის) შემდეგ ადგილს: PG 63, col. 685,26-33. ამ ქვესაკითხავის დანარჩენი ნაწილიც საკმაოდ ზუსტად მიყვება მე-18 სიტყვის დასასრულ ნაწილს და ამ ნაწილში გადმოცემული აზრის რეზიუმირებას წარმოადგენს.

4) ქართული რედაქციის მე-16 თავის მესამე და მეოთხე ქვესაკითხავები - თარგმანებისაგან „მამაო ჩუენოსად“ და „თარგმანებისაგან სახარებისა“ – წარმოადგენენ ბერძნული რედაქციის მე-18 სიტყვის ბოლო მოზრდილი მონაკვეთის შემოკლებულ გარიანტს. ამ შემთხვევაში ადარვსაუბრობთ ქართულ თარგმანში ზუსტ გადმოდებაზე ბერძნული ტექსტისა, არამედ იმაზე, რომ ბერძნული ორიგინალის აზრი შეგუმშული ფორმით არის გადმოტანილი ქართულ თარგმანში.

II)⁸ ქართული თარგმანის მე-17 თავის პირველი ძირითადი, 73-ე სი-

8 დანარჩენ მასალას ადარ განვიხილავთ იხე დაწვრილებით, როგორც ეს გავა-

ტყვა: „მოწყალებისათვს სტაგეროსის მიმართ“ და ამ თავის პირველი ქვესაკითხეავი: „ფსალმუნისად რედ“ (№74) ავლენენ დამოკიდებულებას ბერძნული კრებულის მე-19 სიტყვაზე: „Peri; λύρης καὶ ἀθηνίας“ [PG 63, col. 685-690].

ეს დამოკიდებულება შემდეგნაირია: ქართული თარგმანის 73-74-ე სიტყვები ტექსტის იმ თანმიმდევრობის დაცვის გარეშე, როგორითაც ისინი წარმოდგენილნი არიან ქართულ რედაქციაში, თანხვდებიან ბერძნული კრებულის მე-19 სიტყვის ტექსტს, – ხან შესატყვის ტექსტების ზუსტი დამთხვევით, ხან ბერძნული ტექსტის მოზრდილი მონაკვეთების თითო-თროლა წინადადებით წარმოდგენით. ამასთან, ბერძნული კრებულის მე-19 სიტყვის მხოლოდ მცირე ნაწილი არის ასახული ქართული თარგმანის მე-17 თავში (№№73-74), დაახლოებით მესამედი. ე. ი. ქართული თარგმანის ეს ორი სიტყვა სრულად თავსდება ბერძნული მე-19 სიტყვის ყარგლებში, რომელიც, ამას გარდა, მოიცავს ისეთ ტექსტსაც, რომელიც არ არის გად-მოდებული ქართულ თარგმანში.

III) „მარგალიტის“ შემცველ ორ ნუსხაში – XI ს-ის Sin 51-სა და XVI ს-ის H 1674-ში – სრული სახით არის წარმოდგენილი მე-14 თავის პირვე-ლი ძირითადი საკითხეავი (№61), რომელიც დანარჩენ ნუსხებში დასაწყისი, საგმაოდ ვრცელი მონაკვეთის გარეშე არის შესული: „განგებულები-სათვს სტაგერის მიმართ მიწერილისა“; მას შეესატყვისება ბერძნული კრებულის მე-10 სიტყვა (PG 63, col. 631-638): „Peri; Pronoia~“ („განგებ-ულებისათვს“). №61 საკითხეავი მხოლოდ ნაწილია ბერძნული მე-10 სიტყვისა, რომელიც მთლიანად ფარავს მე-14 სიტყვას თავის 62-64-ე ქვეს-აკითხავებიანად: „თარგმანებისაგან ფსალმუნისაგან რა“, „მდიდრისათვს და ლაზარეს თქუმულისაგან“.

განსხვავებით აქამდე განხილული შემთხვევებისა, ამჯერად ქართული ტექსტის თანხვედრა ბერძნულ ტექსტოან გაცილებით მოცულობითია: მოედი ეს თავი შემოკლების გარეშე მიყვება ბერძნულ წყაროს. ამ საკ-მაოდ მოზრდილი სიტყვის ბერძნული ტექსტის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი (დაახლოებით მერვედი) არის გამოტოვებული ქართულ თარგ-მანში, შემოკლებული ან პარაფრაზირებულია (შემოკლება და პარაფრა-ზი ეხება ქვეთავებს და არა ძირითად ტექსტს – №61-ს).

IV) ქართული თარგმანის მე-9 თავის ძირითადი საკითხეავი (№39): „ლოცვისათვს ანდრიატელთა თქუმულისაგან“ თავისი მიმყოლი ქვეს-აკითხავებითურთ: ა) „ქანანელისათვს თქუმული“, ბ) „მესამისა თავისა

კეთევ მე-16 (№68) თავსა და მის ქვეთავებთან დაკავშირებით (№№69-72), რადგან ყველან დაახლოებით ერთი სურათია და ნიმუშისათვის საგმარისია ამ ერთი სიტყვისა და მისი ქვეთავების ანალიზი.

ანანიავს ოქუმულისაგან“, გ) ორგმანებისაგან დაბადებისა“, დ) „ორგმანებისაგან თესალონიკელთა ებისტოლისა“, ე) „ანდრიატელთათვე“ (№№ 40-44) – მთლიანად თავსდება ბერძნული კრებულის №2 სიტყვაში: „Peri; ευχή~“ (PG 63, col. 579-590) („ლოცვისათვე“). ამასთან, საგანგმოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართული რედაქციის მე-9 თავის ძირითად საკითხავად მიჩნეული ტექსტი მოცულობით დაახლოებით ნახევარია „ა“ ქვესაკითხავის ტექსტისა, ასე რომ, კრებულის დაყოფა ძირითად თავებად და ქვესაკითხავებად, როგორც ვხედავთ, პირობითია.

„ლოცვისათვე ანდრიატელთა თქუმულისაგან“ სიტყვასიტყვით მიუვება ბერძნულ ტექსტს. ერთადერთი განსხვავება არის ის, რომ ბერძნული ტექსტის ერთი მონაკვეთი (დაახლოებით 1/3 მე-9 თავის მთლიანი ტექსტისა) ქართულად გადმოღებული არ არის, ე. ი. მთლიანად ჩავარდნილია. ამ სიტყვებში აზრი ძალიან ხშირად მეორდება სხვადასხვა ფორმით. სწორედ ამ გამეორებული აზრის გამოტოვების ხარჯზე არის ამ შემთხვევაში შემცირებული ქართული თარგმანი.

ბერძნული №2 სიტყვის საკმაოდ დიდი უთარგმნელად დატოვებული მონაკვეთის შემდეგ მოდის „ა“ ქვესაკითხავის ტექსტი. გადმოღებულია მოზრდილი მონაკვეთი ბერძნული ტექსტისა, შემდეგ ისევ არის გამოტოვებული პატარა მონაკვეთი და თარგმნილია ამ ქვეთავის დარჩენილი რამდენიმე ხაზი.

„ბ“ ქვესაკითხავის ტექსტიც სრულად თავსდება №2 ბერძნულ სიტყვაში, რდონდ ამ შემთხვევაში არა მხოლოდ გამოტოვებულია გაბმული ბერძნული ტექსტის მოზრდილი მონაკვეთები, არამედ ერთი ადგილი შემოკლებულად და პარაფრაზირებულად არის გადმოღებული.

„გ“, „დ“ და „ე“ ქვესაკითხავები მოცულობით ძალიან ჩამოუვარდებიან „ა“ და „ბ“ ქვესაკითხავებს. ისინიც მთლიანად თავსდებიან მე-2 სიტყვაში. ამ შემთხვევაშიც კეთდება ინტერვალები (ანუ არ არის თარგმნილი გარკვეული მონაკვეთები) № 2 სიტყვის ფარგლებში, ანუ მე-9 თავი თავისი ქვეთავებითურთ სრულად შედის №2 ბერძნულ სიტყვაში, რდონდ ეს ბერძნული სიტყვა მოცულობით საკმაოდ ადგმატება მთელ ამ ქართულ მასალას, ე. ი. ქართული მასალა, თვითონ სრულად შესული №2 სიტყვაში, არ ფარავს მთელ ამ სიტყვას.

V) ქართული თარგმანის მე-3 თავის ძირითადი საკითხავი: „სწავლა სიყუარულისათვე“ (№10) და ამ თავის ქვესაკითხავები: ა) „ორგმანებისაგან მათეს სახარებისა“ და ბ) „თარგმანებისაგან ჰერომაულთა ებისტოლისა“ (№№11-12) – საკმაოდ მცირე დამოკიდებულებას აჩვენებენ ბერძნული კრებულის ამავე სათაურის მქონე პირველ სიტყვაზე: „Περὶ ἀγάρης“ (PG 63, col. 567-580). თანხვედრა გამოიხატება მხოლოდ რამდენიმე საერთო

ფრაზაში, ისიც არა ბერძნული სიტყვის დასაწყისში, როგორც ზემოთ განხილულ შემთხვევებში, არამედ სადღაც საკითხავის შუაში, თანაც არა მიყოლებით, არამედ გაფანტულად, ალაგ-ალაგ. აქ კიდევ ერთი რამ უნდა ვთქვათ: „ბ“ ქვეთავში - „თარგმანებისაგან პრომაჟლოთა ებისტოლისა“ - ჩართულია მოზრდილი მონაკვეთი, რომელშიც საუბარია აბრაამის მზა-დყოფნაზე, შეეწირა თავისი შეილი ისააკი უფლისაოვის და დაწვრილებითა გადმოცემული მოელი ეს ბიბლიური პასაჟი. ეს მონაკვეთი საოაურით „ოქუმულისაგან დაბადებისა“ შეტანილია უფოვიმე მთაწმიდელის თარგმანობა კრებულშიც - A 445-ში (ეწ. „ათონის კრებულში“⁹). ქართული თარგმანის ამ მონაკვეთს არა აქვს შესატყვისი ამავე დასახელების ბერძნულ სიტყვაში. ამდენად, შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ქართველი რედაქტორის, ანუ ეფთვიმე ათონელის ჩარევასთან: შესაძლოა, მან ეს პასაჟი შესაფერისად მიიჩნია იმ თემის გაშლისა და სრულყოფისათვის, სადაც საუბარია ძირითადად უფლის სიყვარულზე: ოქროპირის სხვა სიტყვიდან ამოიღო ის და მოათავსა ქართული მარგალიტის მე-10 თავის ერთ-ერთ ქვესაკითხავად.

VII) ქართული თარგმანის მე-10 თავის 45-ე ძირითადი საკითხავი: „მარხვისათვს და სიწმიდისა, თარგმანებისაგან მისგან დაბადებისა“ და ამ თავის ქვესაკითხავი: „ლაზარესათვს და მდიდრისა, ოქუმულისა მისგან“ (№46) სიახლოეს ავლენენ ბერძნული ეპლოგების მე-4 სიტყვასთან: „Περὶ οἰκτείας καὶ εὐφροσύνης“ (PG 63, col. 595-602). ეს სიახლოევე უფრო მეტად არის გამოხატული, ვიდრე წინა შემთხვევაში - № V). მართალია შემოკლებით, მაგრამ ქართული თარგმანის 45-ე საკითხავი მთლიანად თავსდება მე-4 ბერძნულ სიტყვაში, ხოლო 46-ე ქვესაკითხავის - „ლაზარესათვს და მდიდრისა...“, დასაწყისი მოზრდილი მონაკვეთი ასევე აგრძელებს მე-4 ბერძნული სიტყვის ტექსტს; მისი ძირითადი ნაწილი კი უბევ ვეღარ თავსდება ბერძნულ ტექსტში. ასე რომ, ბერძნული საკითხავის ბოლო, მოზრდილი მონაკვეთი უთარგმნელად არის დატოვებული, სამაგიეროდ, ქართულ თარგმანში აისახა რომელიდაცა სხვა ბერძნული სიტყვის ტექსტი, საგარაუდოდ, მონაკვეთი იოანე თქროპირის მიერ ლაზარეზე წარმოთქმული ციკლიდან.

VIII) ქართული თარგმანის მე-2 თავის მე-5 ძირითადი საკითხავი: „სინაულისათვს და სათხოებათა მოგებისათვს და მავნებელთა განდევნისა“ და ამ თავის სამი ქვესაკითხავი: ა) „იონა წინაწარმეტყუელისა თქუმულისაგან“; ბ) „თარგმანებისაგან მათეს სახარებისა“; გ) „მეორისა თავისაგან თეოდორეს მიმართ მიწერილისა, რომელმან მონაზონებად დაუტევა“

⁹ ამის შესახებ იხ.: ე. კოჭლამაზაშვილი, „იოანე თქროპირის „მარგალიტის“ ფრაგმენტები უფოვიმე მთაწმიდლის თარგმანთა ერთ კრებულში“, რელიგია, სამეცნიერო-სალგოთისმეტყველო კრებული, №7-8-9, 2003, გვ. 13-25.

(N^o6-8) – ტექსტობრივად ემთხვევა ბერძნული ეპლოგების მე-3 სიტყვას: „Peri; metanoia~“ (PG 63, col. 589-596). ქართული თარგმანის ამ ნაწილის შედარებამ ბერძნულ სიტყვასთან კიდევ ერთხელ აჩვენა ის, რაც ვნახეთ წინა შემთხვევებშიც: ქართული ტექსტი მოლიანად თავსდება ამ ბერძნულ სიტყვაში (ძირითადი საკითხავი და ქვესაკითხავები), თღონდ საკმაოდ ჩამოუვარდება მას მოცულობის თვალსაზრისით – მოზრდილი მონაკვეთები ბერძნული ტექსტისა არ არის თარგმნილი, შედარებით მცირე მოცულობის ტექსტი კი პარაფრაზირებულია. რაც შეეხება თანხვედრილ ნაწილს, ეფოვიმეს, თარგმანისათვის ქართული ენის ბუნების შენარჩუნებით, ზუსტად, მაგრამ კალკირების გარეშე-გადმოაქვს ტექსტი.

და დღიოთდღე ცრემლნი მათნი და ტკივილნი იგი მათნი, წყლულებანი
მათნი, რათა წყლულებად წყლულებასავე ზედა არა შევსძინოთ, ვო-
თარცა-იგი მეგობართა მათ იობისათა ყვებ³⁹. ანუ არა გასმიეს-ა, რასა- 15
იგი იტყვს უფალი, — ვითარმედ ლერწამი შემუსრვილი არა განსტეხო⁴⁰
უკუეთუ ძალ-გიც შეწყალებად, კაცო, შენ შეიწყალე და თუ არა გნე-
ბავს⁴¹, აყუედრებ რაისათვსლა? არამედ ლმობიერითა სიტყვთა არქუ მას:
„წარვედ მშკდობით“. ნუუქუ რას გაჭირვებს-ა? არამედ გვვედრების შენ
და არას გაჭირვებს. გლოცავს შენ და არარას გმდლავრობს, არამედ 20
შეგივრდების შენ და იტყვს: „შემინდე⁴² მე“. რამეოუ ესრეთ მომიგსენ-
ნა ჩუენ, მოიგსენეთ, რამეოუ ჩუენცა ოქუენებრნივე ვიყვანით ოდესმე.
მოიგსენეთ აწ და შეინანეთ, რამეოუ მომავალი და წინამდებარევ არავინ
უწყის დაბადებად მის მხოლოდსა, რომელმან ესრეთ ინება გუემად ჩუენი. 25
ერთად მი-მო-იტაცებენ და ესევითართა სიტყუათა იტყვან, სალმობით და
კუნესით და ტკივილით დადადებენ. მო-მცა-მქ-უწილდა უფალმან კუალად
ერსა თვესა და შე-მცა-კრიბა სამწყსო იგი თვესი; და მწყემსი იგი მწყსი-
და-ლა-მცა სამწყსოსა თვესა, ვითარცა-იგი [B116v] პირველ. გარე-მცა-
წარაქცია უფალმან რისხევად მისი, ანუ და-ლა-მემ-ცა-ეგო სამკუდრებელსა 30
თვესა და-მე-ლა-მცა-ამშკდნა ბრძოლანი ესე უფალმან, [D71] ანუ და-
მე-ლა-მცა-სცხრა ოქრებად ეკლესიათა მისთა ოდესმცა დირს-ვიქმნენით
ხილვად ესევითარსა ამას მოწყალებასა, გინა თუ ჩუენსა შემდგომადცა
და-მე-ლა-მცა-სცხრა რისხევად, ანუ და-მე-ადგრეს-ა ჩუენ თანავე ცოდვათა
ზედა? რაოდენნიმე სულნი ელიან სახოებასა მას უფლისასა, ვითარცა 35
წყალსა გრილსა და ესრეთ გან-მე-ვლიან საწუთორსა ამას ცხორებასა

38 რომელნი დაცემულ... ჩუენთა B]-D.

39 ყვეს B]-D

40 მთ. 12,20.

41 თუ არა გნებავს B] არა გნებავს შეწყალებად D.

42 შემინდე B] შემიწყალე D.

- და განეშორებიან ჭორცოაგან მათთა და⁴³ მოელიან განთავისუფლებასა და ვერ მიემოხუევიან საწადელსა მას და სალმობით და კუნესით აღეს-რულებიან. ხოლო ჩუენ გურწამს, ვითარმედ განთავისუფლებულ არიან იგინი სატანჯველისა მისგან მომავალისა, რამეოუ სარწმუნო არს დმერ-5 თი, რომელმან-იგი აღგათქჲა ჩუენ მერმისა იგი ცხორებად წარუვალი და დიდებად გამოუთქჲმელი და სუფევა მიუწდომელი და გპრგბი დაუჭნო-ბელი მოყუარეოა სახელისა მისისათა ქრისტეს იესუს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისა არს დიდებად და პატივი და თაყუანისცემა საუკუნეთა მიმართ საუკუნეთასა, ამინ.

თავი XIV.

ს(1) ნმიღისა მამისა ჩუენისა იოანე ოქამბიჩისა,
სიკუჯანი განგებულებისათვე სუაგეჩის მიმართ მიწერილისა¹

(E43r; H105r) იტყუიან ვიეთნიმე, თუ რადესათვე არა პირველვე მაც-
თური იგი არა სრულიად უჩინო-ყო, ოდეს-იგი ადამ შეაცოუნა? არამედ
ესე [E43v] გულისკმა-ყავ, ვითარმედ უკუეოუმცა იძულებითა ძალ-ედვა
ცოუნებად ჩუენი მჩერსა მას, აქუნდამცა სიტყუად ესევითარისა მეძიებ-
ლისა? ხოლო ვინავთგან ესე ვერ ძალ-უცა, არამედ ოდენ მოგუაგონებს 5
ბოროტსა და სმენა[H 105v]ი და არასმენად მისი ჩუენსა ჭელმწიფება-
სა შინა არს, ხოლო ვინავთგან მრავალნი მძლე-უქმნებს, რადესათვესმცა
უჩინო-ექმნა ახოანთა იგი გამომაჩინებელი და გპრგზნოსნობისა მათი-
სა მიზეზი? და კუალად, უკუეოუმცა იცოდა ღმერომან, თუ ერველთა
სძლევს ეშმაკი, დაეტევამცა? არცა ეგრე ჯერ-იყო თქუმად ამისთვეს, ვი-
ნავთგან სმენად და არასმენად მისი ჩუენსა ჭელმწიფებასა ქუეშე არს, 10
ხოლო ვინავთგან მრავალ მძლე ექმნებს და დათრგუნებს იგი და მრავალ-
ნი მძლე ექმნებიან, რადესათვე გნებავს, რადოამცა ახოვანი იგი მის მიერ
მომავლისა მის მათ ზედა ქებისა მისგან და სასყიდლისა გამოაგუენ? 15
გარნა ვერ [H106r] ერველნი მძლე ექმნებიან, გულისკმა-ყავ უკუკ, რა-
მეოუ მართალ და კეთილ არს, რათოა წმიდათა აქუნდეს მიზეზი, [E44r]
რომლისა მიერ გამიაჩინო თვის სიკეთე, ხოლო უდებნი თვისითა დაგს-
ნილობითა იტანჯნენ, ვიდრედა ამისთვე იგინიცა გამოეჭუნენ თვისისა
სასყიდლისაგან, რამეოუ უდებსა მას არა წინააღდგომისა მისგან ევნო, 20
არამედ თვისისა უბადრუკებისაგან, რომელ არა ინება, რადოამცა მჭნედ
წინააღდგომილ იყო და ეძლია, ვითარცა სხუათა მათ. და უკუეოუმცა წი-
ნააღდგომი იგი მოსპოლვილ იყო, მოსწრავეოთადამცა ფრიად ვნებული
იყო, რომელ ვერდარადესმცა იპოებდეს მიზეზსა ჩუენებად თვისსა [H106v]
ახოვებასა. ხოლო უკუეოუ ესე გულისსიტყუანი შეიწყნარონ, თუ არა
ჯეროვნად დატვებულ იქმან ეშმაკი გუამისაცა ამის ჩუენისა დადებულ, 25
თქუას თუ, კეთილი იყოს, ვინავთგან მრავალთა ცოდვათა მათ მიერ

1 ეს ტექსტი – „წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა, სიტყუანი განგე-
ბულებისათვე სტაგერის მიმართ მიწერილისა“ – მოიპოვება მხოლოდ ორ
ნუსხაში – **Sin 51-სა (E)** და XVI ს-ის **H 1674-ში (H)**. ბერძნულ ორიგინალთან
(PG 63, col. 631-638) შედარების შედეგად გაირკვა, რომ ეს ტექსტი არის და-
საწყისი ნაწილი **Ath. 77/41-ში, XVI ს-ის A 733-სა და ბერ გვიანდელ ნუსხა-
ში წარმოდგენილი მომდეგნო საკითხავისა: „განგებულებით თქუმულისაგან“
(Peri; Pronoiat~). **S 4936-ში** ეს საკითხავი, თუ ის იყო ამ ნუსხაში, მოხვედრილია
მის დაზიანებულ ნაწილში. ტექსტი დადგენილი გვაქვს ერთდროულად **Sin 51-**
ის (E) ძალიან დაზიანებული და ძნელად წასაკითხი დიგიბალური ვერსიისა
და **H 1674-ის (H)** მიხედვით. ვარიანტული წაკითხვები არა გვაქვს აღნიშნული.**

- იქმო, რომელთა მიერ მოვლენ გულისოქუმანი ჭორცოანი და სიძვაოთა და მრუშებათა მრავალნი შთავარდებიან და კუალად ენისა [E44v] მიერ მრავალნი აღმოიტყვან გმობათა და ჭელთა მიერ იქმან კაცისკლვათა და ფერწითა მივლენ ბოროტოა მიმართ. აწ უკუე ამისოფს უთუალოდ და
- 5 უხნოდ და უკელოდ და უცერტოდ ჯერ-იყოთ-ა ყოფად კაცისაი? ხედავ-ა, ვითარსა უგუნურებასა მოვალსა სიტყუა ესე, რამეოუ ეშმაკი თავის[H 107r]ა თუსისა არს ბოროტ, ხოლო ჩუენ, უპუეთუ ვინებოთ, ფრიადი სარგებელი მოვიგოთ მის მიერ და უმეტესი სირცხვლი მოვატყუათ მას, რაჟამს ბრძოლათა მისთა წინააღდგომითა უმჯობესსა დიდებასა და
- 10 უაღრესსა პატივსა დირს-ვიქმნეთ; რამეოუ ადამ, უკუეთუმცა არა დამორ-ჩილებულ იყო მისდა, უხეშთაესსა დიდებასა მიიწეოდა და მას უმეტესსა სირცხვლისა შთააგდებდა, არამედ უდებ იპოა და ისმინა მისი, ხოლო ვი-ნათვან ესრეთ დაწსნილ იყო, რომელ ერთითა სიტყვთა დედაკაცისათა დაივიწყა მცნე[E45r]ბაი მეუფისაი და დაცათუმცა ეშმაკი არა ყოფილი-
- 15 ყო, იგი ვერვე დაიმა[H107v]რხევიდა მცნებასა მას; კუალად იტყვან, ვი-თარმედ თანად მისცა ლმერომან ადამს მცნებაი იგი ხისად მის, ვინაოვგან იცოდა, ვითარმედ გარდასლვად არს. არამედ გულისგმა-ყავ, ვითარმედ უმჯობესისა მისისათვს მისცა მცნებადცა, რამეოუ რომელი-იგი ესრეთ უდებ იყო, რომელ მცნებაიცა მიეცა და შეურაცხ-ყო და ლმეროყოფაიცა
- 20 მოუკდა მას, უკუეთუმცა ყოლადვე არა მიედო მცნება, არამცა უძრებე-ქმნებულ იყო-ა, ანუ ყოლადვე მო-და-ჟგონებდამცა, თუ სხუა მეუფე უვის? ამისოფს მოეცა მცნებაი, რათოა მოექსენებოდის, ვითარმედ უფალი უფის და რათოა გემნას მას მცნებაი იგი აღვრ ბოროტოა მიმართ, უკუეთუმცა არავინ უკეთ[H108r]ურთაგანი იტანჯებოდა აქავე და კეთილისმოქმედოთა-
- 25 განი არავინ პატივ-იცემებოდა და მრავალნიმცა ურწმუნო იყვნეს მერმისა მისოფისცა მისაგებელისა[E45v]თუს და სათხოებათაგან, ვითარცა ჭიროა და შეურაცხებათაგანცა, ივლტოდეს და ცოდვასა, ვითარმცა კეთილთა მიხეზსა, შეუდგეს. და კუალად, უგუეთუმცა ყოველნივე აქა მიიღებდეს მისაგებელსა საქმეთა მათოასა, მერმე, სადამცა აღდგომასა არიან, არა
- 30 მოელოდეს. ამისოფს უკუე, რათოა არცა აღდგომასა ურწმუნო იყვნენ, არცა კულა ჰერონებდენ, თუ არარად არს მისაგებელი ცოდვისად და წარმდებე-ბით ცოდვიდენ, ვით რითამე ბოროტისმოქმედოა [H108v] აქავე სტანჯისა ღმერთი და რომელთამე კეთილისა მოქმედოა პატივ-სცემს. და არა ტან-ჯვით ამით ბოროტოთათა და პატივითა [განაღვინხა] კაცნი ძილისა მისგან
- 35 მცონარებისა? ხოლო არა ყოველთა მიმართ ამისითა ქმნითა გულისგმა-უყოფს, უამი მოწევნად არს, ოდეს ყოველი ზედა ნაცვალი კაცოა მიიღონ-ა? ამისოფსცა კაენი არა მოკლა ცოდვისა მისოფს დიდისა, არამედ ამასვე საწუთროსა ტანჯა, რათოა სხუა[E46r]ნი შემინდენ, რამეოუ არა ესრეთ იყო, თუმცა ესმოდა ვის, თუ კაენ ვინმე მმავ მოკლა თუსი და თუთცა
- 40 მოკუდა, და რომელ ხედვი[H109r]დეს თუალითა თუსითა სასჯელსა მას,

რომელი იყო მის ზედა და ვერავინ ურწმუნო იქმნებოდა და არა მცირედნი მოვიდოდეს შიშისა ამის გამო. და კუალად, უკუეოუმცა მექსეულად მოეკლა იგი ღმერთსა, არამცა მიცემულ იყო მისა სრულიად ჭამი სინანულისა, ხოლო ვინაოთგანმცა პეთოლად დასდგა მას ზედა ძრწოლად იგი და შიში სამარადისო, უკუეოუმცა არა სრულიად უგულისჯმო იყო და 5 მგეცა და არა კაცა, ფრიადმცა შეინანა და სარგებელმცა ეყო ესევითარი იგი ტანჯვავ; და კეთოლად აქავე ტანჯვითა მით საუკუნოსა მას სატანჯველსა აღუსუბუქებდა, რამეთუ ამასვე საწუთოსა მოწევნულნი ჩუენ ზედა, ღმრთისა მიერ მოწე[H 109v]ნულნი და მწუხარებანი, ფრიად აღუსუბუქებენ მერმისა მას სატანჯველსა. [E46v] ამისთვის, რომელნი-იგი სწორსა 10 სატანჯველსა დირს-იყუნესა, არა ტანჯნის სწორად ღმერთმან, არამედ რომელნიმე ტანჯნის, რაოთა აღუსუბუქოს მერმისა მის სატანჯველი და სხუანი დაუტევნის, რაოთა თუსო შეშინდენ, მოიქცენ; ხოლო მრავალგზისა ტანჯნის ყოველნი ერთბამად, ვითარცა-იგი წყლიორდუნასა იყო, რაოთამცა იგინი ვერდარა გარდაემატნეს ბოროტსა მას შინა და რაოთა 15 შემდგომთა მათ ნათესავთა ერგოს, რაოთა არღარა შეეყოს სხუათა მათ ნათესავთა და განა[H 110r]ფუვნეს იგინიცა ბოროტსა მას შინა. ამისთვის უკუე ესეოდენ ჯერ-არს, რაოთა გულსავსე ვიყვნეთ, ვითარმედ პირველსავე უმჯობესად ჩუენდა იქმს ყოველსავე, ხოლო თუ ვითარ იქმს, ანუ რომლითა განგებულებითა თითოეულსა საქმესა, ნუდარა ვემიებო, ნუცა შევშფოთნებით ვერგულისკმისყოფისა მა[E47r]თისთვის, რამეთუ არცა სარგებელ ჩუენ-და განგებულებათა მისთა ცნობად ერთბამად; მოჟუდავნი და უძლეურნი ვართ და ვინაი ძლიცა ჩუენ გულისკმისყოფადთა მათ საიდუმლოთა განგებულებასა მისისათა და მერმე, რამეთუ ადრემცა [H110v] მოვედით 20 ამპარტავანებად, უკუეოუმცა ესევითართა მათ ყოველთა საიდუმლოთა ვსცნობდით, რომელი შეუძლებელ არს ცნობად.

[განგებულებით თქმულისაგან]²

ამისთვის, ვიხილნეო³ რად საქმენი რაიმე, რომელნი ჩუენ უწესოდ გპჩნდენ, ნუ ვაბრალებო ღმერთსა, ნუცა ვაონებო, [B117r] თუ განგებულებად⁴ არა არსო, რამეთუ არა თუ საქმენი იგი არიან უწესო და განუგებელ, არამედ ჰეშმარიტად უწესო არს ესევითარი იგი გულისსიტეუ-

² Sin 51-ისა და H 1674-ის გარდა, დანარჩენ ნუსხებში, რომლებშიც ეს საკითხავი (№61) სრულად არ არის, ეს პატარა მონაკვეთი გამოყოფილია ქვესათაურით: „განგებულებით თქმულისაგან“.

³ ვიხილნეო BE] ვიხილნით D.

⁴ განგებულებად BD]+საღმე E.

- ად, რომელი-იგი, ვიდრე ჩუქნ თანა იყოს⁵, დადაცაოუ ყოველი სოფელი წესიერებასა შინა ეგოს, არაოდეს გუერგოს ჩუქნ, არამედ ვითარცა ოუ-ალნი ბრმანი შუასამხრისა ბრწყინ[E47v]ვალებასაცა მზისასა ბნელად პგონებენ და შეუბრკუმის ყოველსა ადგილსა, ხოლო ოუალოა ნაოელოა
- 5 დამესა ბნელსა შეუძლიან შეუბრკოლებელად სლვაო, ეგრეოვე გონებისა ჩუქნისა ოუალნი, უკუეთუ მრთელ იყვნენ, დადაცაოუ უწესოთა რაოთამე საქმეთა ხედვიდენ, კეთილად განიცდიან და პპოებენ⁶, ვითარმედ არარად მოაწეს უფალი უწესოსა, ხოლო უკუეთუ იგინი ბნელ იყვნენ, დადაცაოუ ზეცად მებრ მიიყვანო, მუნცა ფრიადი უწესოებად უჩნდეს თვისისა მის
- 10 სიბეჭდისაგან.

62) თახგმანებისაგან ფსალტენისა⁷

- ანუ პგონებ, ოუ განუგებელად და თავიოთ თვისით დგას სოფელი ესე? და ვითარმცა შესაძლებელ იყო ესე? რაო არს საქმეთაგან ამის სოფლი-სათა, რომელიმცა თავიოთ თვისით ეგო? რომელი ნავი წარემართის თვინიერ მმართებელისა და არა დაინოქის? [E48r] რავსათვს უკუე არა დაიქცევის
- 15 სოფელი ესე, უკუეთუ განუგებელ [D72] არს? ვითარ პგიეს ესოდენთა ამათ ჟამთა წესსა ზედა უქცევლად⁸? გულისკმა-ყავ შუქნიერებად ცისა⁹, ვითარ არა იცვალა, ანუ დაძუელდა¹⁰ ესოდენთა ამათ [B117v] ჟამთა აღ-მოცენებად, უკუეთუ თვისისა ძალისა მიერ აღმოაცენებს, ვითარ წყარო-ნი და მდინარენი აღმოეცენიან¹¹, და არა მოაკლდა; ვითარ ზღუად ესო-
- 20 დენთა წელთა პირველიოთგან მისსა შედინებითა არა გარდაემატა თვისა საზომხა? ვითარ მზემან ესოდენთა ჟამთა თვისი ნათელი არა შეცვალა, არამედ ყოველივე პგიეს, ვითარცა დაებადა. დირს არს და მართალ ამის ყოვლისათვს თქუმად, რამეთუ დიდ არიან საქმენი შენი, უფალო, და ყოველივე სიბრძნით პქმენ, [E48v] რამეთუ ვითარმცა ეგო ესე ყოველი,
- 25 არა ოუმცა მისი განგებულებად იყო, რომელმან-იგი ყოველივე¹² არაარ-სისაგან დაპბადა?

5 იყოს B] ეგოს E, იყო D.

6 განიცდიან და პპოებენ ED] განიცდინ და პპოებნ B.

7 ბ-ში: თარგმანებისაგან რგბ ფსალმუნისა; Sin 51-ში ეს ქვეთავი ცალკე სა-თაურით არ არის გამოყოფილი.

8 წესსა ზედა უქცევლად B]-E, წესსა ზედა უცვალებელად D.

9 შუქნიერებად ცისა B] ქუევანად E.

10 იცვალა, ანუ დაძუელდა BD] მოუძლურდა E.

11 აღმოეცენიან E] აღმოეცემიან BD.

12 ყოველივე BE] ყოველი D.

63) ფსალმუნისა ჩა¹³

კუალად სხუანი გამოეძიებენ საქმეთა, რომელთა არა უკმის ძიებათ: იგი ვინმე უკეთური და უწყალო არს, რად კეთილსა და შუებასა შინა არსო? და იგი ვინმე მართალი იყო, რად მოიწივნეს მის ზედა განსაცდელი? იგი ვინმე რად ბოროტსა შინა მოკუდაო? იგი ქალაქი რომელიმე რად დაიქცაო? იგი ნავი რად დაინთქაო? იგი ქრისტეანეთა ერი წარმართოა 5 მიერ რად იძლიაო? იგი მეყვე უსჯულოთა რად დადგაო? ხოლო ჩუენ ხურო თუ ვიხილით, რომელსამე შეშასა განკუეონ და რომელსამე განხერხავნ, და არა ვარქუთ, თუ რად ამას იქმს, არამედ ვიცით, თუ ესრეთ სამე კეთილ არს, და მკურნალი რად რომელსამე სწუავნ და რომელსამე პკუეონ [B 118r; E49r] და სხუასა ამშევნ და რომელსამე ევედრებინ ჭამად, 10 არა ვთქუთ, თუ ბოროტად იქმს, არამედ ვთქუთ, თუ ესრეთ სამე მოუვალს თვითეულისა სენსა, ხოლო დმრთისა საქმეთა არა ესრეთ ვეძიებო, უგულისტმოდ და უგუნურად. არა ქუე-მოიდრიკო თავი შენი, კაცო, და დას-დვა აღგრი ენასა შენსა და გონებასაცა შენსა და დაუტეო ამის ყოვლისა ძიებად და შენთა ოდენ საქმეთა ემიებდე? მიხედე შენთა საქმეთა, გამოი- 15 ძიე ცოდვათა შენთა სიმრავლე და უგუეოუ გამომეძიებელი ხარ, მოჰვადე თავსა შენსა თვითეულისა საქმისა და სიტყვსათვეს, რომელი ბოროტად პქმნენ და ხთქუენ, ხოლო ესვითართა ამათ საქმეთათვს მიუშუ დმერთსა, რომელი ჯეროვნად¹⁴ და¹⁵ სამართლად იქმს ყოველსავე და იცის, თუ რად უკეთურსა ვისმე [E49v] განამდიდრებს და მართალთა ვიეომე აჭირვებს, 20 რამეთუ არცა ვინ მართალი იპოების, თუმცა არა ექმნა ცოდვათ; არცა ცოდვილი ვინ იპოების, თუმცა არა აქუნდა სიმართლე. ხოლო¹⁶ მისოუს ტანჯის კაცი მართალი აქავე დმერ[D73]თმან და მოუვლინის სწებად, ანუ სხუად რამე ჭირი და სიგლახაკე, რათა აღგოცოს ყოველივე ცოომა მისი, რათა მუნ არღარა ბოროტი შეემთხვოს. და ქუალად, არნ კაცი ფრიად ცოდვილი და აქუნ კეთილიცა რამე; და მისოუს მისცის დმერთ- 25 მან სიმდიდრე აქა და შუებად, რათა მუნ არღარა ემიებდეს სასყიდელსა; რამეთუ იხილე ლახარე და მდიდარი, ვითარ მას [B118v] აქუნდა ცოომა რამე და მას – სიმართლეცა რამე. ამისოუს ისმინე, რად პრქუა აბრაჟამ: „მიგიღებიეს კეთილი შენი ცხორებასა შენსა და ლაზარე – ბოროტი 30 თვეს“¹⁷. ესე იგი არს, ვითარმედ უკუეოუ გექმნას [E50r] კეთილი რამე, მიგიღებიეს ნაცვალად მისსა¹⁸ დიდებად იგი, სიმდიდრე და შუებად¹⁹, არ-

13 რა ფსალმუნისად D.

14 და ხთქუენ... ჯეროვნად BE]-D.

15 და BE] ხოლო ესე D.

16 ხოლო B] რამე E.

17 ლუპა 16,25.

18 ნაცვალად მისსა E] ნაცვალი მისა B.

19 და შუებად B]-E.

- დარა ოანა-აც შენი დმერთსა. კუალად ლაზარეს უკუეთუ აქუნდა ცოდვა, ყოვლისავე ნაცვალი მიუღებიეს, ჭირი იგი და შეურაცხებად და სიგლახაკე და აწ წმიდა არს ყოვლისავე ბრალისაგან“. ამისთვის, უკუეთუ იხილი მართალი ვინმე ჭირსა შინა რად, თქუ²⁰: ნეტარ არს ესე, რამეთუ
- 5 უკუეთუ აქუს ცორმად რამე, აქავე მიიღებს ნაცვალსა მისსა, რაოთა მუნ წმიდად წარვიდეს. უკუეთუ კულა უმეტეს ცოდვათა მისთა იტანჯოს, განმამრავლებელ სასყიდლისა მისისა იქმნების საქმე იგი, ვითარ-იგი იობ – მართალი იყო და წმიდად და იტანჯა ფრიად, რაოთა მუნ ფრიად იდი-დოს, ვითარცა პრქუა მას უფალმან, ვითარმედ: „ამისთვის შეგემოხვა ესე
- 10 ურველი, რაოთა მართლად გამოხჩდევ²¹. და კუალად, რაჟამს უკუეთურნი შეებასა შინა იხილნე, ეგრეთვე გულისგმა-ყავ, ვითარმედ მიიღებენ აქავე, უკუეთუ რამე კეთილი უძლოდა, რაოთა მუნ უწყალოდ იტანჯნენ. ესრეთ უკუე სხუასა ყოველსავე²² უმჯობეს [E50v]და განაგებს დმერთი, რომელსა ჩუენ ვერ მივსწუობით გულისგმის-ყოფად, არამედ ყოველსავე თანა-
- 15 გუაც [B 119r] მადლობით შეწყნარებად და არა გამოძიებად, რაოთა არა მდენ ჩუენთა თავთა ვაგნოთ და ვიპოვოთ არარაივე.

64) მღიერისათვეს და ცაზახეს თქმულისაგან²³

- არამედ მრავალი კაცნი, ოდებ²⁴ შეემოხვოს ჭირი რამე, ანუ სხეულებად, ანუ სიგლახაკე, ანუ სიკუდილი საყუარელისა, იწყებნ დრტვნვად, ხოლო ჭირი იგი ოდენ შეემოხუევის და სარგებელსა მისგან ვერარა-
- 20 სა შეიძენენ უთმინოებითა მათითა. რასა იქმ, შ კაცო, კეთილისმყოფელისა²⁵ და მაცხოვარისათვე²⁶ სდრტვნაგ-ა თავისა შენისა წარწყმედად და უფროვსად განარისხებ დმერთსა შენ ზედა²⁷? არა თუ დურტინვითა მით განსაცდელისა მას ადასუბუქებ, არამედ უფროვსად განამრავლება? დრტვნვისა წილ ლობიერად აქებდით დმერთსა, რაოთა ესრეთ
- 25 განსაცდელიცა იგი ადასუბუქო და სასყიდელიცა არამცირედი [E51r] მოიდო მოომინებითა და ზეცისა კეთილთა დირს-იქმნა მადლითა უფლისა ჩუენისა იესუის ქრისტესითა, რომლისა არს დიდებად თანა მამით და სულით წმიდითურთ.

20 რად, თქუ B]-E.

21 იობ. 40,3

22 ყოველსავე B]-კეთილად E.

23 თქუმულისაგან BE] თქუმულისა მისგან D.

24 ოდეს BE] რაჟამს D.

25 კეთილისმყოფელისა BE]-მის D.

26 ამ ადგილიდან D-ს აკლია დაახლოებით 18-19 ხაზიანი მონაკვეთი (64-ე სიტქის დასასრული და 65-ე სიტყვის დასაწყისი).

27 უფროვსად განარისხებ დმერთსა შენ ზედა B] უმეტესად განაციცხებ განსაცდელისა მას ზედა თავსა შენსა E.

თავი XV.

სX) თქმული მისივე, ამჰაჩავნებისა და ზუაობისათვე

რაისათვეს ზუაობ და მაღლოვ, კაცო? დამდაბლდი სიმაღლისა მაგისაგან, იცან ბუნებისა შენისა უნდოებათ, რამეოუ მიწა ხარ და ნაცარი, მტუერი და ავლი¹, კუამლი და აჩრდილი, თივავ და ყუავილი თივისავ. ამით ესევითარითა ბუნებითა [B119v] პმაღლოი-ა? და რაღმცა იყო ამისა უსაკურველებს? და კაცოთა ზედა მრავალთა პმსთავრობ-ა? რავ არს ამისი 5 სარგებელი, უკუეთუ ერთა ზედა მრავალთა პმსთავრობდე და ვნებათა მონა და ტყუე² იყო? ნეტარ, თუმცა მას ზედა პმსთავრობდი, ვიდრე კაცოთა ზედა, ანუ შუენინერებათ გუამისავ და ბრწყინვალებათ სამოსლისავ და დიდებათ³ სოფლისავ დავიწყებად მოგიყვანებენ ბუნებისა შენისა? გარნა ნუ მაგას [E51v] პხედავ, არამედ მივედ სამარეებსა, სადა სხენან პირველ შენსა ყოფილნი იგი მთავარნი და გელმ[D74]წიფენი და მძლავრნი და მუნ ისწავო, შენისაცა მაგის ზუაობისა⁴ აღსასრული თუ რავ არს და მოსდრეკე მცირედ რაღმე სიმდაბლედ, რამეოუ უკუეთუ რომელი საონოებათათვეს, რომელნი-იგი ჭემარიტნი კეთილნი არიან ზუაობდეს, ზუაობად ყოველთა კეთილთა⁵ წარსწყმედს და სასჯელ ექმნების მას, რომელმან 10 არარათა მათ საქმეთა ზედა მაღლოლების და წარმავალისა ამის დიდები-სათვეს ამპარტავან იყოს, ვითარმცა არა საცინელ იყო ყოველთა მიერ? ჭუბადრუკო და საწყალობელო! სული შენი ცოდვათა სენითა მოკუდების და უცუანასკნელითა მით სიკუდილითა წარწყმდების. და შენ პზუაობ, ოქრო და გეცხლი გიც და მონათა სიმრავლე და მონაგებნია ფრიადნი? 20 არამედ ესე ყოველი არა შენი არს. და უკუეთუ [E52r] ჩემი არა გრწამს, [B120r] სხუაოთა მათ ირწმუნე, ყოფილთა პირველ შენსა. უკუეთუ კულა ესრეო დამთრგალ ხარ, რომელ არცა სხუაოთა ხილვითა ისწავებ, მცირედ ელოდე და თკო თავისა შენისაგან სცნა, ვითარმედ არარად არს შენდა ამის ყოვლისაგან სარგებელი, რაჟამს-იგი განიყვანებდენ სულსა შენსა. 25 არცა თუ ერთისა ქამისა უფალ იყო და უნებლიერ და უმაღლეოდ სხუაოთა მისცე ყოველივე მონაგები⁶ და მრავალგზის, რომელთა გინდესცა – არა და რომელთა გნებავცა – არა, ყოლადვე თუმცა იხილეს მონაგები შენი, რამეოუ კაცობრიგნი საქმენი სხუა არარად არიან, გარნა სიზმარ

1 მტუერი და ავლი E]-B.

2 და ტყუე E]-B.

3 ამ ადგილიდან ტექსტი გრძელდება D-ში.

4 ზუაობისა BE] ბუნებისა D.

5 ზუაობად ყოველთა კეთილთა B] ყოველსა მას სასყიდელსა ED.

6 მონაგები E]-B.

- და აჩრდილ და გულისტმა-ყავ, ოუ რად არს დიდ სოფელსა შინა. მეფობად არს ყოველთა უმეტეს? რად არს უცუე მეფობად უმეტეს გლახაკისა? შემდგომად მცირედისა უამისა ორნივე წარვლენ ამიერ სწორად. ანუ მცირედისა ამის უამისათუს, რომელ ამას სოფელსა დიდებულ არს იგი
- 5 და გლახავ – შეურაცხ, პნატრი-ა? ვინათგან წარვიდეს ამიერ, რაცხომ დარჩების მისი [E52v] და ამისი სარგებელი? არა ეგოდენი არს-ა, ვითარ უკუეთუ ვინე იხილოს თავი თუსი ძილსა შინა მეფედ და განედუძის რად, არარად აქუნ? ამისთუს ვიტყვა, ოუ სისმარ არს იგი ყოველივე სადა არიან აწ, რომელი პირველ მცირედისა უამისა მეფენი იყვნეს? ვინად აჭხენებს
- 10 მათ? ვის ეშინის მათგან? ჭეშმარიტად სიზმრისაგან უფროდს მეშინის, ვიდრე მათგან. არამედ პავლე არა ესრეო არს? [B120v] გარნა ცხორებასაცა მისსა ბრწყინვიდა საონოებითა? და შემდგომად სიპუდილისა ესერა თოხასი წელი არს და დიოთიდდე უმეტესად ბრწყინავს სახელი მისი. და ესე არს ქუეყანი[D75]სად, ხოლო ზეცისა იგი დიდებად მისი რომელმან
- 15 ენამან გამოთქუას?

66) ღაბაღებისა⁷

- და ვითარცა ზღუსა ღელვანი ოდესმე მაღლოიან და კუალად ოდესმე მექსა შინა დამდაბლდიან, ეგრეო არიან სოფლისა ამის ზუავნი და ამპარტავანნი. და რომელი-იგი [E53r] დდეს მაღლოინ და წარპნი ზე-აქუნ-დიან და სოფლისა ამის საქმეთა შეშტუალულ არიან, მექსა შინა დამდ-
- 20 აბლდის და უკუანასენელსა სიგლახაკესა⁸ მივიდის. ამისთუს იტყვს ნეტარი დავით: „ნუ გეშინინ, რაჯამს განმდიდრდეს კაცი და რაჯამს განმრავლდეს პატივი სახელისა მისისა მის თან“⁹. კეთილად ოქუა: ნუ გეშინინ, ნუ შეშფოთნებიო სიმდიდრისათუს და დიდებისა. შემდგომად მცირედისა უამისა იხილო ქუემდებარე მკუდრად უსულოდ, საზრდელ
- 25 მატლთა, შიშუელი ამის ყოვლისაგან და ვერარად წარილოს მის თანა, გარნა ცოდვად ოდენ, რომლითა შეიკრიბა იგი ყოველი, რამეოუ არა ოუ რომელი სოფლისა დიდებასა ზედა ოდენ ზუაობდეს, ცუდ და ამაო არს, არამედ თუ საონოებასაცა ზედა რომელი მაღლოოდეს და საჩუენებელად კაცთა იქმოდის, ცარიელი ყოვლისა კეთილისაგან წარვიდეს ამიერ და
- 30 მუნ ვერარად პოვოს სას[E53v]ყიდედი ამისთუს, რამეოუ შეიყუარა პატივი კაცთა უფროს, ვიდრე[B121r]და არაპატივი დმრთისად, რამეოუ არარად უცხო-გუყოფს დიდებისაგან დმრთისად ესრეო, ვითარ ამპარტავანებად და

7 Sin 51-ში ამ თავს სათაური არა აქვს.

8 სიგლახაკესა E] ადგილსა B.

9 ფს. 48,17.

მაჩუენებლობაი¹⁰; ვიდრე ესე იყოს ჩუენ თანა, გინა თუ მოწყალებაი ვყოთ, გინა თუ ლოცვაი, გინა თუ მარხვაი, გინა თუ სიწმიდე, ანუ თუ რაღცა იყოს, ყოველი საძაგელ¹¹ არს, რამეოუ საძაგელ არს წინაშე ღმრთისა ვოველი მაღალი გულითა. ჭეშმარიტად არარა არს უძრეს ზუაობისა, რამეოუ არა თუ ოდენ ბოროტსა გუაქმნევს, არამედ ჭეშმარიტსაცა თა- 5
ნა-შეერთვის და რაუამს სათნოებისაგან მოწყუედა ჩუენი ვერ შეუძლოს, ისწრაფის სათნოებისა მის წარწყმედად, რაღოთ შრომად იგი ვქმნათ და სახყიდელი არა გუაქუნდეს, რამეოუ უკუეთუ თრივე იგი დიდებაი,¹² – კაცო მიერიცა და ღმრთისა მიერიცა, – გუენებოს პოვნად, შეუძლებელ არს ამისი ქმნა: არამედ კაცო მიერ თუ ვპოოთ, საღმრთოვსა მისგან 10
გამოვეგუებით, უკუეთუ კულა ღმრთისა მიერსა ოდენ ვეძიებდეთ დიდუ- ბასა და მისსა პოვნასა ვისწრაფდეთ, [E54r] ესრეთ მივემთხვენეთ მასცა და მოგუეცეს იგიცა¹³, რამეოუ კაცო მიერცა დიდებაი მაშინ მოგუეცემის, ოდეს არა ვეძიებდეთ მას, არამედ ღმრთისა მიერსა ოდენ. რაღმცა უსაწყა- ლობელეს იყო მათსა, რომელი კაცოათგს იქმან სათნოებასა, იმარხვენ 15
და ილოცვენ საჩუენებელად კაცო და ჭირსა თავს-იდებენ, ხოლო არა თუსსა სახყიდელსა ოდენ ვერ ჰპოებენ, არამედ უფროსეად¹⁴ დასასჯელ ექმნების მათ იგი ყოველი, რასა იქმან. შ კაცო, სხუსადა თანა-გიც საქმე- თა შენთათგს სიტყვს[D76]მიცემად და სხუსა მოუწოდ მოწამედ [B 121v] ქველისსაქმეთა შენთა? სხუად არს მსაჯული შენი და შენ სხუასა დასუამ 20
მხედველად საქმეთა შენთა? არა ხედავ-ა მგედაროა¹⁵ ბრძოლასა შინა? არავის წინაშე ისწრაფიან ესრეთ თავისა დადებად¹⁶ და მწნედ ბრძო- ლად, ვითარ ოდეს მეფე ჸხედვიდეს და სარბილესა ცხენთასა, ვითარ-იგი ყოველი ერი ხედვიდეს, გარნა ზედამდგომელი უფროს ყოვლისა მუნ 25
ისწრაფიან წინაადმდგომისა მის ეტლისა დაქცევად, [E54v] ოდეს დამ- ართებით მეფისა მივიდენ. და შენ დაუტეობ მეუყესა მას ანგელოზთასა, რომელი ხედავს საქმეთა შენთა, და კაცო მოკუდავთა და წარმავალთა ისწრაფი სათნოებათა შენთა ჩუენებად, რომელთა ვერ ძალ-უც ერთი- საცა სახყიდლისა მოცემად შენდა? ამისთვისცა უსასყიდლო და ცარი- ელი¹⁷ წარხვდე საუკუნესა მას. ვინ არს მონა იგი, რომელიმცა ბრძანებასა 30
უფლისასა თვისისასა იქმოდა და სხუათამცა ვიერმე ეძიებდა, რაღოთამცა ხედვიდეს საქმეთა მისთა¹⁸? აქოსმცა თვინიერ უფლისა თვისისა, დაღაცათუ

10 და მაჩუენებლობაი E]-B.

11 საძაგელ E] საძაგელებაი B.

12 ორივე იგი დიდებაი BE]-D.

13 და მოგუეცეს იგიცა B]-E.

14 უფროსეად BE]-D

15 მედაროა BE]+ვითარ D.

16 თავისა დადებად BE] დიდებად D.

17 უსასყიდლო და ცარიელი E] უსასყიდლო BD.

18 საქმეთა მისთა BD] საქმესა მისსა E.

გლახაკი იყოს უფალი მისი? და ჩეენ გვის უფალი იგი უფლებათა და მეუფე მეუფეთად და სხუათა სათხო-ვეყოფვით, რომელნი ვერას გუარგებენ¹⁹, არამედ უფროდ გუავნებენ.

67) ჟოზინთელთა ებისცოცე²⁰

- არარად არს უძგრეს²¹ ამპარტაგანებისა. ამან ეშმაკი ანგელოზებისა
- 5 წილ ეშმაკად გამოაჩინა. [E55r] ამიოთ აცოუნა მტერმან პირველი იგი კაცი და ცე[B 122r]დითა სასოებითა სიკუდილი დაუმკუდრა, რამეოუ ღმერო- ყოფა ინება მან. ამისთვეს, რომელი აქუნდა, იგიცა წარწერიდა; ამისთვეს- ცა ღმერო აყუედრებდა მას და უგუნურებასა მას მისსა ბასრობის სახედ გამოაჩინებდა და ეტყოდა: „აჲა, ადამ იქმნა²², ვითარცა ერთი ჩუენგანი.
- 10 ესევითარისა²³ მომატეუებელ არს ჩუენდა ამპარტაგანება. ესრეთ პატივ- სცემს მომგებელთა მისთა. რავსათვეს, ჭ კაცო, პმაღლო და ზუავ ხარ? თმასა ერთსა ვერ გარდააქცევ შავად ანუ ოეთრად და ვითარმცა ყოვე- ლი გეპურა, ესრეთ ზუავობ. გულისჭმა-ყავ, ვითარმედ მიწად ხარ და აჩრდილი და ამათსაცა უძგრეს, რამეოუ პატრუკსა აღნოებულსა მსგავს
- 15 არს კაცი, რომელი მეყსა შინა დაიწეს და არცა კუალი აჩნ მისი, ანუ პერულსა წყალთა ზედა, რომელი წამსა შინა [E55v] უჩინო-იქმნის. ესრე უკუე იცან ბუნება შენი და დამდაბლდი და იყავ მარადის შემუსრვილ და ქუედადრეკილ, რამთა ამაღლდე სულიერითა მით სიმაღლითა ქრისტეს იესუს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისა არს დიდებად თანა მამით და
- 20 სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

19 ვერას გუარგებენ B] გუერგებიან ვერარას E.

20 E-ში ამ თავს სათაური არა აქვს.

21 უძგრეს B] უბიროტეს ED.

22 იქმნა BE-J-D.

23 ესევითარისა BD]+საქმისა E.

თავი XVI.

XXVIII) შეჩინათქს და მცენობისა

არარად ესრეთ განგუაშორებს და დაგუჭრის ურთიერთას, ვითარ შერი და მტერობად, ბოროტი ესე სენი, [D77] ყოვლისა ცოდვისა ძირი, რამეთუ რამცა უძრეს იყო შერისა? და ძირად ყოვლისა ბოროტისა წოდებულ არს ვეცხლისმოყუარებად. გარნა შერი მისსა უძრეს არს, რამეთუ ვეცხლისმოყუარებად მაშინ იხარებს, ოდეს მოიგოს რამე, ხოლო 5 მოშერნე მაშინ მხიარულ არს, ოდეს მეორე დაეცეს და დაგლახაკნეს და სხვსა ჭირი თვისად განსუენებად აქუნ და სხვსა კეთილი თვისად მწუხარებად შეურაცხია. რაღ-მე იყოს უკუკ ამისსა უბოროტესი? რამეთუ ვერ შესჭამს ჭიათ ესრეთ შეშასა და მდილი ესრეთ [E56r] სამოხელსა, ვითარ შერი გულსა მოშერნისასა. და ამის სიტყვათვეს¹ არავინ ცოდოს, უკუ 10 ეთუ მჯეცოა და ეშმაკოა უძრეს უწოდოს მოშერნესა; ხოლო მჯეცნი მოამშვდნიან კაცოა ღონის ძიებითა, ხოლო მოშერნე არარადთა სახითა არა დამშვდნების. და ეშმაკნი ჩუენნი არიან დაუგებელნი მტერნი, ხოლო ურთიერთას არა იბრძან, არამედ მოშერნე არა შეიკდემს თვისობისა მის- 15 გან ბუნებისა, არამედ მბრძოლ არს ძმისაცა და თვისისა სულისა. ესრეთ ბოროტ არს შერი და უძრეს ყოვლისა ცოდვისა, რამეთუ მებავი² ერთსა შინა ჟამსა იქმს ბოროტსა მას და აქუს გემოდ ცოდვასა მას, ხოლო მო- 19 შერნე უფროვისად დაისაჯების და იტანჯების, სამარადისოდ არს ცოდ- ვად მისი, რამეთუ ვითარცა ღორი იშუებს მწვრესა შინა და ეშმაკი იხ- არებს ცოდვათა ჩუენნო ზედა, ეგრეთვე მოშერნე – მოყუსისა ბოროტთა 20 ზედა და მბრძოლ არს ბუნებისად. და სხუანი კაცნი მოყუსისა ბოროტსა ზედა³ [B123r] წუხან, ხოლო მოშერნემან, კეთილსა შინა რავ იხილის ძმავ⁴, მაშინ იგუემებინ. რადსა მწუხარე ხარ, უბადრუკო, კეთილსა [E56v] ზედა ძმისა შენისასა? უფროვისად სიხარული გიღირდა და მადლობად ღმრთისად, რამეთუ ძმავ შენი კეთილსა შინა არს და ღმერთი მის⁵ მიერ 25 იდიდების. არა უწყია- ვითარმედ რომელი შერისა მიერ უფლებულ იყოს, დადაცათუ უზეშთაეს ბუნებისაცა იმარხვიდეს და ილოცვიდეს და იღვძე- ბდეს, ვერცალა მიემოხუევის წყალობასა და მებრ მას, რომელსა ეშერე- ბოდეს, ვერ ავნებს მას ესრეთ⁶, ვითარ თავსა თვისსა⁷. რავ ავნო კაქნმან

1 ამის სიტყვათვეს E]-BD.

2 მსიძავი E] მებავი BD.

3 მოყუსისა ბოროტთა ზედა BD] ჭირსა შინა რავ ხედვიდენ E.

4 ძმავ E]-BD.

5 მის E]-BD.

6 ესრეთ E]-BD.

7 თვისსა BD]+რამეთუ E.

- აბელსა? არა⁸ იგი ადრე დმერთსა წარუდგინა⁹, ხოლო თავსა თვისება ზედა ეგოდენი ბოროტნი მოაწინა? ანუ რა ავნო ესავ იაკობს შურითა მით – არა იგი წარუმატებოდა და განმდიდრდებოდა¹⁰, ხოლო იგი დაისაჯებოდა? რა ავნეს იოსებს ძმათა მისთა? არა მეფედ ეგპატეს¹¹ წარგზავნება-და თავნი თვისნი სიყმილსა და ნაკლულევანებასა მისცნეს და „უკუანაისკ-ნელ ჭელთავე მისთა მივიღეს, რამეოუ რაოთდენცა¹² ეშურებოდი ძმასა შენსა და [E57r] გენებოს¹³ ვნებად მისი, უმეტესთა კეთილთა მომატყუებელ ექმნები მას, რამეოუ დმერთი არს მხედველი ამის ყოვლისათ. იხილის რა, ვითარმედ ცუდად ეშურები და ისწრაფი [D78] ვნებად ძმისა¹⁴, უმეტესად
- 10 განაბრწყინვებს მას და შენ დაგსჯის. იხილე საულ, რომელ ცუდად ეშურებოდა დავითს და ენება მოკლვად მისი. ამისთვის გამოუდო დმერთმან მეფობად მისი ჭელთაგან მისთა და მი[B123v]სცა დავითს.

69) თესალონიკელთა¹⁵

- ამისთვის გევედრები უკუე, რომელი სადაცა ბოროტი რადმე მოყუსისა მიერ შემთხუეულ არს, მიხედენ გონებითა დავითს, ვითარ ესეოდენთა 15 საულის ბოროტოა¹⁶ ზედა არავე ემტერებოდა მას და ესრეთ შეუძლო მოდრეგად სიფიცხისა¹⁷ თვისისათ. რამეოუ რაისათვს ემტერები ძმასა შენსა, გაგინა-ა ანუ გცა-ა? და რაისათვს ესე მეუფე ცისა და ქუეყანისა შენთვის მოკუდა სიდენილითა შეურაცხითა და შენ, უკუეოუ მცირედი რადმე გეგნოს, არა თავს-იდვა-ა სახელისა მისისათვს? ვითარ უკუე გნებავს
- 20 ნაცვალისა გარდაპდა მისისა მის შენისა ჭინისათვს¹⁸ ვნებისა? ნუ სცემ ადგილსა შენ შორის მტერობასა და სიძუ[E57v]ლილსა; ნუ თავს-იდებ მტერობით გარდაპდად მისისა, და ოუ არა უფროდს¹⁹ ძალი მიიღოს ვნებამან მან და რაოთდენცა დაიყოვნოს შენ თანა, უმეტესად განიბნეს ძირნი და ძნიად აღმოსაფხურელად იქმნეს. არამედ წარვედ ადრე²⁰ და დავგვ 25 ძმასა შენსა და მოეხვე მას და ამბორს-უყავ და პრცხუენეს ეშმაკსა და

8 არა B] რა ა. E.

9 წარუდგინა B] წარიგზაენა ED.

10 და განმდიდრდებოდა E]-BD.

11 ეგპატეს ED] მეგპატისა B.

12 რაოთდენცა BE] რავდენცა D.

13 გენებოს E] ვნებავს B.

14 ძმისა E] მისა BD.

15 **E-ში ამ თავს სათაური არა აქვს.**

16 ბოროტო ED] ჭირთა B.

17 სიფიცხისა BD] სიფიცხილისა E.

18 შენისა ჭინისათვს BD] შენთვს E.

19 უფროდს BD] უმეტეს E.

20 ადრე BD]-E.

იდიდოს დმერთი თქუენ შორის. უკუეთუ საფასე დაგაჭირვა, თავს-იდევ განურისხველად და ეგევითარი მიიღო სასყიდელი, ვითარ-იგი, თუმცა გლახაკთადა განგევო. ანუ სიკუდილი განიხრახა შენი? წამებად უკუე შეგ[B 124r]ერაცხოს, უკუეთუ ეგევითარსა არა მიაგო ბოროტი, არამედ კუთილიცა უყო და ილოცო დმრთისა მიმართ შეწყალებად მისსა. იხილე, 5 რაოდენი სასყიდელი მიიღო დაგით, რაჟამს კელთ-იგდო, რომელი-იგი ეძიებდა მას მოკლვად და არარა ავნო მას. ხოლო უკუეთუ მტერისაცა მკლველობად არა ჯერ-არს, რა ვყოთ ჩუენ, რომელნი მათცა ვემტერებით და ვეშურებით, რომელთა არარა ევნოს ჩუენდა, ანუ ოუ სიტყუად ოდენ შემაწუხებელი ეთქუას ჩუენდა? – მაგინაო და მეძავად და მემ- 10 რუშედ სახელ-მდვარ. ხოლო რად არს ესე? უკუეთუ ჭეშმარიტი გრქუა, ნუ განრისხები, [E58r]არამედ შეიკდიმე ესევითართა საქმეთაგან²¹; უკუეთუ აულა ტყუვა, გაიხარენ²², რაჟამს გაყუედრებდენო და განოქუან სახ- ელი თქუენი, ვითარცა ბოროტოათვს²³ კაცისა²⁴, გაიხარენ მას დღესა და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი დიდ იყოს ცათა შინა. 15 ხოლო უკუეთუ ბოროტსა²⁵ იტყო[D79]დის და სულგრძელებით თავს-იდვა უუდრებად იგი, გეტყვ შენ: არა უნაკლულეს პირველისა მის მიიღო სასყ- იდელი, და-რა-იმდაბლო თავი შენი და არა განრისხე მას ზედა, არამედ უცროვსად ლმობიერ იქმნე. შეგენდოს ცოდვად იგი და რაოთა არა სოქუა, თუ ცედად რასმე ნუგეშინის-მცემ, წამებადცა სარწმუნო მოგაროუა. 20 ფარისეველი ვინმე და მეზუერე იყვნეს და ადვიდოდეს ლოცვად; და მე- ზუერე იგი იყო სავსე ყოვლითა [B124v] ცოდვითა, ხოლო ფარისეველი იღუწიდა მოგებად საონოებათა. დადგა იგი უკუე და იტყოდა: „დმერთო, გმადლობ შენ, რამეთუ²⁶ არა ვარ ძე, ვითარცა კაცთაგანი, მტაცებელ და ანგარ და ვითარცა უსე მეზუერე²⁷. ხოლო მეზუერე იგი შორით 25 დგა. არა განრისხენა, ესმა რა სიტყუად ესე, არა აგინა, არამედ სულთ- ითქუნა მწარედ [E58v] და იცემდა მკერდსა და თქუა: „დმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას²⁸. და გარდამოვიდა მიერ განმართლებული. იხილედა მსწრაფლი საქმე? თავს-იდვა უუდრებად და განერა უუდრებასა საუ- გუნოსა და შესმენად იგი ცოდვისა მისისად იქმნა შემნდობელ მისსა და 30 მტერი იგი ჭველისმოქმედ კმნა. რამცა იყო უსანატრელეს ამისსა, ანუ უმოსწრაფეს აჭოცად ცოდვათა? რაოდენი²⁹ შრომანი უგმდეს მეზუ-

21 ესევითართა საქმეთაგან BD] და განეშორე ეგევითართა მათ საქმეთა E.

22 გაიხარენ BD]-ვითარცა იტყვის E.

23 ბოროტოათვს B] ბოროტი, E, ბოროტისათვს D.

24 კაცისა BE] ძისათუის D.

25 ბოროტსა B] ჭეშმარიტსა ED.

26 რამეთუ D]-BE.

27 ლუბა 18,11.

28 ლუბა 18,13.

29 რაოდენი BE] რავდენი D.

ერესა მას, მარხვად, მღვდარებად, კმელსა ზედა წოლად, შრომად ფრიადი მრავალთა წელთად, რაოთამცა აკოცნა თვისნი იგი ცოდვანი და აპა ესერა, თვისნიერ ამის ყოვლისა ერთსა ჟამსა შეურაცხებამან მან შენდობად ცოდვათა მისმადლა³⁰.

70) ტაბაღებისავ³¹

- 5 მოიგსენე უკუე საშინელი იგი დღე, რაჟამს ყოველნი შიშუელნი და
ქედდადრეგილნი დგენ³² წინაშე მსაჯულისა მის და გულისგმა-ყავ, ვო-
თარმედ ყოველნი დაფარულნი მაშინ გამოცხადნებიან³³. ხოლო უკუეთუ
მოყუასსა ცოდვად მისი შეუნდო, აღიგოცნენ შენნიცა [E59f] ცოდვანი³⁴
[B125r] დაფარულნი და არა გეტშროოს³⁵ მუქ ტპრო. რამცა უკუე იყო
10 უადვილეს ამისსა, უკუეთუ ბრალნი ჩუენნი და მრავალნი ცოდვანი³⁶
მოყუასსა შენდობითა აღიგოცნიან? არამედ ჩუენ ერთიცა არა³⁷ მოვ-
დრებით კეთილისა მიმართ, რაჟეთუ მრავალგზის, რომელსა³⁸ არარად
ბოროტი ეყოს ჩუენდა, მასცა ვემტერებით, ხოლო უკუეთუ მოყუარეთა
ჰყუარობდეთ, რომელი მადლი იყოს თქუენდა, რაჟეთუ მეზუერენიცა ამას
15 იქმან? რად უკუე ვყოთ, რომელ კეთილისმოქმედოაცა ჩუენთა მრავალგ-
ზის ვემტერებით? და უკუეთუ რომელსა სიყუარული არა ჰქონდეს, გინა
თუ გლახაკსა მისცემდეს, ანუ თუ იმარხვიდეს, ანუ რასაცა იქმოდის,
არარად ერგების, ვითარცა მოციქული იტყვს: „რომელი ემტერებოდის
არა[D85]რახსა ბოროტისა მიხდა მოქმედსა, სადა პოოს მან წყალობად
20 და შენდობად ცოდვათ?“ ნუ, მმანო, ნუ მბრძოლ ურთიერთას ვიქმ-
ნებით, რომელთადა ბრძანებულ არს მტერთაცა შეყუარებად და ბორო-
ტისმოქმედთა ჩუენთა კეთილის-ყოფად. არა გრცხუენისა-, რომელ [E59v]
ყოველნივე მტერ ვისსამე ვიყუნეთ? არა კმა-არსა ეშმაკი მტერად ჩუენ-
და? რადსათუკს მმათაცა ჩუენთა ვემტერებით, ნეტარ თუმცა არცა იგი
25 გუებრძოდა ჩუენ³⁹? ნეტარ თუმცა არცა იგი ქმნილ იყო ეშმაკ. რადსათუკს
ჩუენთა ასოთა ვებრძო? არა გრცხუენისა-, რომელ წარმართოა მრავალ-
თა აჩუენეს ძრუგსენებელობად და ჩუენ, ქრისტეანენი, [B 125v] რომელთ-
ათუკს ქრისტე მოკუდა, ვერ ვაჩუენებო. ამისთუკსცა ჩუენ უძლურ ვართ და

30 მისმადლა B] მოსცა E.

31 E-ში ამ ქვეთავს სათაური არა აქვს.

32 ქედდადრეგილნი დგენ B] თავდადრეგილნი წარვდგეთ E.

33 გამოცხადნებიან BD] გამოგუიჩნდებიან E.

34 ცოდვანი BD] ბრალნი E.

35 გეტშროოს BD] გეკიდოს E.

36 და მრავალნი ცოდვანი BD]-E.

37 ერთიცა არა BD] არცა ესრეთ E.

38 რომელსა BE]-D.

39 ნეტარ თუმცა, არცა იგი გუებრძოდა ჩუენ E]-BD.

ეშმაკი ძლიერ, რამეთუ არა თუ ურთიერთას შეწევნითა მას ვებრძოთ, არამედ მისითა შეწევნითა – ურთიერთას; რამეთუ ჯერ-იყო, რომელ⁴⁰ გუაგინა ვინმე და გუცა, შიშისათქს ღმრთისა მოვითმინეთ და მოვიგინეომცა⁴¹ ცოდვათა ჩუენთა სიმრავლე. არამედ აწ არა ესრეთ ვიქმო, გარნა ერთისა წილ სიტყვას მიუგით ათი და მივყავითცა ჭელი მიმთხუევადცა და არა 5 გუეშინის სასჯელისაგან ღმრთისად და არცა მოვიგინებთ სიტყუასა მას, რომელსა იტყვს: „მიუტევეთ და მოგზევნენ“⁴².

71) თახგმანებისაგან "მამაო ჩუენოსად"⁴³

[E60r] ვითარ უკუე შეუძლო შენ მამად შენდა წოდებად ღმრთისა, რომელსა-ეგე გაქუს გონებად მწეცებრივი და უწყალო, რამეთუ არა არს შენ თანა მსგავსებად სახიერისა მის ზეცათა მამისად? რაუამს-იგი 10 მიმსგავსებულ იყო მწეცოა, ძრისა იჯსენებდე, ვითარცა აქლემი; პიორ-გნიდე, ვითარცა კანჯარი; იტაცებდე, ვითარცა მგელი; ჰნაფროვნობდე, ვითარცა დათჭ; უცემდე, ვითარცა გუელი; მზაკვარ იყო, ვითარცა მელი; გულისთქუმითა იყო ცხენ მცბიერ. ეგევითარმან ვითარ პრქუას ღმერთისა – „მამაო“, რომელი განსრულ იყოს კაცოა ბუნებისაგან და, მსგავსად 15 მცეცოა, სჭამდე მმათა მტერობითა და მრისხანებითა? ეგევითარსა მცეც ეწ[B 126r]ოდების და არა კაც, რამეთუ დიდი მწეცი არს რისხვად, რაუამს-იგი აღდუდნეს გულსა შინა და ყოვლისავე ბოროტისა მიმართ წარნმართოს კაცი. არამედ უპუეთუ გნებავს, რამთა შვილ ღმრთისა იქმნე, იქმნე მშვდ და სახიერ, ვითარცა იგი არს; მიემსგავსე მას ძალისაებრ შენისა. 20 რაუამს გაგინოს ვინმე და შეურაცხ-გყოს, თავს-იდევ მოთმინებით, რამთა იქმნე შენ საყუარელ ღმრთისაცა და კაცოაცა, რამეთუ ყოველთავე [E60v] გაქონ შენ, ხოლო იგი მოიძულონ, რომელმან გაგინა. უპუეთუ კულა იწყო შენცა განრისხებად, იყო შენცა მსგავს მისსავე უშუერ და სამულელ ღმრთისა წინაშე ყოველთა, [D81]რამეთუ ყოველი კაცი განრისხებული 25 უშუერებითა სავსე არს.

72) თახგმანებისაგან სახახებისა⁴⁴

ამას უკუე ზედა ვისწრაფოთ უფროის ყოველისა, საყუარელნო, რამთა განვიწმიდნეთ თავნი ჩუენნი რისხვისაგან და ძრისგვენებისა, რამეთუ

40 რომელ BE]+დარაცათუ D.

41 მოვიგინეომცა BE]+მას ქამსა D.

42 ლუგა 6,37.

43 E-ში ამ თავს არა აქვს სათაური.

44 D-ში (Ath. 77/41) ამ აღგილიდან გრძელდება ტექსტი. E-ში ამ თავს არა აქვს სათაური.

- უწყით, ვითარმედ უპუეთუ ძვრის სქსენებად იყოს ჩუქნ თანა, არცა ლოცვა
გუერგების, არცა მარხვად, არცა მოწყალებად, არცა ზიარებად, არცა სხ-
უად რად კეთილი, რამეთუ არარად სძულს უფალსა ესრეთ, ვითარცა კაცი
ძვრის მოვსენე და რისხვისა დამმარხველი. და ვითარ გნებავს, თუმცა
 5 ღმერთი ტკბილად იყო შენდა მომართ⁴⁵, რომელი-ეგე არა შეუნდობ მოყუ-
ასესა შენსა ცოომასა? და ოუ გაგინა და შეურაცხ-ბყო, არამედ შენცა⁴⁶
ღმერთსა მრავალგზის შეურაცხ-ყოფ მცნებაოთა მისოთა გარდასლვითა
[B126v] და იგი მოწყალე გუექმნების⁴⁷; შენცა მოყუასესა [E61r] შენსა არა
შეუნდო-ა? არა გეშინის-ა, ნუუკუ მოიწიოს შენსა ზედა, რად იგი მის
 10 ზედა, რომელსა თანა-ედვა ბევრი⁴⁸ ტალანტი და პოვა შენდობად, ხოლო
უწყალოებითა მით, რომელი-იგი აჩუქნა მის თანა მონასა მას ზედა,
რომელსა თანა-ედვა მცირედი, განიახლა კუალად რისხვად მეუფისად?
ეგრეთვე ყოველი ცოომად ჩუქნდა მომართ მოყუასისად მცირე არს ჩუქნ-
 15 თა უფლისა მიმართ ცოომათა თანა, ვითარცა იტყბს წერილი: „უკუჯოუ
უსჯულოებათა ჩუქნთაებრ⁴⁹ მომაგებდე მეო, უფალო, ვინ-მე დაგითმოს
შენ?“⁵⁰ ვისწრაფოთ უკუ მცირეთა მიმართ⁵¹ ცოომათა მოყუასისათა შენ-
დობითა, რადთა ჩუქნცა შეგანდვნეს დიდ-დიდნი იგი ცოომანი⁵² ქრისტუ-
მან, რომლისა არს დიდებად თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და
მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ⁵³.

45 ტკბილად იყო შენდა მომართ BE] იყოს შენდა მამა D.

46 შენცა E]-BD.

47 გექმნების DE] გუექმნების B.

48 ბევრი B] ბევრეული იგი DE.

49 ჩუქნთაებრ BD] ჩემთაებრ E.

50 ფს. 129,3.

51 მცირეთა მიმართ B] მცირედთა მათ D; მცირეთა მათ E.

52 დიდ-დიდნი იგი ცოომანი B]-ჩუქნნი D; დიდნი იგი ცოდვანი ჩუქნნი E.

53 აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ BD]-E.

თავი XVII

სიმღერების მიმართ

მწუხარებად დანერგა დმერომან ჩუენ შორის³ არა ამისთვის, რაოთა ცუდოა და ამაოთა საქმეთა ზედა ვიტარებდეთ მას და ვსტანჯვიდეთ თავთა ჩუენთა ცუდითა მით მწუხარებითა⁴, არამედ ამისთვის მოგუცა იგი უფალმან, რათა უამსა თვისსა⁵ ფრიად ვირგოთ მისგან, რამეთუ უამი მწუხარე [E61v] ბისად არა მაშინ არს, ოდეს ჭირი რამე⁶ შეგუემთხვოს, არამედ ოდესცა ცოდვად რამე ვქმნათ⁷. ხოლო აწ ჩუენ წესი ესე შეგბცვალების და რაუამს ბევრეულთა ბოროტთა ვიქმოდით, ყოლადვე შევიკდემოცა არა, ხოლო უაუეთუ [B127r] მცირედ⁸ ჭირი რამე შეგუემთხვოს, მეყსეულად მწუხარებითა დავვსნდებით და სიკუდილსა ვინატრით და არა გულისწმა-ვჰყოფო, ვითარმედ მომავალნი ჩუენ ზედა ჭირი 10 და მწუხარებანი სახიერებისა დმრთისა მოწყალებისა⁹ სასწაულნი არიან, რამეთუ ადსუბუქებასა ტკროისა¹⁰ ცოდვათა ჩუენთასა და წყალობისა¹¹ 15 ჩუენისათვის მოვლენს დმერთი ყოველსავე ჩუენ ზედა და ჩუენ ცუდად მწუხარე ვიყენეთ და [D82] რა გულისწმა-ვჰყოფო, ვითარმედ მწუხარებად არა მაშინ გკლირს, ოდეს საფასე წარვწყმიდოთ, ანუ საყუარელი ვინმე ჩუენი მოგუიკუდისა¹², ანუ სხუა რამე ჭორციელი¹³ ჭირი მოიწიოს, არამედ ოდეს ცოდვა შეგუემთხვოს, რამეთუ ორი პირი არს, რომელსა ზედა უგმს ქრისტიანეს მწუხარებად: რაუამს ანუ ოუ თუთ შესცოდოს დმერთსა, ანუ მო[E62r] ეუასმან; ოუ არა სხუასა რაღასამე მოწევნულსა საქმესა ზედა შემაწუხებელსა არა ჯერ-არს მწუხარებად¹⁴, არამედ დამჭირვა¹⁵ გონ- 20 ებისა დაწყნარებით¹⁶, რამეთუ უკუეთუ გონებად ჩუენი დაწყნარებულად

1 მწუხარებისათვის EQ] მოწყალებისათვის BDKL.

2 სტაგეროსის BE] სტაგეროსის D.

3 შორის BE] არამედ D.

4 ცუდითა მით მწუხარებითა BD]-E.

5 თვისსა BE]-D.

6 ჭირი რამე BE] რამე ჭირი D.

7 ვქმნათ E] ვქმნით B, ვქმნეთ D.

8 მცირედ B]-D; მცირედი რამე E.

9 მოწყალებისა B] და წყალობისა DE.

10 ადსუბუქებასა ტკროისა BD] ადსუბუქებად ტკროსა E.

11 წყალობისა BD] კრძალულებისათვის E.

12 მოგუიკუდის E] მოგუდეს BD.

13 ჭორციელი BE]-D.

14 მწუხარებად DE] შეწუხებად B.

15 დამჭირვა B] მჭმუნვარებად E.

16 დამჭირვა გონებისა დაწყნარებით BE] დამჭირვად გონებისა მწუხარებით D.

- და ოჯსსა წესსა ზედა ეგოს, დაღაცათუ ბევრეულნი დელვანი აღდგა
ბოდიან ჩუენ ზედა ყოვლით კერძო, ვითარცა ნავთსაყუდელსა ვიყვნეთ
ჩუენ. უპუეთუ პულა გონებად ჩუენი შეშფოთებულ იყოს, ყოველი საქმე
ჩუენი წაღმართ¹⁷ იყოს, არავი იპოვოს ჩუენ თანა განსუენებად, არამედ ვი-
- 5 თარცა ყოველთა დელვათა მიერ გუემულნი, ესრეთ ვიყვნეთ. ვითარცა-იგი
ძლიერმან სტომაქმან, დაღაცათუ ფიცხელი რამე ჭამის, მოიდნ[B127v]ოს,
ხოლო უძლურმან, თუ სუბუქიცა ჭამის¹⁸, ავნის, ეგრეთვე სული, მწუხ-
არებითა¹⁹ დაბნელებული, ვერას კეთილსა შეიწყნარებს, არამედ ყოველი
სიტყუად და ყოველი საქმე მძიმე და საწყინო²⁰ უჩნს მას.

74) ფსალტენისად ჩე

- 10 გულისგმა-ფავ, შ კაცო, ვითარმედ არა ამისთვის მოხუედ სოფელსა
ამას, რათა შუებით და განსუენებით²¹ წარვლნე დღენი შენი, არამედ
რათა იღუაწო და სათხო-ეყო დმერთსა [E62v] და პპორ უპუდავი იგი
ცხორებად. და აწ შენ ზედა რამე მოიწიოს მცირედი რამე²² ჭირი, მეჭ-
სეულად მწუხარებითა დაიგსნები²³. არამედ ნუ ესრეთ იქმ, არამედ იღ-
- 15 ოცვიდი არა შესლვად განსაცდელსა, უპუეთუ კულა მოიწიოს; დადებ,
ვითარცა ახოვანი მცედარი და თავს-იდევ. არა ხედავ-ა მცედართა, რაჟამს
ეხმის ჭმად საყვრისად, მცნენი იგი სიხარულით ამცედრდებოდიან სურ-
ვილითა მით ძლევისადთა? და შენცა, გეხმას რად სულიერისა ბრძოლისა
საყრი, დადებ, ვითარცა ლომი; ნუ შეშინდები ნუცა ცეცხლისაგან, ნუცა
- 20 მახულისა; იციან ნივთოაცა მათ სათხოებისად დარიდებად, იციან მცეც-
ოაცა ღმრთისმოყუარეთაგან შეკდემად, დაღაცათუ შიმშილითა შეიწრე-
ბულ იყუნენ, დააგიწყდების ბენებითცა იგი წესი. ესევითარითა უპუე
სასოებითა თავს-იდებდ ყოველსა მოწევნულსა ჭირსა და პმადლობდი
მომვლინებელსა ესევითარისასა, [E63r] რათა სული შენი აცხოვნოს.
- 25 რამეთუ მრავალნი კაცნი, ოდეს შუებასა და განსუენებასა იყვნენ, მაშინ
იტყვან: მომიკსენნა [B128r] ჩუენ ღმერთმან. ესევითართა მათ არა იციან,
თუ ოდეს მოიკსენებს მათ ღმერთი, ანუ ოდეს დაივიწყებს, [D83] რამეთუ
აკსოვს მაშინ კაცი ღმერთსა, ოდეს თუთ იღუწიდეს და ჭირთა შინა იყოს
და არა მაშინ, ოდეს იშუებდეს და განსცხებოდეს, რამეთუ ოდეს შუე-
ბასა და ცოდვასა შინა იყოს, დავიწყებულ არს მის მიერ. და შენცა უპუე,

17 წაღმართ BD] წარემართე E.

18 უძლურმან, თუ სუბუქიცა ჭამის BD] უძლურსა სუბუქმანცა აგნის E.

19 მწუხარებითა BD]+სავსე და E.

20 მძიმე და საწყინო BD] მძიმედ და საწყინოდ E.

21 და განსუენებით E]-BD.

22 მცირედი რამე E]-BD.

23 მწუხარებითა დაიკსნები BD] მწუხარებისაგან დაკსნედები E.

ოდეს ჭირსა და განსაცდელსა შინა იყო, მაშინ თქუ, თუ: „მომიტსენა მე ღმერომან“, ხოლო ოდეს ცოდვასა შინა, დადაცათუ ყოველი სოფელი შენი იყოს, თქუ, ვთარმედ: დამივიწყა მე ღმერომან; და მაშინ შეწუხენ და იგლოვდი მწუხარედ, ხოლო ოდეს ჭირსა შინა იყო, ჰმადლობდი ღმეროსა და იხარებდი, რომელ აქავე მოგეგო ჭირი, რაოთა მუნ განერე 5 სატანჯველთა და დირს-იქმნე წყალობასა ღმრთისასა, რომლისა არს დიდებად უკუნიო უკუნისამდე, ამინ.

თავი XVIII.

**სახ) მისვე წმიდისა¹ ოთანე² ოქამისისა სწავლანი მოწყალებისათვეს
და ჰანგაჟებისა³ და სიმღირებისა. ებაელთა ეპისტოლისა⁴**

- [E63v] მოწყალებისათვეს ვთქუთ სიტყუად, საყუარელნო. არა თუ მდიდრისა მიმართ ოდენ თქუმულ არს, არამედ გლახაკისაცა, რამეოუ ვინმცა იყო ესრეთ გლახაკ, რომელ ორნიმცა მწულილნი არა აქუნდეს? და შესაძლებელ არს მცირედისაგან მცირედისა მიცემად და პოვნავ სასყიდელისა უმეტეს მათსა, რომელნი ფრიადისაგან მისცემდენ ნამეტნავსა, რომელი არა საზომსა ნამეტნავისასა⁵ ჰქედავს, არამედ გონებასა მიმღელისასა; ვითარცა-იგი ქურიგმან მან, ნუ ხედავ, რომელ ორი მწულილი მისცა, არამედ იხილე, რომელ სხუად არარავ [B128v] აქუნდა და ყოველი ნაქონები მისი განსცა. გონებისა უკუკ სიმტურვალე გიგმს და
- 10 უკუკოუ ესე გაქუნდეს, გერა გავნოს სიგლახაცმან, ვითარცა-იგი, უკუკოუ ესე არა გაქუნდეს, არარავ გერგოს სიმდიდრისაგან⁶, რამეოუ გონებისა ლმობიერებად საჭმარ არს: ვერცა სიგლახაცმან გავნოს და ვერცა სიმდიდრემან. რამეოუ თქუან ვიეთმე, თუ: მდიდარნი ცხოვნდესმცა, უკუკოუ გონებად კეთილი ჰქონდის? რად დამაბრკოლებელ არს? ანუ არა მდიდარი
- 15 იყო-ა აბრაკამ? არამედ იხილე გონებად მისი: შუადღეს ოდენ ჯდაო მუხ-ასა მას თანა მამბრესა და ხედვიდა გზად კერძოო. და აპა სამნი კაცნი. და ადდგა და თა[E64r]ყუანის-სცა მათ. ხოლო ნუ იყოფინ, თუ იცოდა, თუ ღმერთი არს მათ შორის, ანუ⁷ ანგელოზნი, არამედ ვითარცა კაცოა უცხოთა ეტყოდა და ჰრქუა: „არალირს მიჩინოთა, რაოთამცა შემოხუდით
- 20 სახლად ჩემდა“⁸. ჰქედავ-ა, რასა იქმოდა ბერი იგი მდიდარი? თუ ჯდა ჰაერსა⁹ ქუეშე და განეფინა ბადე იგი უცხოთმოყუარებისათ, რაოთამცა არავინ განერა უცხო წარმაგალი. სამას და ათორმეტნი ჰყვეს მონანი [D 84]და არავის მათგანსა მიანდო საქმე იგი, არამედ თუ ჯდა. ხოლო წარიყვანნა რად სახიდ თვალისად, ჰრქუა სარრას: [C88r] „იხწრავუ“¹⁰ და

1 წმიდისა BE] მამისა ჩუენისა D.

2 ოთანე BE] იოვანე D.

3 ჰანგარებისა BE] ანგაჟრებისა D.

4 ეპისტოლისა BE] ებისტოლისა D.

5 ნამეტნავისასა BD] მიცემულისასა E.

6 გერგოს სიმდიდრისაგან EB] გარგოს სიმდიდრემ D; გერგოს B.

7 ანუ BE] თუ D.

8 დაბ. 18,3.

9 ჰაერსა BE] აჟერსა B.

10 ამ ადგილიდან 101r-ს ჩათვლით გრძელდება ტექსტი S 4936-ში (N^o 76-83 საკითხაცები). ტექსტის ამ მონაცემთს წარმოგადგენთ სწორედ ამ XI ს-ის ნუსხის მიხედვით. ფონეტიკურ და ორთოგრაფიულ ვარიანტებს A 733-ის

შესუარე სამი საწყალი სამინდობ¹¹; და თუთ მირბიოდა მროწელოდა
მიმართ ზროხათასა და ალიკიდა მიერ ჭბო ჩჩლი. არა თუ სხუა¹² ვინ
წა[B129r]რიყვანა, არამედ მოხუცებულსა მას¹³ სარგებელ-უჩნდა უცხოთა
მათოჟს ჭირი იგი. ხოლო რად პრქუა მოსრულმან მან¹⁴? „უამხა მას მოვი-
დეთ და ეხუას სარას¹⁵ ძეო“¹⁶. იხილე-ა, ტპბილმან მან ვითარი ნაყოფი 5
აღმოაცენა, ვითარი კეთილი და მსწრაფლი? ესევითარნი არიან უცხოთ-
მოყუარებისა ნაყოფი. [B129v] ნუჟეუე ჰგონებ, ოდეს უცხოთა შეიწყნ-
არებდე და მოწყალებასა მისცემდე, დააკლდების საქონელსა შენსა? არ-
ამედ უფროსად აღორძინდების და ვაჭრობად არს უცოომელი და სარგე-
ბელისა, [C88v] რამეთუ [E64v] ამის სოფლისა ვაჭართა მრავალგზის ანუ 10
დანოქმა წარეკიდის, ანუ ავაზაკნი დაესხნიან და ყოველივე წარუდის,
ხოლო ესე, რომელი გლახაკთა მიეცემის, ყოველი ქრისტეს ჭელსა მი-
ვალს და არა არს შიში წარწყმებისა, არამედ ასწილად მოვალს შეს-
აძინელი, რამეთუ უკუეთუ კაცსა მივსცეთ რამე და იგი არა უდებ-იქმნის 15
ნაცვლისა მოცემად, ქრისტემანმცა არა მოგუცა-ა ნაცვალი, რომელი-
იგი ოჯნიერ მიცემისაცა მოგუცემს კეთილთა? ისმინე სოლომონისი, რასა
იტყვს: „რომელი სწყალობდებს გლახაკთა, აგასხებს დმერთხა“¹⁷. იხილე-
ა სახიერებად ღმრთისა? იცოდა გონებისა ჩუენისა უძლურებად – ვი-
თარმედ უკუეთუ ნაცვალსა არა მოველოდით, თუთ გონებითითა მით
მოწყალებითა არავის¹⁸ რას მივსცემთ. ამისთვის თავი [C 89r] თუთი 20
შემოიღო, ვითარმცა იტყოდა: „მე მავასხებ, ზ კაცხო! რაიცა გლახაკება
მისცემ, მე თანამდებ ვარ მის ყოველისა მრავალნაწილად მოცემად.“¹⁹ რად
არს, უფალო, შენ თანამდებარე ხარ-ა? ოდეს უკუე მოგუცემ თანანადებსა
მას, ოდეს იყოს პაემანი? ის[B130r]მინე უკუე, რასა იტყვს, რაჟამს დაჯდეს
ძე კაცისა საყდართა დიდებისა მისისათაო და დააღინწეს ცხვარი
მარჯუენით მისსა²⁰ [E65r] და თიკანი მარცხენით და პრქუას მარჯუენე-
თა მათ: „მოვედით, კუროხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვდერეთ გან-
მხადებული თქუებოჟს სახუცველი პირველ სოფლისა დაბადებადმდე²¹,
რამეთუ მშორდა და მეცით მე ჭამადი, მწყუროდა და მასუთ მე, შიშელ

(B) მიხედვით არ წარმოვადგენო, რადგან ისინი ძალიან ბევრია. სქოლითში
ავსხავთ მხოლოდ მნიშვნელოვან ლექსიკურ და მორფოლოგიურ განსხვავე-
ბებს B-სა და C-ს შორის.

11 დაბ. 18,6.

12 სხუა CD]-B.

13 მას C]+თუთ D.

14 მან CD]+კუალად E.

15 სარას CDE] სარრას B.

16 დაბ. 18,9.

17 იგ. 14,21.

18 არავის CE] არას ვის D.

19 იგ. 19,17.

20 მისსა CDE] ქარძო B.

21 დაბადებადმდე CD]-დაბადებითგან B. დაბადებისა E.

ვიყავ და შემმოსეთ მქ“²². ხედავ-ა,²³ ვითარსა ჟამსა, [D85] ვითარსა ჭირსა²⁴ და ვითარ დიდსა მოგუცემს [C89v] ოანანადებსა მას? რაოდენიმცა საფასენი იყვნებს²⁵, რომელ არა სიხარულიომცა მივეციოთ? მაშინ უკუეთუმცა ისყიდებოდა²⁶ ჯმავ იგი და აწ შესაძლებელ არს ადვილად მოსყიდავ მისი
5 და არა გუნებავს.

76) მათეს თავისამ²⁷

[C89v] რავსათუ უკუე არა მისცემ გლახაკოა²⁸, კაცო? არა თუ ამისთუ მოგეცენს საფასენი, რაითა შუებასა და ცოდვასა ზედა წარაგო, არამედ რაითა გლახაკი შეიწყალნე. არა თუ შენი არს, რა-ეგე²⁹ გაქუს, არამედ გლახაკოა რწმუნებულ არს შენდა, გინა თუ სიმართლით მოგებული
10 გაქუს³⁰, გინა თუ მამული არს შენი. ამისთუ გერწმუნა³¹, ვინავთან ფრიადითა მით კაცომოყუარებითა ღმერომან, ვითარცა შენი, გიბრძანა მიცემად. ნუ პგონებ ამის[B130v]თუ, თუ შენი არს, ნუ იქმ გარდარეულსა [C90r; E65v] მას კაცომოყუარებასა მიზეზ უმადლოებისა. არა თუ ღმერთსა ვერ შეეძლო მოღებად შენგან³² და მიცემად გლახაკისა სიმდიდრისა
15 მაგის? არამედ არა იქმს ამას, რამეთუ პნებავს, რაითა შენ იყო უფალ სათნოებისა მის ქმნად. ნუუაუე სირცხბლ-გიჩნს თავით თუსით მსახურებად და მიცემად გლახაკოა? ქრისტეს არა სირცხბლ-უჩნს მიყოფად გელისად და მიღებად, რა-იგი გლახაკსა³³ მისცე და შენ სირცხბლ-გიჩნს³⁴ თავით თუსით და გელითა შენითა მსახურებად? უულისგმა-ყავ, რა-
20 მეთუ წმიდა იქმნებიან ჭელნი შენნი მიცემითა და ადიპყრნე რავ იგინი³⁵ ზეცად, მსწრაფლ მოიხილოს ღმერომან; ვითარცა ქრისტე, შეიწყნარე გლახაკი და ნუ სირცხბლ-გიჩნს ქრისტეს ფერგოა დაბანად. ჰე, ძმანი [C90v], ვიდრე დგას სავაჭრო, მოვიყიდოთ წყალობად ღმრთისად წყალობითა გლახაკოათა; ქრისტე შეიმოს³⁶, უკუეთუ გლახაკი შემმოსოთ, რა-

22 მთ. 25,34-36.

23 ხედავ-ა CDE] ჰედავ-ა B.

24 ვითარსა ჭირსა CD]E.

25 იყვნეს C]-D; +მაშინ E.

26 ისყიდებოდა CD] იყიდე E.

27 E-ში ამ თავს სათაური არა აქვს.

28 გლახაკოა BCE]-შ D.

29 რა-ეგე BCE] რა-იგი D.

30 მოგებული გაქუს CE] მოგებული B; მონაგები D.

31 ერწმუნა CE]-მიცემა გლახაკოა B; მიცემად გლახაკოა და D.

32 შენგან BCE] შენდა D.

33 გლახაკსა CDE] გლახაკოა B.

34 სირცხბლ-გიჩნს BCE] სირცხბლ-გიჩნა D (ყოველთვის „გიჩნა“).

35 იგინი BCE]-D.

36 შეიმოს CE] შეიმოსოთ BD.

მეოუ უკუეთუ გრილისა წყლისა შესუმად ცუდად არა წარვალს, არამედ სახეიდელი მოგუეცემის მისობსცა, უკუეთუ საფასე და სამოსელიცა მივსცეთ კეთილითა გონებითა, ცუდადმცა წარტდა-ა? ნუ იყოფინ! მითხარღა, უკუეთუ გინ გულსავსე-გყო, თუ შემდგომად წელიწადისა ერთისა ქალაქი ესე დაეცემის და იგი რომელიმე პგიეს, არამცა მუნ ისწრაფე-ა საყოფელისა მო[B131r]გებად, რომელიმცა არა დაეცემოდა? ამისობს უკუე [E66r] ნუმცა ვაშენებო საუკუნეოა³⁷ რათმე საქმეთა ამას საწუთოსა³⁸ შინა, რამეთუ დაეცემის; და რად ვიტყვ, თუ დაეცემის³⁹, პირველ მისისა დაცემისა ჩუენ [C91r] წარგვანებენ ამიერ, არამედ უფროდსად ცათა შინა ვიშენოთ⁴⁰ საყოფელი საუკუნო, სადა არა საჭმარ არიან გალატოზნ- 5
ნი და ხურონი, არამედ ჭელნი გლახაკოთანი აშენებენ⁴¹. ესევითარი არს მოწყალებისა სიმაღლე [D86] და მოქმედთა მისთა კადნიერებით წარადგენს წინაშე საყდართა დმრთისათა და მარჯუენით მეუფისა დაადგენს. და ისმინეთ, რასა იტყვა: „მოვედით, კურთხეულო მამისა ჩემისანო, და დაიმგვდრეთ⁴² განმზადებული თქუებობს ხაუკუველი, არა თუ რომელ 10
სასწაულნი ჰქმნენით, არამედ რამეთუ მშოღდა და მეცით მე ჭამადი, და მწყურდა და მასუთ მე, უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ“⁴³. ესე უკუე სათნოებად მოვიგოთ, გპრგპნოსანმყოფელი ყოველთა სათნოებათა, [C91v] რამეთუ უკუეთუ უწყალონი ვიყვნეთ, არას გუერგების სხუად რად სათნოებად და მოღუაწებად. 15
20

77) ჰომაერთა ებისცოცისა⁴⁴

რამეთუ⁴⁵ რომელსაცა ჸნებავს მდიდარ-ყოფად, იქმენინ გლახაკ, რავთა იქმნას ჭემარიტად მდიდარ; განუყან გლახაკოთა და შეიკრიბოს სულიერი იგი ნაყოფი. უკუეთუ გინ არა სთესის, ვერ მოიმკის ნაყოფი და უძუეთუ გინ არა ყოს წყალობად, ვერ პოოს [E66v] წყალობად⁴⁶. რავსათვა უკუე არა მისცემ გლახაკოთა? – შვილნი მისხენო და მნებ[B131v]აგსო, 25 რავთა განმდიდრდენ. გულისგმა-ყავ, უკუეთუ ყოველი მათ დაუტეო, საცოურ მათდა იყოს; უგუეთუ პულა დმერთი დაუტეო თანამონაწილედ, ბევრეულნი საუნჯენი დაგეტაგ[C92r]ნენ მათდა, რამეთუ რომელმან არაარ-

37 საუგუნეთა CD] წარმავალთა ვითა უკუდავთა E.

38 საწუთოსა C]+ამას სოფელსა BD; სოფელსა ამას შინა E.

39 და რად ვიტყვ, თუ დაეცემის CE]-BD.

40 ვიშენოთ BCE] ვაშენოთ D.

41 აშენებენ BCD] აღაშენებენ E; +მას D.

42 დაიმგვდრეთ BCE]+ ჩემ მიერ D.

43 მთ. 25,34-35.

44 E-ში ამ თაგს სათაური არა აქვს.

45 რამეთუ C] აშ E; - BD.

46 იგ. 28,19.

- სისაგან დაგბადა და ეგე ყოველი მოგცა, უპუეთუ გიხილოს, ვითარმედ მისისა მცნებისაებრ განაძნევ მონაგებსა შენსა, არა ყოველი სიმდიდრე შვილთა შენთა განუყოს-ა? და უკუეთუ იხილა ელია ქურივი იგი, ვო- თარმედ უფროს შვილთა მისთასა მას პატივ-ხცა და ეკედრა ღმერთ-
 5 ხა არა მოკლებად ფქვლისა მას და ზეთხა, არა ღმერთმან უფროსად უშურველად⁴⁷ მისცეს მათ ყოველი?⁴⁸ ღმერთი დაუტევ მოვალედ შვილთა შენთა⁴⁹, უკუეთუ გნებავს, რაოთა არარად დააკლდეს მათ, რამეთუ აღნა- დგინებითურთ მისცეს ყოველივე და სულიცა შენი სასუფეველსა მისსა დაამკდროს, რამეთუ უყუარან ყოველნივე, რომელთაცა ავასხონ მას.

78) ოთანეს თავისაც⁵⁰

- 10 ქჰა, საკურველი! ქრისტემან სისხლი თუსი დასთხია ჩუენთუს, [C92v] ხოლო საფასესაცა⁵¹ არა მივსცემო, არამედ დაუტეობო შიშულად და უდუაწად. ვინ გპტსნენეს საუკუნოსა მის სატანჯველისაგან [E67r] ამით სახითა, დადაცათუმცა ჩუენ ვინ⁵² დაგუსხნა მსაჯულად, რამცა⁵³ გან- ვაჩინეთ⁵⁴ თავთა ჩუენთათუს ამისთუს, რომელ⁵⁵ ჩუენთუს მომკუდარსა
 15 15 მას არცა თუ პურსა მიუკურობოთ? არა სულისავცა ჯერ-იყო-ა მისთუს დადებად⁵⁶ და უბუეთუმცა ვინ⁵⁷ [B132r] მოგალვიდად⁵⁸ და ეგებოდამცა ყოვ- ლისა მის მონაგებისა ჩუენისა მიცემითა გამოწსნად თავთა ჩუენთა სი- გუდილისაგან, არამცა სიხარულით ვქმენით-ა? ხოლო აწ გმენიად არა⁵⁹ შთავრდომისათუს არცა [D87] თუ ნახევარსა არა⁶⁰ მივსცემო, არამედ
 20 ვირჩევთ საუკუნეთა მათ სატანჯველთა შესლვად, ვიდრე გლახაკთა მიცე- მად [C 93r] და მისგან განრომად⁶¹. და რაო-მე სიტყუად მიუგოთ ღმერთსა, უკუეთუ პატივისათუს ამის სოფლისა მისცემენ კაცნი ყოველსაგე საფა-

47 უფროსად უშურველად CE] უმეტესად BD.

48 III მეფ. 17,11-16.

49 შვილთა შენთა BCE]- D.

50 E-ში ეს ადგილი არ იკითხება, ამიტომ ვერ ვარკვევთ, აქეს თუ არა ამ თაგს სათაური.

51 სისხლი... საფასესაცა BCE] დასთხია სისხლი მისი ჩუენთუს და ჩუენ საფა- სისაცა D.

52 ვინ CE]-B.

53 რამცა CE] რაოთამცა B.

54 განვაჩინეთ BE] გავაჩინეთ C.

55 რომელ CE]-B.

56 დადებად CE] დადებად B.

57 ვინ CE] ვინმე B.

58 ვინ მოგალვიდა BCE] ვინმე მოგუკლვიდა D.

59 არა BD]-CE.

60 არა CE]-B.

61 მიცემად და მისგან განრომად DE] მიცემასა და მისგან განრომასა B, მიცემად და მისგან განრომა C.

სესა მათსა, პატივისათვე⁶², რომელი აქავე დარჩების და მეყსა⁶³ შინა უწინო-იქმნების, რომლისგან მრავალგზის სიცოცხლესავე განვარდა კაცი, და ამის ესევითარისათვეს არა შურობენ ყოველსავე ნაქონებსა⁶⁴ მათსა? რადმცა უსაწყალობელეს იყო ჩუენსა, რომელი საუკუნოებისა მისოფს და წარუგალისა დიდებისა არცა მცირედსა არა [E67v] მივსცემო⁶⁵ და რავიგი აქა⁶⁶ დარჩომად არს შემდგომად მცირედისა მის⁶⁷, არა წარვავლენო წინაშე ჩუენსა საუკუნესა მას და ცხენოდ და ჯორთა ოქროთა და ვეცხლითა⁶⁸ შევამკობთ, ხოლო ქრისტეს დაუტეობთ შიშუელსა, კარით-კარად მავალსა. რად არს ესოდენი ესე სიბორგილე? არა მოვიქცეთ-ა? არა [C93v] შევიწყნაროთ-ა იგავისა მისგან ქალწულობასა, რომელი-იგი განვარდეს 10 სასძლოოსა მისგან, რამეთუ არა აქუნდა ზეთი იგი მოწყალებისათ, და ვერარად არგო დიდმან სათხოებამან ქალწულ[B132v]ებისამან? არამედ გევედრები, ვიქმოდით მოწყალებასა, რაოთა ვპოოთ ჩუენცა წყალობად⁶⁹.

79) თაჩმანებისაგან მათეს თავისა⁷⁰

გარნა გევედრები, ნუ ტაცებულისა და მონახუეჭისაგან⁷¹ იქმო მოწყალებასა, რამეთუ არა⁷² არს მისგან სარგებელი. რად მიუპყრობ მეუფესა 15 არაწმიდასა ძღვენსა და უფროოსად⁷³ განარისხებ მას? არა უგმს ქრისტესა ანგარებისა მიერ მოწყალებათ, არა მიიღებს ესევითარსა მინაცემსა. უმჯობეს არს ყოლადვე არა მიცემათ გლახაკოა, ვიდრე სხუათაგან აღჭბად და სხუათად⁷⁴ მიცემათ, რამეთუ მითხარდა, უაუეთუ იხილნე თრნი გლახაკნი, ერთი შიშუელი და [C94r] ერთი – მოსილი და განსძარცო 20 შემოსილი იგი და მეორე⁷⁵ იგი შეპყოსო, არა ვნებად შე[E68r]გირაცხიერ- ა ესე? ჰე, ჰეშმარიტად! ხოლო რომელი-იგი ერთსა მას გამოუდე და ყოველივე მეორესა მიეც, ვნებად არს და არა მოწყალებათ. ოდეს ასი მოსტაცო და მისგან ერთი მისცე, გინათუ ასივეცა⁷⁶, ამას მოწყალებად

62 პატივისათვე BDE]-C.

63 მეყსა CE] მყისა D, მყისსა B.

64 ნაქონებსა CE] საქონებსა B, საქონელსა D.

65 მცირედსა არა მივსცემო CE] არცა თუ მივსცემო მცირესა BD.

66 აქა BCD] არა E.

67 მის BD] მას CE.

68 და ვეცხლითა BDE]-C.

69 რაოთა ვპოოთ ჩუენცა წყალობად DE]- BC.

70 თარგმანებისაგან მათეს თავისა BD] მათეს თავისა C. E-ში ამ თავს სათაური არა აქს.

71 მონახუეჭისაგან BCD] მოხუეჭილისაგან E.

72 არა BCD] არარად E.

73 უფროოსად BCD] უმეტესად E.

74 აღებად და სხუათადა BCE]-D.

75 მეორე CDE] შიშველი B.

76 გინათუ ასივეცა BD] გინათუ ათისაგანცა E; - C

- სახელ-სდებ-ა? რომელსამცა ბოროტსა არა დირს-იყავ, რომელი იგონებ-ცა ამას? რაისათგა, შ კაცო, ანგაპრებით შეიკრებ სიმდიდრესა შენსა? არა უწყი-ა, რამეოუ შეკრებული ეგე სხუათა დარჩეს და შენ წარწყმდე⁷⁷ ამიერ და არარა გაქუნდეს ამის ყოვლისაგან, თვინიერ ცოდვად [D88]
- 5 და წყვევად იგი და სულთქემად გლახაკოთა, რომელნი-იგი წარმოგიდგენ წინაშე საშინელსა მას საყდარსა და ემი[C94v]ებდენ თვისსა მას შენგან. [B133r] რად მიუგო მაშინ, ოდეს სიტყუად არა გაქუნდეს? რად მისცე⁷⁸, ოდეს შიშუელი და ქედდაღრეკილი სდგე? არა არს იგი სამსჯავრო, ვო-თარ ამის სოფლისათ, ოუმცა დაპფარე ჰეშმარიტებად ქრომითა, არამედ
- 10 თუალუხუავ არს საშჯელი და საშინელ მსაჯული.

80) თახგმანებისაგან ყოჩინთელთა ებისცოცისა⁷⁹

- რამეოუ უკუეოუ⁸⁰ რომელნი არას მისცემენ გლახაკოთა, ქრისტეს არას⁸¹ მისცემენ და ამისთვის ჯოჯოხეთს მიეცემიან. [E68v] საცნაურ არს, ვო-თარმედ რომელნი გლახაკოთაგან მოიტაცებენ, ქრისტესგან მოიტაცებენ. რომელიმცა უკუე სატანჯველი არა მოიწია ესევითარსა მას⁸² ზედა?
- 15 და უკუეოუ რომელი თვისსა⁸³ არა მისცემდეს, დასაშჯელ⁸⁴ არს, რომ-ელი სხვსასა მოიტაცებდეს, არამცა უმეტეს⁸⁵ დაისაჯა? შევინანოთ უკუე საქმისა ამისგან, ვივლტოდით მისგან⁸⁶ ცოდვისა, მოვიკსენეთ [C95r] პირველ ჩუქენსა ყოფილი იგი ანგარნი თუ სადა არიან, ანუ არა ბოროტად შეკრებული იგი მათი სხუათა დარჩა და⁸⁷ აქეს, ხოლო იგინი სხენან სა-
- 20 ტანჯველთა მათ შინა საუკუნეოთა, ცარიელნი ყოვლისაგანვე და მრავალ-გზის მტერთა დაიმკდრიან და მოძულეთა მისთა ყოველივე. კაცო, რასა ცუდად შურები და იტაცებ, რაღოთ საფასე იგი სხუათა დაუტეო და შენ დაიმკდრო გგჰენიად? გულისჭმა-ყავ, ვითარ მცეცნიცა მათისა⁸⁸ ბუნები-სა თანაზიარსა არას აგნებენ და შენ⁸⁹, ხატად ღმრთისა დაბადებუ[E69r]

77 წარწყმდე BCD] წარხუიდე E.

78 მისცე BCD]+მაშინ E.

79 თარგმანებისაგან კორინთელთა ებისცოცისა BD] კორინთელთა C. ამ თავს E-ში სათაური არა აქვს.

80 რამეოუ უკუეოუ CJ-BD.

81 არას CD] არა E.

82 ესევითარსა მას CD] ესევითართა მათ E.

83 რომელი თვისსა CDE] რომლისათვის B.

84 დასაშჯელ CD] სასჯელ B; დასასჯელ E.

85 უძებეს CDE]-B.

86 ვივლტოდით მისგან CD]-B; ვივლტოდით დიდისა ამისგან E.

87 დარჩა და CD]-E.

88 მათისა BCE]-D.

89 შენ BCE]+რომელი D.

ლი⁹⁰, უძრეს მჯეცისა შეჭამ ბუნებისავე შენისა⁹¹ ზიართა მათ გლახაგთა? რა სიტყუად მიუგო ღმერთსა? არა უწყია, ვითარმედ [B133v] რაღცა ვინ ბოროტი უყოს მოყუასსა, ვერ ავნებს მას ესრეთ, ვითარ თავსა ოჯსსა, [C 95v] ვითარცა-იგი ფუტკარი ვერას ავნებს, რომელსა-იგი⁹² უცეს, ვო-თარ თავსა ოჯსსა, რამეთუ მოგუდებისცა. და შენ პგონებ, თუ სხუათა 5 ვნებითა პპოემცა რადმე სარგებელი და ვერ გულისჯმა-ჟოფ, ვითარ ავნებ თავსა შენსა?

81) თახმანებისაგან სახახებისა⁹³

ესა, საკურველი! ამისთვის ანგაპრობ და იტაცებ, რადოა ცხენთა ლაგამნი 10 ოქროვთა ხურვებულნი იყუნენ და სართული სახლისავ – ოქროვან და თავნი სუეტოანი⁹⁴? და არა გრცეუენის-ა და არცა გეშინის⁹⁵ ღმრთი- 15 საგან კაცთა ჭირვებამ, განშიშულებამ და მოტაცებამ მათგან, ზიართა მათ ბუნებისა შენისაოთ და პატივცემულთა [D89] ღმრთისა მიერ? და შეამკობ ცხენთა და უფროის ყოვლისა ქრისტე შეურაცხ არს შენ წინაშე. შეიშინე⁹⁶, ნუჟაუე მანცა შეურაცხ-გყოს შეურაცხებით მით [C96r] მოუთმენელითა ნაცულად⁹⁷ ამისა, [E69v] რომელ დაუტეობ მას შიშულად 20 და შემთხვე პირუტყუთა, რამეთუ რასა-ეგე გლახაკოთა უზამ, ქრისტესა უზამ და ორკერძო განარისხებ, რამეთუ მოიტაცებ, ვინავ⁹⁸ არა ჯერ-არს და სადა არა ჯერ-არს, წარაგებ⁹⁹; სადა-იგი, თუმცა შენსა წარაგებდი, ცოდვამცა იყო, ხოლო აწ წარუდებ ქურივთა, განსძურცი¹⁰⁰ ობოლთა და შეპმოს მექავთა, ანუ მისცემ ქრ[B134r] თამად უმეტესისა რაღმე უსამართ- ლობისა დამტკიცებად, და რა უკუე იყოს შენდა მას დღესა შინა?

ია (მე-11) ფსალმუნისაი¹⁰¹

შეიშინეთ, ანგაპრნო, მაღლისა მის მეუფისაგან! თქუენ გაქუს მალი და

90 დაბადებული BC] დაბადებულ ხარ D; +ესე C.

91 შენისა BCE]-D.

92 ვერას ავნებს, რომელსა-იგი CD] ვერ ავნებს ესრეთ, რომელსა E.

93 თარგმანებისაგან სახარებისა BD] სახარებათ C. ამ თავს E-ში სათაური არა აქვს.

94 სუეტოანი CDE]+ოქროვან B.

95 და არცა გეშინის BE]-CD.

96 შეიშინე CE]- B; შეინან D.

97 ნაცულად C] ნაცვალად DE.

98 გინად CDE] ვიეოგან B.

99 სადა არა ჯერ-არს, წარაგებ CE] წარაგებ, სადა არა ჯერ-არს D.

100 განსძურცი D] განსძრცე CE.

101 ეს ტექსტი („მე-11 ფსალმუნისაი“) სათაურით არ არის გამოყოფილი, ყველა ნუსხაში პირდაპირ ების LXXXI პომილიას, ამიტომ ჩვენც არ გამოგევით ის როგორც ქვესაკითხავი.

- ქრთამი და ერნი, ხოლო გლახაკოა ჰქონან სულთქუმანი ღმრთისა მიმართ, [C96v] რომლითა მოიყვანონ იგი შემწედ. მრავალნი სახლნი დაარღვნეს¹⁰² მათთა სულთქუმათა, მრავალნი ძლიერნი დასცნეს, რამეოუ დიდად შეის-
 მენს ღმერთი სულთქუმასა კაცთა ჭირვეულთასა, ოდეს უბრალოდ წარუ-
 5 ღოთ და იგინი ჭირისა მისგან ტიროდიან წინაშე ღმრთისა და იტყოდიან
 სიტყუათა საწყალობელთა; მოიხილოს მათ ზედა და გტანჯნეს ოქუენ,
 უწყალონი ეგე და მგეცთა მიმსგავსებულნი¹⁰³. კაცო, რადესაოუს ისწრაფი
 ანგარებისა მიმართ¹⁰⁴ და მტაცებ[E70r]ელობისა მიერ განმდიდრებად?
 რად კეთილი აქუს სიმდიდრესა? გარნა ესე, რომელ ყოველთავე ვნებათა
 10 შენ შორის განამრავლებს, დაუსრულებელებსა მას ზრუნვასა მოგატყუებს
 და შეურაცხ-გყოფს, რამეოუ ნუ მაგას ხედავ, [C97r] რომელნი¹⁰⁵ პირსა
 გაქებენ მრავალნი¹⁰⁶ და ეშინის და პატივ-გცემენ; გონებასა შოთაქედენ
 შენთა მათ მაქებელთასა და იხილნე იგინი ყოველნი მძაგებელ და მო-
 ძულე¹⁰⁷ შენდა; და უკუმოუ მოიწიოს უამი, შეცვალებითა საქმეთავთა
 15 განქარდეს შიში იგი, რომელ აქუს აწ შენგან, მაშინ¹⁰⁸ სცნა, თუ ვითარ
 შეურაცხ ხარ¹⁰⁹ და საძაგელ¹¹⁰ წინაშე მათსა¹¹¹ ყოველთასა.

82) ეპატისა ევტიონისთუს¹¹² თქემულისაგან¹¹³

- რამეოუ იხილეთდა, თუ ვინ ყოფილ არს მთავარი უზეშთაესი ევტრო-
 პიოსისა? არა კნინდა და ყოველსა ქუეყანასა¹¹⁴ განგ[B134v]და სახელი
 სიმდიდრისა მისისა და არა ყოველნი მისგან ძრწოდეს-ა?¹¹⁵ და აწ იხი-
 20 ლეო, თუ [D90]არა ყოველთა გლახაკოა და მონათა და დილეგსა შინა
 მყოფთა უსაწყალობელებს არს. [C97v] მარადლე მახცლთა ხედაგს ლე-
 სულთა და მტარვალთა და სიკუდილსა წინაშე თუალთა მისთა და
 ყოლადვე აგსოვგცა არა დიდებად¹¹⁶ იგი მისი, შიშისა მისგან და მწუხ-
 არებისა, რომლითა შეპყრობილ არს და ძრწის და განლეულ არს. [B135r]

102 დაარღვნეს D] დაარღუინის E, დაარღუნეს C, დაარღვნეს B.

103 მგეცთა მიმსგავსებულნი CDE] მგეცთ მსგავსნი B.

104 ანგარებისა მიმართ BD] ანგარებისა მიერ C; უსამართლოდ E.

105 რომელნი CDE] რაჟამს B.

106 მრავალნი BCD] მთავარნი H.

107 მძაგებელ და მოძულე CDE] მძაგებელად და მოძულე B.

108 მაშინ CDE] მერმე B.

109 ხარ CDE]+მათგან B.

110 საძაგელ CD] საძულებლ E.

111 მათსა CE]-BD.

112 ეპატისა ევტროპიოსთუს C] ევტროპიოს B. ევტროპიოს D.

113 E-ში ამ თავს სათაური არა აქვს.

114 ქუეყანასა CDE] სოფელსა B.

115 და არა ყოველნი მისგან ძრწოდეს-ა CE] ყოველნივე ძრწოდეს მისგან BD.

116 დიდებად CE] სიმდიდრე BD.

არა გეტყოდება ყოლადვე, ვითარმედ [E70v] მზაკუარი არს და მაცოური¹¹⁷ სიმდიდრე და დიდებად სოფლისა და არა გრწმენა ჩემი? არა გეტყოდება, ვითარმედ ორგული მონად არს, და არა ისმენდი? სცან აწ¹¹⁸ საქმით, ვითარმედ არა ორგული ოდენ, არამედ მკლველიცა არს, რამეოუ მან შეგდვა ეგა ძრწოლად. არა გეტყოდება, ოდეს-იგი ჭეშმარიტსა გეტყოდება, და შენ მრისხევდ, ვითარმედ მე უფრო¹¹⁹ მიუჟარ შენ, რომელი-ესე გამხილებ შენ¹²⁰, ვიდრე რომელნი-ეგა გაქებენ¹²¹? არა გარქუ ყოლადვე, ვითარმედ უსარწმუნოეს არს წყლულე [C98r]ბაი¹²² მეგობრისაგან, ვიდრე უნებლიადო ამბორის-ყოფად მტერთად? უკუეთუმცა ჩემმიერნი წყალობანი¹²³ თავს-გესხენეს, არამცა მოეტყუა შენდა მათოთ მათ ამბორის-ყოფათა ეგა ბოროტი. ამისთვის გეტყოდება ყოლადვე, ვითარმედ სიმდიდრე განმცდელი არს ბოროტოა¹²⁴ მჯმარებელთა მისთათვს. და აწ მოვიდა უამი და საქმით დამტკიცნა სიტყუად ჩემი. რადესა ესრეთ მოკიდებულ ხარ მისდა, ვინაოთგან უამსა განსაცდელისასა არას გერგების? უკუეთუ ძალი აქუს, ოდეს ჭირსა რასმე მიეცე, მაშინ წარმოგიდეგინ. უკუეთუ პულა მაშინ ივლტის, რადდა საგმარ არს იგი? [E71r] ამას ყოლადვე ვიტყვა და ოქუმად არა დაგსცხებ-ბოდე. ესრეთ კუალადცა ვიტყვა¹²⁵, დაღაცაოუ მრავალნი მაბრალობენ და იტყვან [C98v] თუ – მდიდართადა ოდენ შედგომილ არსო. რამეოუ იგინი გლახაკოდა შე[B 135v]დგომილ არიან, ამისთვის მე მათდა შედგომილ ვარ და არა თუ მდიდართა შედგომილ ვარ¹²⁶, არამედ ანგართა. სხუად არს სიმდიდრე და სხუად არს ანგაკარებად. უკუეთუ მდიდარ ხარ, არა გაყენებ. უკუეთუ პულა იტაცებ გლახაკოგან, არა დაგსცხები მხილებად. შენი თუ გაქუს, იგმარე, უკუეთუ¹²⁷ სხუათასა მოიხუეჭ, არა დავიდუმო. უკუეთუ ამისთვის მემტერები, არა მეურვების, სისხლისა ჩემისა მზა ვარ დათხევად მე; სიძულილისა და მტერობისა კაცობრივისაგან არა მეშინის. ერთსა ვხრუნავ, რათომამცა თქუენ გერგო რამე [D91] სულიერად, რამე-თუ გლახაკნიცა ჩემნი შვილნი არიან და მდიდარნიცა და ორთავე [C99r] უმჯობესესა ვეძიებ; რომელსა პნებავს, მემტერებოდენ, რომელსა პნებავს, მომიძულენ, რომელსა პნებავს, მომკალცა. [E71v]ამის ესევითარისაგან სიძულილისა და ჭირისა და სიკუდილისაგან ჭორციელისა არა მეშინის. ერთისაგან ოდენ მეშინის – ცოდვისაგან. ცოდვამცა ნუ შემემთხუევის

117 მაცოური CDE] მტერი B.

118 აწ]+თვო B; აწ სცნა D; სცნა აწ E.

119 უფრო CDE] უფროს B.

120 რომელი-ესე გამხილებ შენ CE]-D.

121 გაქებენ CDE]+შენ B.

122 წყლულებად BCD]+მოწვევნული E.

123 წყალობანი BCD] წყლულებანი E.

124 განმცდელი არს ბოროტო C] განმცემელი არს ბოროტად BDE.

125 ესრეთ კუალადცა ვიტყვა BCD]-E.

126 მდიდართა შედგომილ ვარ BCE] მდიდართადა შედგმულ ვარ D.

127 უკუეთუ CE]+პულა BD.

- და ყოველი სოფელი მებრძოდეს, არა მწუხარე ვარ, არა მეურვების. იხილეთდა კაცობრივთა საქმეთა უნდოებად? იხილეთ-ა სოფლისა დიდებისა უძლურებად? იხილეთ-ა სიმდიდრე, რომელსა-იგი მარადის მზაკურად სახელ-ვსდებდი და არა მზაკუარად ოდენ, არამედ კაცისმკლველადცა? რა-
5 მეოუ არა ოუ¹²⁸ ცარიელთა ოდენ დაუტეობს მოყუარეთა¹²⁹ მისთა, არამედ მრავალგზის სიკუდილსაცა მისცემს – ოდენ ვინ ფრიად¹³⁰ მოიმ[B136r] ადლოს იგი, [C99v] მაშინ ექმნების შინაგამცემელ¹³¹. მჯეცი არს ბორო-
10 ტი და ველური; რაისათგვს¹³² უკუე ესრეთ გიყუარს ესე, რომელი არა დააღგრების შენ თანა? უკუეთუ გნებავს, რაითა წარუვალად ეგოს, მიეცი
15 იგი გლახაკოა და ეგოს უკუე წარუვალად. არა ხედავ-ა, ვითარ რომელი-
10 იგი დდეს არიან მდიდარ და ხვალე იქმნის¹³³ გლახაკ? ამისთვის მრავალგ-
15 ზის სიცილი მომიკდის, აღმოვიკითხნი რავ ანდერძნი, რომელნი იტყოდი-
20 ან, ვითარმედ მას ვისმე აქუნდინ უფლებად [E72r] მისა გლახაკისა, ხოლო მას ვისმე აქუნდინ იგი ჭმარებით, ვითარცა ნათხოვი, რამეოუ ყოველთა,
25 რაიცა გუაქუს, ვითარცა¹³⁴ ნათხოვად გუაქუს¹³⁵, რამეოუ ვითარი უფლე-
30 ბად არს¹³⁶, რომლისაგან დდეს გინა ხვალე შიშუელნი დავშოებით, გინა
35 თუ სიცოცხლესავე, ანუ თუ სიკუდილისა მიერ უქუელად. და ჭმარებად
40 ოდენ და[C100r] რჩომილ¹³⁷ იყოს ჩუქნდა მონაგებთათ, ხოლო უფლებად –
45 არარა, არამედ შიშუელნი წარვდგეთ¹³⁸ მერმესა მას ცხორებასა. საცნ-
50 20 აურ არს უკუე, ვითარმედ მათ დარჩების¹³⁹ უფლებად, რომელთა ჭმარე-
55 ბაცა მონაგებთა შეურაცხე-ყვეს და გლახაკოა აჯმარეს ყოველივე, მათ
60 აჯმარეს¹⁴⁰ კეთილად და აქუნდეს უფლებად იგი უკუე, ხოლო რომელი არა
65 ესრეთ იქმარებდეს, იგი შიშუელი¹⁴¹ წარვიდეს ყოვლისაგანვე¹⁴².

128 თუ CE] ოდენ BD.

129 მოყუარეთა CDE] მოყუასთა B.

130 ფრიად CDE]-B.

131 შინაგამცემელ CE] შინაგანმცემელ BD.

132 რაისათგს CE] რომლისათგს B.

133 იქმნის BCE]-D.

134 ვითარცა BCE]-D; ყოველი E.

135 გუაქუს BCD]- ხოლო უფლებად არარადსა გაქუს E.

136 რამეოუ ვითარი უფლებად არს CE] ხოლო უფროს - არარად გუაქუს B; - D;

137 დარჩომილ CE] დაშოომილ BD.

138 წარვდგეთ CE] წარვიდეთ BD.

139 დარჩების CE] დაშოების BD.

140 მათ აჯმარეს CE]-BD.

141 შიშუელი BC] შიშელი D.

142 ყოვლისაგანვე BD] ყოვლისავე C.

83) თახგმანებისაგან კონტინუატა ებისცორისავ¹⁴³

მითხარღა, უკუეთუმცა ვინ მეინაპედ გყოფდა¹⁴⁴ მეფისა ამის წარმა-
ვალისა, არამცა სიხარულით მიეცი-ა ყოველი მონაგები შენი¹⁴⁵? ხოლო
ცად აღსლვისათვეს და ანგელოზთა თანა ყოფისა [B136v] და გამოუთქმ-
მელთა [D92] მათ¹⁴⁶ დიდებასა შესლვისათვეს არცა თუ მცირედისა საფასი-
სა გნებავს¹⁴⁷ წარ[C 100v]გებავ; ჯერ-იყო სულისაცა სიხარულითა მიცე-
მავ მათ კეთილთათვეს, [E72v]ხოლო შენ მთავრობისათვეს წარმავალისა
და ბევრეულთა ცოდვათა მომატყუებელისა ყოველსავე საცხორებელსა
შენსა მისცემ და ვალთაცა შთავარდები და სასუფეველისათვეს ცათასა,
რომლისა არარავ არს ნაცვალი, გცონის მცირედისაცა¹⁴⁸ მიცემა. გვა¹⁴⁹,
დიდი ესე უგუნურებავ! ვითართა კეთილთა დავაკლდებით ნეფსით თუსით 10
და ვერ გულისგმა-ყყოფო ეშმაკისა სიბოროტესა, რომელი მცირეთა ამათ
მიერ დიდთა მათ მოგვდებს და მოგუცემს თიკათა, რათა მოგპხუნეს 15
ცანი და გპჩუენებს აჩრდილსა, რათა გამოგუაპუნეს ჭეშმარიტებისაგან
და გუაოცნებს სიხმართა, რათა მოვიდეს დღე და ყოველთა უგლახაკეს
ვიყვნეთ. [C101r]არამედ ჩუენ, ჟ საყუარელნო ძმანო, ნუმცა უმეცარ ვართ
მისთა მზაკუარებათა¹⁵⁰, რომელი მცირითა დიდთა მოგვდებს, არამედ
ვივლტოდით უწყალოებისა და ანგარებისა, რათა არა ვპოვოთ სატან-
ჯველი უწყალოთა; ვიქმოდით წყალობასა, რათა ვპოვოთ წყალობავ, რა-
მეთუ ამისთვეს მოგუცემს დმერთი საფასეთა, რათა მათ მიერ სასყიდელი 20
მოვიგოთ და არა სასჯელი. ჰე, გვევდრები, ნუმცა ვიქმნებით მონა ეშ-
მაკისა [E73r] ანგარებითა და უწყალოებითა, არამედ ვავასხოთ დმერთსა
მიცემითა გლახაკოდათა, რათა [B 137r] მოვიღოთ მისგან სასუფეველი
ცათავ, რამეთუ მისი არს დიდებავ და სიმტკიცე მამისა, ძისა და წმიდისა
სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ¹⁵¹.

143 თარგმანებისაგან კორინთელთა ებისტოლისავ CD] კორინთელთავ C. E-ში
ეს ადგილი ძალიან მნელად იკითხება, მაგრამ ჩანს, რომ ამ თავს სათაური
არა აქვს. მომდევნო გვერდები - 72v, 73r-v, 74r – საერთოს არ იკითხება, შე-
დარებას ვაგრძელებოთ 74v-დან.

144 ვინ მეინაპედ გყოფდა CD] ვინმე თანამეინავე გყოს-ა BD.

145 მიეცი-ა ყოველი მონაგები შენი BD] მიეც მონაგები ყოველი C.

146 გამოუთქმელთა მათ BC] გამოუთქმელთა მას D.

147 გნებავს C] ნებავს B, გუნებავს D.

148 არს ნაცვალი, გცონის მცირედისაცა BD] გცონის ნაცვალი მცირედისათვეს C.

149 გვა CD] ჰე B.

150 მზაკუარებათა BC] მზაკუვარებათა D.

151 აქ წყდება „მარგალიტის“ ტექსტი S 4936-ში და Sin 51-ში. S 4936-ს აკლია
უკანასკნელი სამი საკითხავი (NNN84-85-86) და იწყება ითანე თქროპირის
სხვა სწავლებები, რომელიც არ შედის „მარგალიტის“ შემადგენლობაში,
ხოლო Sin 51-ში გამოტყვებებით 84-ე და 85-ე საკითხავები და ტექსტი 73r-
ზე გრძელდება 86-ე საკითხავით. Ath. 77/41-ს აკლია 85-86-ე საკითხავები.

თავი XIX.

**LXXXIV) თქმული მისივე¹. ნმიღისა ითანე² ოქმობისას, სიყვარულისათვეს
და მოწყვებისა, თახგმანებისაგან ითანეს სახაჩებისა**

- ჭეშმარიტებისმოყუარეო, უკუეთუ მოგიძულონ შენ მტერთა, ნუ მწუხარე ხარ, რამეთუ მტყუართა³ სძულს ჭეშმარიტისა მეტყუელი. შ კეთილისმოქმედო, უკუეთუ მოგაგონ შენ უკეთურთა ბოროტი კეთილისა წილ, და ნუ მწუხარე ხარ, რამეთუ უფალსაცა შენსას ეგრეთვე ბოროტი მიაგეს კეთილისა წილ⁴ პურიათა; ნაცვალად მანანასა, ნავდველი⁵ და ძმარიასუეს მათ; მწყერმარტილი მოსცა მათ ზეციო და წყალი ითხოვა და არა ასუეს მას; ზღუაღცა გან[D93]აპო და განიყვანნა იგინი და ნაცულად მისსა ლახურითა გუერდი განუდეს მას; კლდე განუხურიტა⁶ და წყალი მოსცა მათ უდაბნოსა ზედა, ხოლო მათ სამსჯუალითა⁷ განუხურიტნეს
- 5 10 15 20 25
- გელნი და ფერგნი მისნი; ლერომან შენმან აკურთხნა ებრაელნი, ხოლო მათ გინება მიაგეს, პნერწყვიდეს პირსა მისსა წმიდასა, რომელმან-იგი ნერწყოთა შობითგან ბრმისა თუალნი აღუხილნა და სენთა უძლურებანი განკურნა; ტანჯვად მიაგეს მას, რომელმან სიტყვო ვნებანი მათნი განდევნნა, ხოლო მათ სახელ-სდვეს მგმობარ; განამტკიცნა ასონი მათნი და გელნი, ხოლო მათ ასონი მისნი ძელსა ზედა განუხირპნეს და გუამი მისი მდგმესა დადვეს [B137v] და დაპტეჭდეს კარსა მისსა. აწ უკუე შურმან და ჭდომამან ხესა ნედლსა ესრეთ უყვის; შენ, ღრუსა და ფატარსა, რამოდენ უფროს? შურმან მოკლა საყუარელი, ხოლო შენ, თიკაო, ვერ მოგბლასა? შურმან განაძო მაცხოვგარი, ხოლო შენ, მოკუდავი, არა-მე განგამოსა?
- ა? შ მყუდროვო, ივლტოდე და დაიმალე ზღუასა შინა სიმდაბლისასა; შ მოწყალეო, დაიმარხე მტკიცე სახე მოძღურისა შენისა, რომელი ისწავე; არა უკუე უფალი ჩუენი⁸ დამდაბლდა-ა და დაემორჩილნეს მას ძლიერნი? მოიდრიკა თავი თუსი და დაემორჩილა ამპარტავანებად სიმდაბლესა. ვინ უკუე დაიჯეროს შენი, ვითარმედ მოწავე ხარ ქრისტესი, რამეთუ მან, დიდებულმან, სიმდაბლე შეიმოსა, ხოლო შენ, მტუერი და ნაცარი, ესრეთ ჰმაღლოვო? უკუეთუ მან შეგიყუარა შენ, რადსა გძელს ძმად შენი? ამით

1 მისივე B]-D.

2 ითანე B] იოვანე (ყოველოვის) D.

3 მტყუართა B] მტყუვართა D.

4 ეგრეთვე ბოროტი მიაგეს კეთილისა წილ B] ეგრეთვე კეთილისა წილ ბოროტი მიაგეს D.

5 ნავდელი D] ნაღველი B.

6 განუხურიტა BD] განუხრიტა B.

7 სამსჯუალითა B] სამშჯუალითა D.

8 ჩუენი D] შენი B.

უკუე საცნაურ არიან მოწაფენი მისნი, უკუეთუ იყეარებოდიან⁹ ურთიერთას. სიყუარულით ზრახვიდეს მოციქულნი და სრულნი სიმდაბლითა და მშვდობითა მძლე-ექმნეს მართალნი დაწყნარებითა, მყუდრონი და მდუმარენი. ცეცხლი რაჟამს აღტყდის, წყლითა დაივსების¹⁰ და რისხვა დუმილითა დასწყნარდის, შერი სიყუარულითა იძლევის და გულისწყრომა 5 – კეთილითა სიტყოთა; ტყუვილი¹¹ და შფოთი იძლევიან დუმილითა და რისხვა და დაღადგება დაწყნარებითა, ცილობა უყდროებითა¹², ურჩება მორჩილებითა განეგებიან¹³ შენ მიერ. [B138r] საღმრთოთა წიგნთა იკითხავ და სიმდაბლესა ღმრთისასა არა ემსგავსები. შენ მოწაფე ხარ ამის მოძღვრისა და მყის განურისხნი შენ ძმასა შენსა; შენ შვილი ხარ 10 და სახლეული ამის ღმრთისა და აღეტყინის შენ შორის მცურვალება გულისწყრომისა; ღმერთი შენი, სახიერი და მდაბალი, იგუემა და არა განრისხნა, და შენ, რომელი-ეგა კუამლი ხარ, სიტყვითა აღეგზნები; ოდეს იხილო ძმა შენი განრისხებულად, დაასხ მას ზედა [D94] წყალი იგი მოწყალებისა და სიყუარულისა, რათა დაშრიტო მცურვალება გულისწყრომისა მისისა; ოდეს იხილო ფერი პირისა მისისა ცვალებულად, აჩენენ კეთილი სახიერება შენი; ოდეს იხილო იგი აღშფოთებულად, მხიარულითა პირითა დააწყნარე იგი; ოდეს იხილო განძნებულად, ვო- 20 რარცა დელგანი ზღვსანი, უქმენ მას ვითარცა ნავთსაყუდელი მყუდრო; რომლისა გულსა დანერგულ არს გულისხიტყუად და სიძულილი ყვა- ლისა კეთილისა საქმისა, აუგიან არს და შეურაცხ არს წინაშე ღმრთისა. მმარხველსა, რომელსა სძულდეს ძმა თვისი, უძრეს მემავთა არს წინაშე ღმრთისა; წმიდა კაცი, რომელი ავენებს მოყუასსა თვისსა, მეზუერეთა თანა შერაცხილ არს წინაშე ღმრთისა; ქალწული, რომლისა თანა ხი- 25 ყუარული არა არს, ეშმაკთათვეს იცავს თავსა თვისსა; მდგრადე მოშურნე და შფოთისმოყუარე ეშმაკთა მსგავს არს უძილობითა და მათ თანა დაისაჯოს; რომელმან ჯუარს-აცუას თავი თვისი შრომითა და სიწმიდითა და სხეულ იყოს შურითა, დაკლებულ და ნარჩევ არს წინაშე ქრისტესა; [B138v] რომლისა საქმენი კეთილ არიან და არა მოუდრექს თავსა თვისსა სიმდაბლით ძმათა, შეკრულ არს იგი მარცხენით კერძო, რაოთა¹⁴ ვერ აგრძნობს იგი ამპარტავნებითა¹⁵; რომელი ახოვან იქმნას ბრძოლასა შინა და უდებ-ყვნა უძლეურნი უდებებითა თვისითა, მოინადირონ იგი მტერთა მისთა უგრძნულად.

9 იყეარებოდიან D] იყეარებოდით B.

10 დაივსების D] დაივსის B.

11 ტყუვილი D] ტყუილი B.

12 უყდროებითა D] მყუდროებითა B.

13 განეგებიან D] განიგებიან B.

14 რაოთა D] და B.

15 აქ წყდება ტაქსტი Ath. 77/ 41-ში (D).

85) სინანერისა თქმულისაგან, განკითხვისათვეს
თვისისა თვისისა

- უკუეთუ გნებავს განკითხვა, რომელსა შინა არს სარგებელი სულისა და არა სავნებელი, დაჯედ და შეიკრიბე გონებად შენი და გულისხი-
ტყუად შენი და მოიგსენენ ყველნი ცოდვანი შენი და ეტყოდე თავსა შენსა, რაისათვეს ესრეთ პქმენ ესე. და უკუეთუ იგი კუალად გამოემიებ-
- 5 დეს საქმესა კაცოსასა, არქუ მას: არა სხუათათვეს გეითხავ შენ. შენ რა მოგეწდების, თუ იგი ვინმე ბოროტ არს, გინა სხუად – კეთილ? შენ უკუე რასა შესცოდე და განარისხე დმერთი, ესე ხოლო მაუწყე და სხუათა განკითხვად დაუტევე; თავისა ხოლო საქმეთა ზრუნევდი, ნუ სხუათა გან-
იკითხავ და ესრეთ ამხილებდი მას დღითიდედე და სტანჯევდი, ვითარცა
- 10 მშობელსა ცოდვისასა, და მოავსენებდი მდინარესა მას ცეცხლისასა და მატლისა მას დაუძინებელსა და მრავალფერთა სატანჯველთა. და ნუ აუფლებ დამორჩილებად და ნუ შეიწყნარებ შენდობასა მისსა, ოდეს გრქუას შენ, ვითარმედ: „იგი თუთ მოვალს, მაიძულებს და მძლევს“. და შენ არქუ მას: „უკუეთუ შენ გინდეს, ვე[B139r] შემძლებელ არს ძლევად
- 15 შენდა“. წინამდლურარი მკურნალი არს სულისა; ვითარცა-იგი მკურნალსა ჭორცოსა უკმს წამალი მრავალფერი თვითულისა სენისათვეს, ეგრეოვე მკურნალსა სულთასა უკმან მრავალფერნი წამალნი საკურნებელად სულთა, რამეთუ სული უფროს არს ჭორცო. არა ყოველი, რომელი სახ-
ელდებულ არს წინამდლურად, იგი არს წინამდლურარი ჭეშმარიტი, რამეთუ
- 20 მრავალნი იწოდნეს სახელით და ვერ იპოვნეს მსგავსად სახელისა მათი-
სა. რამეთუ აპა ესერა, ვხედავთ – რომელსამე კაცოაგანსა პეტრე პქჟან და რომელსამე – პავლე და რომელსამე – იოანე. ეგრეოვე ყველმან, რომელმან ვერ იცის წინამდლურობად სულთა, არა არს წინამდლურარ. ჯერ-
არს უკუე მისა, რომელი წინამდლურად წოდებულ იყოს, მოგებად ჭეშ-
- 25 მარიტისა წინამდლურისა საქმეთა, რაითა პირველად განგორს წინამდლუ-
რობად თავისი თვისისა. უკუეთუ თავსი თვისისა ვერ განუგოს ჯერისაებრ მარტოსათ, რომელ ყოველსა უამსა მის თანა არს სული და ჭელმწიფე-
ბად აქუს მის ზედა, ვითარ უკუე შემძლებელ იქმნეს განგებად ქალაქსა სხვისა, რომელმან განგებად სახლისა თვისისა არა იცის? ამას მათოთვე
- 30 ვიტყვ, რომელნი სურვიელად წადიერ არიან წინამდლურობასა, რაითა სარგებელ და აღმაშენებელ იყოს, რომელთა-[B139v]იგი წინა-უძღვის, რამეთუ რომელი ვერშემძლებელ არს აღშენებად სულისა თვისისა, ვერ შემძლებელ იქმნეს სხუათა აღშენებად, ხოლო დმერთსა ჩუენსა დიდებად უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

თავი 20.

LXXXVI) თქმელი ნმიღისა ითხოვნისა,
სინანურისათვეს¹

[E73r]გპრგპნი, ოქროსა ფერითა ყუავილითა ადრეულად დათხზული, მორჩილთა მათ თავთა ზედა პატივად დადგმად გუნებავს, დაულევნელი- 5
 სა მისგან განსუენებისა ქრისტესისა; ბრწყინვალებითა მით თკოეულთა მათ ყუავილთა შუენიერთა მოწყობად, განმარჯუებითა მით ანგელოზთა და სულისა წმიდისა წინამდეურობითა და დმრთისა ვედრებითა დირსად 10
 გამორჩეულისა ერისა სათხო-ყოფად უფლისა და შეუგინებელად [E73v]
 დამარხვად ტაძრისა მის, რათა გპრგპნოსან იყუნეთ. ხოლო რომელთა შეუგინებელად და შეუბილწებელად ტაძარი იგი დმრთისად დამარხოთ, 15
 ძოწეულითა ყუავილითა გპრგპნოსან იყუნეთ და სიბრწყინვალითა მით მარგალიტისათა ბნელსა შინა დათხჭმულნი სულნი გამოვათავისუფლ-
 ნეთ და ნათელი იგი დმრთისმეცნიერებისა გამოვაძრწყინვოთ. განიროხ- 20
 ენით ჭელნი თქუენი სიხარულით ქველისსაქმედ და უკუეთუ რომელნიმე უმეცრებით სიღრმეთა მათ შინა ცოდვისათა იყვენით, არამედ აწ ნათელ-
 სა მას სასოებისასა მოიქცით, ხოლო რომელთა არად შერაცხეთ გუ- 25
 ლისოქუმა და ტაძარი იგი დმრთისად განხრწენით, ნუ სრულიად წარი-
 გუეთო სასოებასა, არამედ სინანულითა კუალად განახლდით, ვითარმედ
 რომლისამე უდებებით სახლი იგი [B140r] დაძუელდის და განირყუნის და 30
 გონიერმან კაცმან ალაგის და განახლის იგი; ვითარმედ არარაოთ უნაკ-
 ლულეს არიან ახალსა ძუელი იგი შენებული, ეგრეთუ რომელსა უბრ-
 კუმეს ცოდვითა და დაეცეს სული იგი, არამედ სინანულითა კუალად 35
 განახლდეს იგი და ეგრეთ შეიქმნეს იგი, ვითარცა ყოლადვე უცოდველი,
 რამეთუ სინანულმან დაცემული სული აღმართის და, უცხოქმნილი იგი 40
 ღმრთისაგან, საყუარელად წარმოუდგინის იგი ღმერთსა. სინანულმან
 რა იგი შეამოხვოს სულსა, გაუწყო: განაშორის მისგან მყრალობად და 45
 განასურნელის; სინანულმან [E74r] დავრდომილი სული აღადგინის და 50
 მკელობელი აღმართის; შემუსრვილნი და წყლულნი განაცხოველნის.
 რბილდით სინანულისა მიერ სასუფეველისა მიერ მომატყუებელისა და 55
 ცოდვათა აღმწოცელისა და სიკუდილისა დამჭსნელისა და ცხორებისა
 დედისა. სინანული ეშმაკისა დამჭსნელი არს და განმდევნელი დევთა და 60
 დამორგუნველი და სულთა განმაახლებელი. გვა, სინანული, რომლისათვე 65
 წინაწარმეტყუელი იონა ივლტოდა პირისაგან ღმრთისა, რამეთუ უწყოდა
 მხოლოდსა ღმრთისაგან ბრძანებისა მისდა დროებად და რისხვისა მისზე 70

1 E-ში 73r-ზე ტექსტი გრძელდება 86-ე საკითხაგოთ. საკითხავის დასაწყისი რამ-
 დენიმე გვერდი E-ში არ იკითხება (73r-v, 74r). შედარებას ვაგრძელებთ 74v-დან.

- უკუნქცევად. ქადაგი იგი სიკუდილისა მტყუვარად გამოაჩინა სინანულმან, რამეთუ შენ მიემოხევ ღმრთისა ბრძანებასა ნინაველთათვეს. შენი იგი დააბრკოლე, ხოლო ნინეველთათვეს წყარო ცხორებისა უშურველად უწმე. სინანულითა ეზევია მეფესა სიკუდილისა წილ ცხორებად მიენიჭა.
- 5 პერ, სინანული ქუევან[B140v]ით ზეცად აღმყვანებელი! ანგელოზთა უხეშთაეხსო და ჰეშმარიტისა ღმრთისა საყდართა მიმყვანებელო და ღმრთისა თანამზრახველო, ვითარცა თვისისა სახლისაგან ფასი, ეგრეცა ღმრთისაგან უსასყიდლოდ ცნობა მიანიჭებენ. შენ რომელთა სულთა აქუნდე, ცხადი მებრ ნიჭი ხარ. კა, სინანულო, უგურნებელთა სენთა
- 10 წამალო და ადვილად მჯურნალო, [E74v] რომელმან თქუმულნი დაამშვდნი და რისხვანი დაშრიტნი და გულისწყრომა დააძინი და სიყუარულისა სანთელნი დაუშრებელად ადანონი! კა, სინანულო და გულსა შინა კაცისასა შექმნილო, მეყსეულად ცოდვათა შინა დადგრომილო, შენ გპოვა ნეტარმან დავით და შენ გამო თრისა მისგან ცოდვისა – სიძვისა
- 15 და კაცისკლვისა – საუკუნოებსა მის გუემისაგან და სატანჯველისა დიდოსა განერა, სინანულმან კრულებანი ცოდვისანი განკვისნის და სულნი აცხოვნის². სინანულმან ცრემლნი ცხელნი თუალთა გარდამოაცურივნა და შებილწებულნი სულნი ნათლისდებისა სწორად გამოაბრწყინვნა. კა, სინანული მოკუდავისა კაცისათვეს შეიქმნა წამლად და უგუდავებად
- 20 მოანიჭა. შენ რომელსა სულსა აქუნდე, ეგრე თქუას: შავ ვარი მე და შუენიერ; შავ – ცოდვითა და შუენიერ – სინანულითა, რომელი-იგი შევიქმნა ბრწყინვალე სახიერებად³. პერ, სინანულო, პეტრეს თანამზრახველო და სავლეს წილ მბრძოლო და პავლეს თანამორბედო! შენ გპოვა ქრისტეს მკლველმან ფარისეველმან [E75r] და ქრისტე შთაცმულ იქმნა, [B141r] ვი-
- 25 თარცა გალილეველი; სინანული, დაცემულისა სულისა მფუფუნებელი, გული, ეკლისა გამომდებელი, მეყსეულად უუავილისა საღმრთოებსა გამომდებელ იქმნის და თქუეს ვიეომე თრბისა დაბერებულისათვეს, ვითარმედ სიმაღლესა ამაღლებულსა აღვდის და განშორებულსა წყაროსა შთაგარდის და კუალად განახლდის. ეგრეთ არს სინანული, რომელსა
- 30 აქუნდეს გულსა შინა თვისსა, სიმაღლესა ზეცისასა აღიწიოს იგი, წყარომან ცრემლთამან დაძუელებულებად იგი ცოდვათა განუგოვის და განახლებული იგი სული შეიმოსის. ამისთვისცა სული იგი სულსა მას მონანულსა ეტყვეს და განახლდენ, ვითარცა თრბისა, სიჭაბუე შენი. ესე უწყვდეთ, რამეთუ დიდი იგი, სულთა ჩუენთა მკურნალი, უოველთავი
- 35 საქმეთა უმეტება⁴ ამას აწუევდა და თქუა: ინანდით, რამეთუ⁵ მოახლებულ

2 სინანულმან კრულებანი ცოდვისანი განკვისნის და სულნი აცხოვნის E]- B.

3 „სახიერებაი“ სიტყვა წარმოდგენილია დაქარაგმებული ყორმით: „სხრბია“.

4 უმეტეს E] უკეთესად B.

5 ინანდით, რამეთუ B] ხოლო E.

არს სასუფეველი ცაოა. მოუგდეთ ამიერითგან სინანულსა⁶, მიხედეთ პირველთა მათ ნათესავთა და იგულეთ, რომელსა პრწმენა ღმერო. ვის სადა პრცხუენა მათგანსა⁷, ანუ ვინ დაადგრა შიშსა მისსა და მან დააგდო იგი, ანუ ვინ ხადოდა მას მჯურვალითა გულითა⁸ და მან უგულებელსუო? რამეთუ შემწყნარებელ და მოწყალე არს უფალი, მიუტევის ცოდვანი და აცხოვნის უამსა ჭირისასა. ნუ გრცხუენიან, შვილო, აღსარებად ცოდვათა, [E75v] რამეთუ არს სირცხული, რომელმან შეამოხურ⁹ ცოდვამ, და არს სირცხული, რომელმან შეამოხურ¹⁰ დიდებად და პატივი, რომელმან აქავე შეინანოს. ეპა, სინანულო, მოიღე¹¹ მიტევ[B141v]ებად ცოდვათა, რამეთუ წერილ არს¹² – ჯოჯოხეთს შინა ვინ ადგიაროს შენო¹³? პუნე¹⁴ 10
სოდე ცოდვათა შენთაოჟს, რამეთუ განმართლდე სიტყვთა შენითა და სძლო სჯასა შენსა. ცოდვათა სიჭაბუკისა¹⁵ და უმეცრებისა ჩემისა ნუ მოიგსენებ, უფალო; წყალობითა შენითა მომიგსენე მე, რამეთუ ესე ცხორებად, ვითარცა აჩრდილი, წარმავალ არს. სადა არიან დღვნი იგი საშუალენი შენი, რომელნი-იგი წარკდეს? სადა არიან ჭირნი იგი? არა-მე, 15
ვითარცა ნისლნი, ნიაგქარითა განჭრილნი, წარკდეს-ა? ნუ ხოლო ამის ცხორებისათვეს ეკრძალები, არამედ უფროს ხოლო მერმისა მისოჟს. მოიგსენე, რამეთუ ესრეთ იტყვს: მერმეცა და უკუნისამდე არა სცოდო; განიგულენ დღენი იგი და ჟამნი განსლვისა შენისანი, ვითარ-იგი იდვა ცხედარსა ზედა, რაბამ იყოს დღე იგი. მას ჟამსა ჭელ-იწიფო-ა შენ თა- 20
ვისა შენისა შეწევნად? განიგულენ და იხილენ, რომელნი-იგი გარე-მოგა- დგენ მეგობარნი და მომძენი, მმანი და ნათესავნი სახლეულნი, ყოველივე ერთბამად მჯურვალედ ცრემლოოდიან [E76r] შეუწევნელად და იჭირვო- დიან შენთვეს და ვერარას სარგებელ გეყვნიან¹⁵. ეგრეთვე მსგავსად შვილნიცა გარე-მოგადგენ და მამისა წმასა ჩუეულად ეძიებდენ, ტიროდიან და 25
შენ არარა გესმოდის. და ცოლი შენი, სალმობიერი და თმად გარდატევ- ებული, სიკუდილსა ინატრიდეს წინაშე შენსა. [B142r] ანგელოზი საშინელნი თანანადებსა სულისასა მოგდიდენ თუალუხუავად, არამედ უკუეთუ დირსი იპოვს სული იგი პატივისათ, მაშინ ანგელოზთაგან უუ- ფუნეულ იყოს იგი; უკუეთუ უწყალო იპოვს სული მოყვასთა თჯსთაოჟს, 30
მაშინ უწყალოდცა დაისაჯოს იგი, რამეთუ საშჯელი უწყალო არს მათ-

6 სინანულსა B]+კადნიერებით E.

7 ვის სადა პრცხუენა მათგანსა B] და პრცხუენა E.

8 მჯურვალითა გულითა E]-B.

9 შეამოხურ B] შეამოხურის E.

10 შეამოხურ B] შეამოხურის E.

11 მოიღე E] მიიღე B.

12 წერილ არს B]-E.

13 შენო B] შენ უფალსა E.

14 შენსა, ცოდვათა სიჭაბუკისა B]+თქუ შენ ცოდვა შენი, ცოდვა სიჭაბუკისა E.

15 და ვერარას სარგებელ გეყვნიან B]-E.

- თვს, რომელთა არა ყონ წყალობად. შევედ საუნჯესა სულისა შენისასა და იხილე, რომელი-იგი გიქმნიეს და შეაწონენ კეთილნი საქმენი შენი ბოროტოა მათ შენთა და იხილენ იგინი. უკუეთუ უდიდეს იპოვნენ ბოროტნი საქმენი შენი, დაფარენ იგინი ქველისაქმითა და ეგრე ეპრძალე, 5 ვითარმცა თუალითა შენითა პხედავ მას ძკრისსაქმეთა შენთა; ეკრალე მატლისა მისგან განუსუენებელისა; ეკრძალე სიბეჭდესა მას მღვმისასა და ცეცხლისა მისგან უშრეტისა და საშინელისა. და ცეცხლი იგი ვერ დაშრტების, [E76v] ჭეშმარიტად ოქუმად ლირსვე, გარნა სინანული ერე- ვის. ჰპა¹⁶, სინანული, რომელმან ცეცხლი საუკუნო დაშრიტის¹⁷ და მატ- 10 ლი იგი დაუძინებელი¹⁸ წარწყმიდის და სიბეჭდე იგი განაქარვის¹⁹! ჰეა, სინანულო, ქალაქი და გოდოლო, ანუ რომელსა შინა მამა, ძე და სული წმიდავ სუფევენ! ჰეა, სინანულო, რომელმან საწერტელი სიკუდილისა მოჰკუეთე და ეშმაკი ფერგითა დასთორგუნე და ვეშაპი მოჰკალ, რამეთუ ქრისტესა უგალობდი და ცხორებად გამოაბრწყინვე²⁰! ჰეა, სინანულო, 15 რომელმან გლოვასა შინა სიხარული²¹ [B 142v] გამოაბრწყინვე და ცრემ- ლითა ცეცხლი იგი საუკუნო დაშრიტე! ჰეა, სინანულო, რომელმან ცრემ- ლითა მით დასთესი გლოვა და სიხარულით მოიმპი ნათელი! ჰეა, სინ- ანულო, რომელმან ძაბითა და ნაცრითა²² ბრწყინვალე იგი სამოსელი ქრისტესი შენ თავისა შენისა მოიმზადი²³! სინანულმან სიმყრალე ცოდ- 20 ვათა განწმიდის და სურნელებად იგი სულისა წმიდისა²⁴ შეიმოსის; სინ- ანულმან ძრწოლა იგი კაენისებრი განაშორის და სულგრძელებად [E77r] იგი და სიხარული უბიწოებისა შთააცჟს. ჰეა, სინანულო, მშვდობისა სახლეულო და მეგობრისა თანამყოფო, სიყუარულისა მეუდლეო, სასოე- ბისა და სურნელებისა ყუავილო! ყოველი, რომელნი გძოვდენ, ოქროს- 25 ფერ კრავ იქმნენ, ძოწეულისფერთა მათ ზრახვათა სამებისათა იტყოდი- ან. არამედ ამისთვის არა განვაგრძევნ სიტყუანი ესე. აწ უკუე²⁵ მოშურნე ვინმე იპოვნენ ამისთვის. ამიერითგან საფასე იგი სიტყსა დავპიტკლო პირველისა ქმნულთა მათ განსასუენებელთა და ოქუენ წარგმართნე, რომელსა შინა კეთილი სულნელებად და შუენიერნი ახალნერგნი, 30 რომელნი-იგი დმერომან მამათა ჩუენთამან საზრდელად ეკლესიათათვს

16 ჰპა E (ყველგან)] ჰეა B.

17 დაშრიტის B]-E.

18 დაუძინებელი B] განუსუენებელი E.

19 იგი განაქარვის B] მღუიმისა დაავაგის E.

20 გამოაბრწყინვე B] გამოაბმწუანვი E.

21 სიხარული B] ნათელი E.

22 და ნაცრითა B]-E.

23 შენ თავისა შენისა მოიმზადი B] მოიმზახე E.

24 სურნელებად იგი სულისა წმიდისა B] განგბულებად სულნელებისად E.

25 აწ უკუე B] ნუკუე E.

დაპნერგნა ქრისტეს იესუსის მიერ, უფლისა ჩუენისა, რომელსა შეუნის²⁶ დიდებად თანა მამით და ყოვლადწმიდით სახიერით და ცხოველსმყოფელით [B143r] სულით²⁷ აქ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ²⁸.

კურთხეულ არს ქრისტე, ღმერთი ჩუენი. სრულ-იქმნა წმიდად ესე მარგალიტი. ქრისტე, შენ მიმაღლე აღსრულებად ამათ მცნებათად მეოხებითა წმიდისა იოანე ოქროპირისათად ამათისა წერისა მიზეზსა და მოღუაწესა და სასოებით მაიძულებელსა მონასა შენსა ცოდვილსა ამბროსის. ამგნ იყავნ.²⁹

5

-
- 26 რომელსა შეუნის B] რომლისად არს E.
- 27 თანა მამით და ყოვლადწმიდით სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით B] სულით წმიდითურთ E.
- 28 E-ში 86-ე საკითხავს მოსდევს კიდევ ერთი საკითხავი: „ოქტომედი წმიდისა იოვანე ოქროპირისად წიგნისკითხვისათვეს და დაყუდებისა“ (77r-91r). „მარგალიტის“ შემცველ არც კრებულში ეს საკითხავი არ შედის. ამიტომ წვენ ის არ მიგვაჩნია „მარგალიტის“ შემაღებენედ ნაწილად და აქ არ წარმოვადგენთ. ვკიქრობთ, ამ შემთხვევაშიც უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვა კრებულების მსგავსად, „მარგალიტს“ მოსდევს იოანე ოქროპირის არამარგალისერული სწავლა იმის აღნიშვნის გარეშე, რომ კრებული „მარგალიტი“ დასრულებულია.
- 29 A 733 (B), 143r.

ლექსიური

პ

ანდამანტი / ანდამატი ალმასი: „ეჭა, ვითარ არა განვიდა წორცოაგან ანდამანტისა მსგავსი იგი და მწნე სული მაროლისად მის“ 12,101,12¹. „რავ იგი, ანდამატისა მსგავსი, რომელსა შეემთხვა ესე ყოველი და არა იდრტჟნა“, 4,73,1.

არარავთ არაფურით: „აჩრდილისა და სიზმრისა არარავთ უმტკიცეს ვართ“ 36,154,2.

არასაღმე არანაირად: „არასაღმე სტკიოდა მათი და ამისთვეცა მოი-ომენდა“ 4,73,12.

აქა-ვ აქაური: „აქასა ჭირსა სასოებავ აქაუს“ 9,90,23.

აღდგინება წაქეზება; აღძვრა, აღმართვა: „კაცი ოუ უზეშთაესი ჩუ-ენი განვარისხიო, მოხუაიშნენი აღგაღგინნით..., რავთამცა დავატკბეო კაცი იგი ჩუენოჟს?“ 7,84,9-10. „სხეუანიცა ყოველნი აღაღგინენ ლოცვად მისთვა“ 33,150,11.

აღდუღება შეშფოთება: „იხილე, ვითარ არა შეშფოთნა და არცა აღ-დუღნა გონებითა“ 12,101,1.

აღმაღლება გაამაყება, გაამპარტავნება: „გულისჯმა-ყავ, ვითარმედ ამისთვეს შეემთხვა (ბოროტი 6.მ.)... რავთა არა აღუმაღლდეს გონებავ, რამეოუ ჭირი დაამდაბლებს სულსა“ 4,76,17.

აღნაღგინები სარგებელი: „ღმერთი დაუტევე მოვალეს შეიძლოა შენთა..., რამეოუ აღნაღგინებითურთ მოსცეს ყოველივე“ 77,214,7-8.

აღხუმა აყვანა: „აღიხუნენ ანგელოზთა მრისხანეთა და მიზიდვიდენ იძუ-ლებით ... გეგენიად ცეცხლისა“ 9,90,9.

1 სალექსიკონო ერთეულის შემცველი კონტექსტი დანომრილია შემდეგნაირად: საკოთხავის ნომერი, გვერდი, სტრიქონი. რომაული ციფრებით დანომრილია ყოველი თავის პირველი, ე. წ. ძირითადი საკითხავი, ისევე, როგორც ეს არის გამოცემულ ტა-ქსტში.

ახოვანი-ი ძლიერი: „იხილეთ-და მოღუაწე ესე ახოვანი?“ 4,74,19.

ახოვნება-ი სიმამაცე, სიმხნევე; გამჭრიახობა: „ამისთვის, რომელი საშიშთა საქმეთა შეპრაროვებენ, ღმრთისათვს ჩანს მათი ახოვნება“ XXXI,146, 15. „ჯერ-იყო, რადომცა გამოაჩინა ბუნებისადცა იგი სიყუარული და კუალად – გონებისა იგი ახოვნებადცა“ 4,73,48.

ახოვნად მხნედ: „ბრძოლასა შინა ... ახოვნად უქმს შესლვად“ 2,67,17.

ბ

ბარე ბარემ: „ბარე ისმინეთ და შეიკდიმეთ“ 36,156,5.

ბასრობა-ი დაცინება, აბუჩად აგდება: „ამისთვისცა დმერთი აყუედრებდა მას და უგუნურებასა მას მისსა ბასრობის სახედ გამოაჩინებდა“ 67,200,8.

ბაყლ-ი ჭუჭყი: „კიდობანსა მას შინა ... შოადვას სამოსელი ხენეში, სავსე ბაყლითა და სიმყრალითა“ 15,107,22.

ბევრ-ი ათი ათასი: „გითარ-იგი ერთ თდენ ადადო პირი თვისი და ხუთი ბევრი ერთბამად მოინადირა“ 30,143,2.

ბევრეულ-ი მრავალი, ათასობით: „ფრიადითა სიხარულითა ადავსნა ესეოდენთა ბევრეულთა მოქცევითა“ 30,143,1.

ბევრისბევრეულ-ი ურიცხვი: „ბევრისბევრეული იყვნენ ცოდვილნი“ 29,139,7-8.

ბრალ-ი დანაშაული, ცოდვა: „კაცნი დაადგინნა მოძღურად..., რომელთა აქუს უძლურებად და ბრალთავე თანამდებარე არიან“ 22,114,10.

ბრკუმა შეცდენა: „და ესეცა დავითის მიერვე საცნაურ არს, გითარ-იგი უბრკუმა და დაეცა მრუშებითა და კაცისკლვითა“ 7,86,18.

ბუნება-ი აქ: არსება (თვისება, ხასიათი): „იხილეთ უკუკ, ვითარ გამოცადა ღმერთმან ბუნება (A) მისი (გონებად მისი B)“ 12,99,18.

ბუნებით-ი ბუნებრივი: „ბუნებითისა წყალობისა და სიყუარულისა მაშინ განლევად იქმნების“ 25, 125, 10.

ბუნებისა-დ აუცილებელი, საჭირო: „ვჭამოთ, რათოა ვცხორებდეთ..., მეტი იგი და უზომოდ განვაგდოთ და ბუნებისასა ოდენ მივიღებდეთ“ 46, 173, 5.

ბ

გამოუცდელ-ი მოუმზადებელი, გამოუწრობელი: „ნუვაუ სხუ-ათა უქადაგებდე და მე გამოუცდელ ვიპოვ“ 22, 117, 1.

გამოჩინება გამოჩინა: „გამოაჩინე სოფელსა შინა ესევითარი კაცი“ 30, 142, 2.

გამოკუება გამოკლება; დაშორება, დაცილება, მოკლება: „ვერცა ოუ სიტყვს თქუმად შემძლებელ ვართ, ოუ რაბამისა დიდებისაგან გამოვეწუებით“ 9, 90, 5. „გერ გულისჯმა-ვყოფთ ეშმაკისა სიბოროტესა, რომელი ვა გპუენებს აჩრდილსა, რათოა გამოგუაგუნეს ჭეშმარიტებისაგან“ 83, 221, 13.

განგება ზრუნვა, მოწესრიგება: „ხოლო შენ, უბუეთუ ბრძოლად განხედი, ანუ შორსა გზასა წარხედოდი, არა იტყვ თუ: მოვიქცე და მაშინ განვაგო სახლისა ჩემისათვე“ 7, 87, 22.

განგებულება-დ განზრახვა: „დრტვნვიდა განგებულებათათვს ღმრთისათა“ 25, 126, 5-6.

განგონჯებულ-ი კეთოვანი: „ვითარცა ვის ასხენედ წელნი განგონჯებულნი“ 60, 188, 27.

განკითხვა-დ აქ: განსჯა: „უპუეთუ გნებავს განკითხვა, რომელსა შინა არს სარგებელი სულისა და არა სავნებელი, დასჯედ და შეიკრიბე გონებად შენი“ 85, 224, 1.

განკრძალვა გაფრთხილება: „შემდგომად შენდობისაცა აღუჩოცელად დაწერა გონებასა შინა თვესა, რათოა განაკრძალებდეს თვესა თვესა“ 21, 113, 14-15.

განმცდელ-ი / განმცემელ-ი გამომცდელი, მაცდუნებელი: „სიმ-

დიდრე განმცდელი (C) [განმცდელი (BDE)] არს ბოროტთა მწმარებელთა მისთათვე“ 82,219,11.

განოტება მოშორება, მოცილება: „განიოტენით სიტყუანი მათნი“ XIII,104,5.

განოტება-ა განდევნა, გაძევება: „მკეცმან, ადგილსა რად ერთსა მრავალი ჟამი დაყვის, ძნელ იქმის მიერ განსაოტებლად“ V,82,18.

განრღუეულ-ი ფიზიკურად ყოველმხრივ ნაკლული, დაშლილი, „ქორც-გონჯიანი“ (სულხან-საბა): „საონოებისა მუშაკი, დადაცათუ ყოვლით კერძო განრღუეულ იყოს, ყოველთა უძლიერეს არს და უმჯნეს“ 29,141,1.

განრყუნილ-ი წახდენილი, განადგურებული: „ოდესმე ქვად ადმოილის და ოდესმე – ასოდ შვილისად და შემუსრვილნი გუამნი მათნი --- და ოუალნი განრყუნილნი“ 4,72,13.

განსხირპვა განრთხმა: „მათ ასონი მისნი ძელსა ზედა განუსხირპნეს“ LXXXIV,222,15.

განსხმა გადახვეწა: „განვისხენით სახლთაგან და ვიმალვით მთათა შინა“ XXXVII,158,18.

განუგებელ-ი აქ: შემთხვევითი, მოუფიქრებელი, განუწესებელი: „რაისათვალს უკუე არა დაიქცევის სოფელი ესე, უკუეთუ განუგებელ არს?“ 62,194,15.

განფრდილ-ი მოცული, გახვეული: „მორწმუნე და ცოდვათა შინა განფრდილი საცინელ არს ყოველთაგან“ 15,107,15.

განფრთხობა გამოფეიზლება: „განვიფრთხოთ, შ ძმანო, და ჩუენცა ვაჩუენოთ სინანული“ 22,117,3.

განქიქებულ-ი შერცხვენილი, გაკიცხეული: „მიზიდვიდენ გჭკენიად..., განქიქებულთა წინაშე ყოვლისა დაბადებულისა“ 9,90,11.

განყენებულ-ი მოშორებული, განთავისუფლებული: „იყო კაცი მართალი,... განყენებული ყოვლისაგან ბოროტისა“ 46,174,2.

განყოფა-ა მოშორება: „ბუნებითი იგი სიყუარულისა მისისა განყოფად მწუხარება არს“ 33,149,23.

განყოფილება-მ განსხვავება, განცალკევება, გამოყოფა: „ფრიად განყოფილებამცა კეთილისავ და ბოროტისავ არს ჩუქნ თანა“ 29, 136, 3.

განჩინება დაწესება, დადგენა: „მოვიდა მათდა წინაწარმეტყუელი და განუჩინა მათ განჩინებული იგი“ 6, 83, 19.

განჩინება-მ დაწესებული, დადგენილი: „რომელი ... სიტყვსა მიცემისა თანამდებობასა და საშინელსა მას განჩინებასა მარადის იგონებდეს“ 26, 129, 19. იხ.: განჩინებულ-ი.

განჩინებულ-ი დადგენილი: „მოვიდა მათდა წინაწარმეტყუელი და განუჩინა მათ განჩინებული იგი“ 6, 83, 19. იხ.: განჩინება-მ.

განცოფებულ-ი ჭკუიდან გადამდგარი: „არაცა ევლტოდა მამასა ოჯსსა, ვითარცა განცოფებულსა“ 12, 103, 21.

განძება გაძევება: „შურმან განაძო მაცხოვარი, ხოლო შენ, მოკუდავი, არა-მე განგაძოს-ა?“ LXXXIV, 222, 20-21.

განჭრილ-ი გაფანტული: „სადა არიან ჭირნი იგი? არა-მე, ვითარცა ნისლნი, ნიავქარიოთა განჭრილნი, წარკდეს-ა?“ LXXXVI, 227, 16.

განხეთქა აქ: დასრულება: „განხეთქით განვხეთქო მეფობაი შენი“ 7, 87, 4.

განხეთქა-მ განხეთქილება: „განხეთქით განვხეთქო მეფობაი შენი“ 7, 87, 4.

გარდარეულ-ი უზომო: „არა მოექსენნეს გარდარეულნი იგი მისნი ბოროტნი“ XXXVII, 157, 18. „ნუ იქმ გარდარეულსა მას კაცომოყუარებასა მიზეზ უმადლოებისა“ 76, 212, 12.

გარდაგდა გადახდა: „უკუთუმცა არა მშკდ და მდაბალ ვიყავ, არამცა სხუათა-იგი სიკუდილისა თანანადები მე გარდამეჭადა“ 49, 178, 8.

